პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 4 აპრილი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 75 (2421)

დ ღ ი უ რ ი

— გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.
— დაიხურა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის გერმანული სექციის კონგრესი.
— მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებანი პოლონეთში.
— ჩინეთში უკმაყოფილო არიან იაპონიასთან შეთანხმებით.
— სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის მოხსენებები ბელგიაში.
— ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარეთ განიარაღების მოსამზადებელ კონფერენციაზე დაინიშნა გიბსონი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

გაიხსნება

5 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

საქართ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა აპრილისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

პურის ბაზრის დეფექტებთან ბრძოლა

პურის გამოცხობა – განაწილების საკითხი უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას იპყრობს. მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ბოლო თვეების განმავლობაში თბილისში და სხვა ქალაქებში გაცილებით მეტი რაოდენობით ცხვებოდა პური, ვიდრე ეს საჭირო იყო მოსახლეობისათვის, დაბრკოლებებს პურის ბაზარზე მაინც ჰქონდა ადგილი და ეს დაბრკოლებანი დროგამოშვებით ქრონიკულ ხასიათსაც ღებულობდნენ. იმ მრავალ მიზეზთა შორის, რომელნიც იწვევდნენ ასეთ მდგომარეობას, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა პურის საცხობ და განმანაწილებელ აპარატის მოუწესრიგებლობას.

პირველყოვლისა პურის ბაზრის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს აძნელებდა ის გარემოება, რომ ამ დარგში საკმაოდ ძლიერი იყო კერძო ვაჭრების სექტორი. პურის გამომცხობი და განმანაწილებელი აპარატი, რომელიც კოოპერაციისა და ცალკე გაერთიანებათა ხელში გადავიდა, თითქმის ძველი შემადგენლობისავე დარჩა. სავაჭრო ქსელის ამ დარგს მეტად ნაკლებად შეეხო გადახალისების სიო, როცა კერძო ვაჭარი განდევნილ იქნა პურის ბაზრიდან. დღესაც ასეთი მდგომარეობაა. აქედან აშკარაა, რომ პურის გამოცხობა - განაწილების საქმეში მოსალოდნელი იყო სხვადასხვა სახის დაუდევრობანი და ბოროტმოქმედებანი. ასედაც მოხდა.

პურის ცხობის ტეხნიკა ჩვენში ჯერ-ჯერობით ძალიან ჩამორჩენილია. კაპიტალი, რომელსაც თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდა ამ დარგში, არ ზრუნავდა საქმის ტეხნიკურად გაუმჯობესებაზე. ძველი საცხობები თავის პრიმიტიული მოწყობილობა - იარაღებით და მუშაობის „მეთოდებით" უცვლელად გადმოვიდა კოოპერაციისა და საარტელო გაერთიანებათა ხელში. ამას თან ერთვის დაუშვებელი ანტისანიტარია, რაიც თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს პურის საცხობებში. ამას წინად, როგორც ვიცით, ჩატარებულ იქნა პურის საცხობების მოულოდნელი დათვალიერება, რამაც ყველა ეს დეფექტები ერთხელ კიდევ ცხადჰყო.

ამ არანორმალობას თან ერთვის სხვა სახის დეფექტები, რომელნიც ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულს უდრიან. პრესაში საკმაო ცნობები იყო უკვე გამოქვეყნებული იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანებში მეტად გაუარესდა გამომცხვარი პურის ხარისხი. ხელოვნურად ცხვებოდა მძიმე პური, თვით ფქვილი, რომლიდანაც ამზადებდნენ გასაყიდ პურს, არ იყო სათანადო ორგანოების მიერ დაწესებულ სავალდებულო ხარისხის. მთავრობისაგან მიღებულ კარგი ხარისხის ფქვილი ბევრ შემთხვევაში ხელუხლებელი რჩებოდა, მის ნაცვლად პურის გამომცხობ და განმანაწილებელ ქსელის ზოგიერთი უღირსი მუშაკი ხმარობდა მდარე და ზოგჯერ უვარგის ხარისხის ფქვილს. რომელსაც იძენდა სპეციალურად ამ მიზნით. ასეთ ფქვილს ნორმაზე მეტად ურევდა სიმინდის, თან უმატებდა ქერის და ჭვავის ფქვილსაც.

ამას გარდა დაუშვებელ ანტისანიტარული მდგომარეობის გამო და იმიტომ, რომ პურის საცხობის მუშაკები სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ თავიანთ მოქმედებისათვის, გამომცხვარ პურში ბევრჯერ უნახავთ სრულიად შემთხვევითი საგნები, ლურსმანი, ნემსი, ტომრის ნაფლეთები და სხვა. ასეთ ბოროტმოქმედებას და უმზგავსოებას თან ერთვოდა ის არანორმალური მოვლენა, რომ პურის გამსაღებელი პუნქტებში ფართედ იყო გავრცელებული თავისებური „პროტექციონიზმი". ნაცნობობითა და სხვა მოხერხებით პურის დიდი რაოდენობა გადიოდა საცხობებიდან სპეკულიატიური მიზნით. გარდა ამისა გამომცხვარ პურის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა არა დანიშნულებისამებრ.

თავისთავად ცხადია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა. პურის ბაზარზე შემჩნეული უმზგავსოებანი და ბოროტმოქმედებანი სამართლიანად იპყრობდა მშრომელი მოსახლეობის ყურადღებას. მთელ რიგ მუშათა ორგანიზაციამ გადაჭრით მოითხოვა რადიკალური ზომების მიღება პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად. ცენტრალური სამეურნეო ორგანოები დროზე გამოეხმაურენ მუშების ამ მოთხოვნილებას. ერთ-ერთ რადიკალურ ღონისძიებათ მიჩნეულ იქნა პურის წიგნაკების შემოღება. მიმდინარე წლის პირველ აპრილიდან თბილისი უკვე გადავიდა პურის განაწილებაზე მომხმარებელთა შორის წიგნაკების საშუალებით. შედეგები უკვე აშკარაა. გაჰქრა „კუდები" პურის საცხობებთან, შედარებით გაუმჯობესდა პურის ხარისხიც.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ენერგიული ბრძოლა პურის გამოცხობა-განაწილების დარგში შემჩნეულ დაუდევრობასა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. „კუდების" მოსპობასთან ერთად ჩვენ უნდა მოვუსპოთ პურის საქმის უღირს მუშაკებს ბნელი კომბინაციების შესაძლებლობანი. ამ მიზნით საჭიროა გადამჭრელ ხასიათის ადმინისტრატიულ ღონისძიებათა მიღება. რესპუბლიკანურ უმაღლეს ორგანოთა თათბირმა, რომელიც შესდგა ამ დღეებში, მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ გამოყოფილ იქნას სპეციალური პროკურორი სასურსათო ხასიათის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. საჩივრები პურის ხარისხის გაუარესების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სასამართლოს, ხოლო დამნაშავენი უნდა დაპატიმრებულ იქნან საქმის გარჩევამდი. თბილისის გაზეთებში უკვე იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ამ მხრივ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. ზოგიერთი პურის საცხობის გამგე პურის ხარისხის გაუარესებისათვის მიცემულია პასუხისგებაში.

ბრძოლა პურის ბაზრის შემდგომ გაჯანსაღება - მოწესრიგებისათვის კიდევ უფრო უნდა გავაცხოველოთ. სათანადო ორგანოებს ამაში აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს ფართე მშრომელ მასამ. საჭირო და აუცილებელია ბაზრის არანორმალობათა წინააღმდეგ ბრძოლას ორგანიზაციული ხასიათი მივცეთ. დაუდევრობისა და ბოროტმოქმედების არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი. ყოველ შემჩნეულ ნაკლის შესახებ უნდა ვაცნობოთ ჩვენს საკონტროლო და ადმინისტრატიულ ორგანოებს. დამნაშავენი პასუხისგებას ვერ გაექცევიან.

მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ დაუნდობელი შეტევით ჩვენი აპარატის ყველა ჯურის მავნებელთა წინააღმდეგ და ენერგიული ბრძოლით სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის, დავძლევთ ჩვენს წინაშე მდგომ ყველა დაბრკოლებებს.

შეუსუსტებელი ყურადღება ექსპორტს

სახალხო მეურნეობის 1928-29 წლის საკონტროლო ციფრებში ექსპორტი წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად ვიწრო ადგილს. სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის წილის ძლიერ შემცირების, კერძოდ პურის ექსპორტის სრული შეწყვეტის გამო, საჭირო იყო სამრეწველო ექსპორტის მეტად გაძლიერებული ტემპით გაშლა - განვითარების დასახვა. ექსპორტის მოცულობის ასეთი ზრდის რეალობაში, ისევე, როგორც სახალხო - სამეურნეო ეკონომიკის ტემპების ყველა დანარჩენი მაჩვენებლის რეალობაში, ეჭვი შეიტანეს მემარჯვენეებმა.

ეხლახან დამთავრებული ნახევარი წლის შედეგები საშუალებას მოგვცემენ ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთოთ ჩვენი მეურნეობის გაშლას, რომელიც სწრაფად ვითარდება ინდუსტრიალიზაციის გზით. ჯერ - ჯერობით სწორი ცნობები მოგვეპოვება მხოლოდ ხუთი თვისათვის. ექსპორტის დარგში ეს ცნობები მოწმობენ შემდეგს:

ჩვენი ქვეყნის ფაქტიური ექსპორტი ოქტომბერ - თებერვალში, საბაჟოს ცნობებით, შეადგენდა 280 მილიონ მანეთს, ნაცვლად წარსული წლის 239 მილიონი მანეთისა, ე. ი. ზრდა უდრის 17 პროც-ს. ამასთან სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი 5 თვის განმავლობაში უდრის 147 მილიონ მანეთს, ნაცვლად წინა წლის 142 მილიონი მანეთისა, ხოლო სამრეწველო ექსპორტი 132 მილიონ მანეთს, ნაცვლად წარსული წლის 97 მილიონი მანეთისა. ამგვარად, ექსპორტის ამ შემადგენელი ჯგუფების ზრდის ტემპი მეტად სხვადასხვაგვარია. იმ დროს, როცა სასოფლო - სამეურნეო ექსპორტი, წარსული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით, გაიზარდა მხოლოდ 3,5 პროცენტით, სამრეწველო ექსპორტის ზრდა ამავე პერიოდში უდრის 36,8 პროცენტს.

საანგარიშო ცნობები ადასტურებენ, რომ ექსპორტის ზრდა ისეთი ტემპით, როგორც ეს დასახული იყო საკონტროლო ციფრებში, რეალურად ხორციელდება. თუ რამდენად შესრულდა მთელი გეგმა მთლიანად, ამაზე მსჯელობა შეგვიძლია ვიქონიოთ ფაქტიური ექსპორტის არა მარტო ამ ცნობების მიხედვით. ფაქტიური ექსპორტის საგრძნობი ნაწილი ყოველთვის მოდის წლის მეორე ნახევარზე. ამ თვალსაზრისით, ციფრი 280 მილიონი სრულებით არ არის დამახასიათებელი. გადამჭრელ როლს თამაშობს გასატანი პროდუქციის დამზადება მრეწველობის მიერ და ამ პროდუქციის თავის დროზე რეალიზაცია საგარეო ბაზარზე. მაგალითად, ჩვენი სამრეწველო ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი საქონლის — ხე-ტყის — ფაქტიური ექსპორტი ხუთი თვის განმავლობაში შეადგენს წლიური გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მეოთხედზე ნაკლებს და ეს იმიტომ, რომ ამ საქონლის ექსპორტი თანაბრად არ ნაწილდება კვარტალების მიხედვით და მისი გატანა დაკავშირებულია ნაოსნობის ვადებთან. ხე-ტყის დამზადების დარგში ხე-ტყის ექსპორტის რაიონების ყველა ორგანიზაციის ენერგიული მობილიზაციით ჩვენ მივაღწიეთ საჭირო შედეგებს და მომავალი ნაოსნობის კამპანიისათვის სავსებით მზად ვართ.

საქონლის გასაღების შესაძლებლობათა დარგში ჩვენი პოზიციები განვლილ პერიოდში საგრძნობლად განმტკიცდა. გასაზიდად გადადებული ხე-ტყის მასალის დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია. ნავთის დარგში ბაზრის კონიუნქტურა გაუმჯობესდა ინგლისის ბაზრის უდიდეს ექსპორტიორებთან ამას წინად დადებული შეთანხმებით. მეტად ინტენსიურად მოიმატა ეგრედწოდებული მეორე ხარისხოვანი სამრეწველო საქონლის ექსპორტმა, რომელიც 12 მილიონი მანეთიდან (წარსულ წელს) გაიზარდა 27 მილიონ მან.-მდე, ე. ი. ზრდა შეადგენს 210 პროც-ს. სასოფლო - სამეურნეო ექსპორტის დარგში ადგილი აქვს ჩამორჩენას საქონლის ცალკე კატეგორიების გაზიდვის მხრივ, ისევე, როგორც ცალკე საქონელი სამრეწველო ექსპორტში არ გვაძლევს გეგმის სრულ შესრულებას. მაგრამ, საერთოდ, საქონლის სხვა კატეგორიების ექსპორტის გაძლიერების საშუალებით მთელი ექსპორტის გეგმა სრულდება დამტკიცებული ციფრების რაოდენობით.

ეს ცნობები საშუალებას გვაძლევენ გამოვიყვანოთ პოლიტიკური დასკვნა გეგმიანობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და სერიოზულ ფრონტზე. საკონტროლო ციფრების დასახვის დარგში, იმ ფრონტზე, სადაც ჩვენი ზემოქმედება უფრო შეზღუდულია, ვიდრე საშინაო პოლიტიკის საკითხებში. ეს დასკვნა არის ის, რომ, მიუხედავად გეგმის სიძნელისა და დიდათ დატვირთვისა, გეგმა არ არის ჰაერში ჩამოკიდებული, არამედ რეალურია, და რომ აღებული ტემპი სავსებით შეიძლება განხორციელებულ იქნას და მთლიანად სრულდება მუშური სახელმწიფოს ენერგიული მუშაობით.

ექსპორტის ცენტრალურ ამოცანას წლის მეორე ნახევარში შეადგენს აღებული ტემპის აუცილებლად შენარჩუნება და წლიური გეგმის განხორციელება გათვალისწინებული რაოდენობით. ეს ამოცანა შეიძლება შესრულებულ იქნას და უნდა შესრულდეს. საექსპორტო გეგმის ყველაზე ძნელი ნაწილი — საქონლის დამზადების მსვლელობა და სამრეწველო საქონლის დარგში არსებული ამოცანების საწარმოო მომზადება, აგრეთვე საქონლის უმთავრესი ნაწილის საგარეო ბაზარზე განაწილების ამოცანა, მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს. საექსპორტო გეგმის შესრულება მთლიანად უზრუნველყოფილია, თუ არ შევასუსტებთ ჩვენს ენერგიას, თუ არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც პასუხს აგებს ექსპორტისათვის, არ დაკმაყოფილდება მიღწეული წარმატებებით და კიდევ უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

დღევანდელი ამოცანები ექსპორტის საქმეში სრულებითაც არ განისაზღვრებიან მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის ფარგლებით. ჩვენ ხუთ წლიან გეგმაში დავისახეთ სახალხო მეურნეობის განვითარების უდიდესი მასშტაბები, ამიტომ მოვალენი ვართ დავისახოთ ექსპორტის მაღალი ტემპები, ექსპორტის, რომელიც უახლოეს პერიოდში ძირითად წყაროდ რჩება იმპორტის გადიდებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ მომავალ 1929-30 წელს უნდა ვეცადოთ მაქსიმალური ტემპით განვავითაროთ ექსპორტი საერთოდ, პირველ რიგში კი სამრეწველო ექსპორტი, რომელმაც უნდა შეავსოს ის ნაკლი, რომელიც გამოწვეულია სასოფლო - სამეურნეო ექსპორტის შემცირებით.

ექსპორტს ჩვენი მეურნეობის მთელ სისტემაში ისეთი ადგილი უჭირავს, რომ მას უნდა შევუფარდოთ ჩვენი გადაუდებელი მოთხოვნილებანი საიმპორტო ნედლეულზე, ნახევარფაბრიკატებზე და მანქანებზე. ბრძოლა ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის, კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე—არის კურსი ექსპორტის გაძლიერებაზე. სამრეწველო ექსპორტის განვითარება წარმოადგენს მთელი მეურნეობისა და პირველ რიგში, თვით მრეწველობის განვითარების მთავარ ამოცანას. მომავალი წლის ექსპორტის ყოველმხრივი მომზადება ეხლავე უნდა დაიწყოს. ჩვენ ეხლავე უნდა უზრუნველვყოთ საექსპორტო დარგები ყველა იმ პირობით, რომელიც საჭიროა მისი განვითარებისათვის (კაპიტალური თანხების დაბანდება, მოწყობილობის იმპორტი, ფინანსების მიწოდება საქონლის ბრუნვისათვის და სხვ.). ყოველივე ეს შეგვაძლებინებს შევქმნათ საჭირო საწარმოო წინასწარი პირობები პროდუქციის საექსპორტო მასების დასამზადებლად. მაგრამ საქმე მხოლოდ რაოდენობაში არ არის. როცა ჩვენ ექსპორტს ავიყვანთ სათანადო სიმაღლეზე, შევქმნით მრავალი ასი მილიონი მანეთის საექსპორტო პროდუქციას, ჩვენს წინაშე დადგება ექსპორტის თვისებრივი მხარე. პირველ კატეგორიულ თვისებრივ ამოცანას წარმოადგენს თვითღირებულების, ფასების, საქონლის ხარისხის და მისი კონკურენციის უნარიანობის საკითხი. მრეწველობა ვალდებულია გამონახოს გზები ამ ამოცანების გადასაწყვეტად, ვალდებულია მომავალ წელს შეუდგეს იმ წარმოებათა გამოყოფას, რომლებიც სპეციალურად ექსპორტისათვის იმუშავებენ. მუშაობის სანიმუშოთ დაყენება ამ წარმოებებში მაგალითად უნდა გადაიქცეს დანარჩენებისათვის.

ამასთან ერთად საჭიროა უცხოეთის ბაზრების ტევადობის უფრო გაღრმავებული შესწავლა, რათა განვავითაროთ პროდუქციის ისე წარმოება და იმ სახით, როგორსაც ეს ბაზრები მოითხოვენ. არ შეიძლება რამდენიმე ათი მილიონი მანეთის დაბანდება ისეთ საექსპორტო დარგებში, რომლებშიაც გასაღების შესაძლებლობა საკმაოდ არ არის გამორკვეული. სავსებით აშკარაა, რომ საექსპორტო მშენებლობა არა თუ უნდა ეყრდნობოდეს განვითარებული ტეხნიკის უახლეს მიღწევებს, არამედ სასტიკად უნდა შეეფერებოდეს ბაზრისა და მოთხოვნილების ნამდვილ პირობებსაც.

მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მთელი მიმდინარეობა ისევ მოითხოვს ექსპორტის საქმისათვის მაქსიმალურ ორგანიზაციულ დარაზმვას, მოითხოვს, რომ არ იქნას დაშვებული რაიმე შესუსტება ამ საქმის განვითარებაში. წლის პირველ ნახევარში მიღწეული წარმატებანი უნდა გამოგვადგნენ საწინდარად შემდგომი სიძნელეების დაძლევისათვის. ჩვენი ამოცანაა—არა თუ დაუღალავად დავრაზმოთ სამეურნეო ორგანიზაციები, არამედ აუცილებლად ჩავაბათ მუშათა მასა საექსპორტო დავალებათა შესრულების საქმეში. ექსპორტისათვის ყოველმხრივი ყურადღების მიქცევა შეადგენს არა მარტო იმ დარგების მოვალეობას, რომელნიც უშუალოდ ჰქმნიან საექსპორტო პროდუქციას. მთელმა სახალხო მეურნეობამ უნდა უზრუნველჰყოს ისეთი პირობები საექსპორტო დარგების მუშაობისათვის, რომ ამ პირობებში ხსენებულ დარგებს შეეძლოთ მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულება.

ექსპორტი სრულებითაც არ წარმოადგენს საუწყებო ამოცანას, არამედ ეს არის უმნიშვნელოვანესი საერთო სამეურნეო ამოცანა. ამიტომ ექსპორტის განხორციელების მიმდინარეობას უდიდეს ყურადღებას მიაქცევს მუშათა კლასი. უაღრესად სერიოზული დისციპლინა, სასტიკი პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისათვის, საუკეთესო მუშებისა და მათი ორგანიზაციების მიერ კონტროლის გაწევა,—ყოველივე ეს უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობისათვის ექსპორტის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას.

„პრავდა", 3 აპრილი.

ამანულა-ხანის ჯარების შეტევა ქაბულზე

მუკდენის მოლაპარაკება გუანსის ჯგუფთან.—იაპონიაში საეჭვოდ მიაჩნიათ შანდუნის სასწრაფოდ დაცლა

ფინ-იუი-სიანი ეხმარება ნანკინის მთავრობას.—გუანსის ჯარები უკან იხევენ

შეტევა ქაბულზე

ლონდონი, 2 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ"-ის გადმოცემით, ამანულა ნელ-ნელა მიიწევს ქაბულისაკენ. ამანულას იმედი აქვს, რომ 2 აპრილს გაზნიში იქნება. (ადს)

ქიაზიმ - ფაშის დელეგაციის წამოსვლა ავღანისტანიდან

ანგორა, 2 აპრილი. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, თურქეთის სამხედრო დელეგაციამ, რომელსაც ქიაზიმ-ფაშა მეთაურობს, დასტოვა ავღანისტანი. დელეგაცია, რომელიც ოსმალეთში საბჭოთა კავშირით ბრუნდება, ტაშკენტში მივიდა (ადს).

ინგლისის მრეწველთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 3 აპრილი. 1-ლ აპრილს ინგლისის დელეგაციის 30 წევრი, მანქანების საამშენებლო მრეწველობის წარმომადგენლები ესტუმრენ საკავშირო მანქანების საამშენებლო სინდიკატს. დელეგაცია მიიღო მოლაპარაკების საწარმოებლად გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კონიუხოვის მეთაურობით; ამხ. კონიუხოვმა გააცნო დელეგაციას საბჭოთა მრეწველობის განვითარება.

დელეგაციის სახელით გამოვიდა მეტკალფი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხ. კონიუხოვის ინფორმაციამ და საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციაზე. საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებები ისე დიდია, რომ ამჟამად აქ მყოფი წარმომადგენლები სხვადასხვა ფირმებისა სრულიად არ უნდა შეუშინდენ კონკურენციას, რადგან შეკვეთები საკმარისი იქნება. ყველა დაინტერესებულ ფირმებისათვის.

იმავე დღეს გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ დელეგაციის ყველა წევრები—მანქანების საამშენებლო მრეწველობის წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრმა მეტკალფმა მადლობა გამოსთქვა დელეგაციის გულთბილად მიღების გამო და აღნიშნა რა ის ზარალი, რომელიც გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლამ, სთქვა, რომ საქმიანი მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს მას შემდეგ, როდესაც მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი ეკონომიური შეთანხმება. მეტკალფმა იმედი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკებას დადებითი შედეგი მოჰყვება.

დელეგაციის რამდენიმე წევრმა დაათვალიერა მოსკოვის სამკურნალო დაწესებულებები და საავადმყოფოები. ამას გარდა დელეგაციის წევრები ესტუმრენ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, ფერად მეტალურგიის სინდიკატს და ელექტრო იმპორტს. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის გახსნა

პარიზი, 2 აპრილი. კვირას სენდენში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის მე-6 ყრილობა. ყრილობას ესწრება 150 დელეგატი. მუნიციპალიტეტის სადგომი (ამ მუნიციპალიტეტს კომუნისტები ხელმძღვანელობენ), სადაც ყრილობა შეიკრიბა, პოლიციით არის შემორტყმული.

ყრილობა გაიხსნა **მონმუსოს** შესავალი სიტყვით, მონმუსომ აღნიშნა, რომ ყრილობა ხდება ისეთ პირობებში, როდესაც შოვინისტური კამპანია მთელ საფრანგეთს მოედო. ამ კამპანიას კი მიზნად დასახული აქვს ახალი იმპერიალისტური ომი და რეპრესიების გაძლიერება კომუნიზმის წინააღმდეგ. (ადს)

ამხ. ფრანშონის მოხსენება

პარიზი, 2 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ფრანშონის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომინტერნის კონგრესის შემდეგ მომხდარმა მოვლენებმა დაადასტურეს კაპიტალიზმის ომის შემდეგი დროის განვითარების ის ანალიზი, რომელიც მოცემულია კონგრესის დადგენილებებში. მიუხედავად ამისა, პარტიაში არიან ისეთი პირები, რომელნიც სიტყვით ეთანხმებიან კომინტერნის ანალიზს, ხოლო პრაქტიკულად ყოველგვარ შენიშვნას უკეთებენ კონკრეტულ მდგომარეობის შეფასებას.

კომინტერნში და კერძოდ გერმანიის კომპარტიაში არსებული მემარჯვენე გადახრის რაობის გადმოცემის დროს ფრანშონმა აღნიშნა, რომ მემარჯვენე გადახრა ემყარება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შემცდარ შეფასებას და სოციალ - დემოკრატიის როლის არ გაგებასო. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიის შემარიგებელნი უფრო და უფრო შორდებიან კომინტერნის ხაზს. მისი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დისკუსიის გაკვეთილს, იმ დისკუსიის, რომელიც მთლიანი ფრონტის ტაქტიკის ოპორტუნისტული დამახინჯების მაგალითებს შეიცავს.

შემდეგ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **მემარჯვენე გადახრა თავს იჩენს უმთავრესად იქ, სადაც უმოქმედობა და სადაც ცუდად ემზადებიან საგაფიცვო გამოსვლების ხელმძღვანელობისათვის.** უნდა ვებრძოლოთ ყველა იმას, ვინც პრაქტიკულ მუშაობაში პარტიის ხაზს უხვევს, უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე შემარიგებლობას.

შემდეგ ფრანშონმა მიმართა დორიოს და მოუწოდა — რაკი მან თავისი შეცდომები აღიარა, პარტიასთან ერთად ყოველდღიურ მუშაობაში შეუდგეს ბრძოლას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და ნულარ ითამაშებს შემარიგებლის როლს, როგორც ეს მოხდა ჩრდილოეთ ოლქის პარტიულ ყრილობაზე.

ფრანშონმა მოხსენება დაამთავრა მოწოდებით — საერთო ძალღონით აღმოფხვრილ იქნას ოპორტიუნიზმი პარტიის რიგებში. (ადს)

დაპატიმრებანი პოლონეთში

ვარშავა, 2 აპრილი. დააპატიმრეს მიწის მუშათა გაერთიანების დეპუტატი ვალნიცკი, რომელსაც ამას წინად დეპუტატის მანდატი ჩამოართვეს. (ადს).

ვარშავა, 2 აპრილი. ლვოვში დააპატიმრეს უკრაინელი სტუდენტი ქალი სინიცკაია, რომელსაც ბრალდება ფოსტალიონზე თავდასხმა ლვოვში. (ადს).

სეიმის დეპუტატის განთავისუფლება

ვარშავა, 2 აპრილი. როგორც კატოვიციდან იუწყებიან, 70,000 ზოტის საწინდრის შეტანის შემდეგ გაანთავისუფლეს ზემო-სილეზიის სეიმის გერმანელი დეპუტატი ულიცი, რომელიც ბერლინში დააპატიმრეს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

უკმაყოფილება იაპონიასთან შეთანხმებით

პეიპინი, 2 აპრილი. „ტიანძინ შიმ-ბაო"-ს გადმოცემით, პეიპინის ანტი-იაპონური საზოგადოება საშინლად ჰკიცხავს იმ შეთანხმებას, რომელიც ძინანის ინცინდენტის მოწესრიგებას შეეხება. საზოგადოების მიერ მიღებული რეზოლიუცია სამშობლოს მოღალატეს უწოდებს ნაციონალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ვან ჯენ ტინს. რომელმაც ხელი მოაწერა ხსენებულ შეთანხმებას. (ადს)

სიკვდილით დასჯა

ლონდონი, 2 აპრილი. როგორც „ტაიმს"-ის გონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, **კანტონში ასობით დასაჯეს ხალხი სიკვდილით. ეჭვი მიიტანეს, რომ დასჯილები კომუნისტები იყვნენ.**

„დასჯილებიდან ბევრს, — სწერს კორესპონდენტი, — ალბად, არავითარი კავშირი არა ჰქონდა კომუნიზმთანაო". (ადს)

მუკდენის თვალთმაქცური პოლიტიკა

ხარბინი, 2 აპრილი. მუკდენელები განაგრძობენ ჯარის თავმოყრას შანხაი-გუანის რაიონში. პრესაში ამას ასაბუთებენ იმით, რომ ჩინეთის ამბების გამო, საჭიროა მანჯურიის საზღვრების ხელუხლებლობის უზრუნველყოფაო.

მუკდენის ლიდერები აცხადებენ, რომ ის, რაც ხუბეიში ხდება, გავლენას არ იქონიებს სამ აღმოსავლეთის პროვინციაზე, რომელთაც ნანკინის მთავრობის მიმართ ლოიალურად უჭირავთ თავიო. მაგრამ **ამ განცხადებებს ეწინააღმდეგება ცნობები მუკდენელების მოლაპარაკების შესახებ გუანსის წარმომადგენლებთან; მოლაპარაკება ჯარის გაგზავნის შესახებ პეიპინ-მუკდენის რკინის გზის რაიონში. მასვე ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ მანჯურიაში ფაქტიურად აბრკოლებენ გომინდანის ორგანიზაციების შემოღებას** (ადს).

მიმოსვლის აღდგენა პეიპინსა და მუკდენს შორის

პეიპინი, 2 აპრილი. აღდგენილ იქნა მიმოსვლა რკინის გზით პეიპინსა და მუკდენს შორის. (ადს)

შანდუნის ევაკუაცია

ტოკიო, 2 აპრილი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, მთავრობის სხდომაზე ზოგიერთმა მინისტრმა საეჭვოდ მიიჩნია იაპონიის ჯარის გაყვანა შანდუნიდან. რადგან ამ ჯარის გაყვანის შემდეგ შანდუნის ტერიტორიაზე მოსალოდნელია შეტაკება ფინ-იუი-სიანის, ჩან-კაი-შის და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარს შორისო. (ადს).

ნანკინის ჯარების შეტევა

შანხაი, 3 აპრილი. როგორც გომინის სააგენტო იუწყება. ნანკინის ჯარებმა ვანპეი დაიკავეს. ნანკინელთა პოლკი უხანს უშენს ზარბაზნებს. ხანკოუს ირგვლივ ნაღმებია ჩაწყობილი. ფინ-იუი-სიანის ჯარები ხან-ფუხუს ხელმძღვანელობით უტევენ გუანსიელებს და უკვე გაიარეს გუან-შე. როგორც გომინის სააგენტო იუწყება, ფუცზიანის, გუანდუნის, ხუნანის; და იანცზინის პროვინციების ხელისუფლების ხელმძღვანელები გაერთიანებულ შეტევას აპირებენ იმ მიზნით, რომ „ერთხელ და სამუდამოდ" მოსპონ ბოლო კომუნისტურ რაზმებს სანაპირო რაიონებში. სამხედრო სამინისტრო ამისათვის მათ აძლევს 500.000 ვაზნას. (ადს).

შუბლმაგართა საარჩევნო მანევრი

ლონდონი, 2 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ"-ი ყურადღებას აქცევს მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარზე სუნიტებისა და შიიტების ომის გამო კურუმის ველზე.

„თუ სუნიტებმა მოახერხეს შიიტების განდევნა ინგლისელების გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე,—სწერს გაზეთის პეშავარელი კორესპონდენტი,—მაშინ ინგლისელები იძულებულნი იქნებიან ჩაერიონ ამ საქმეში, რადგან ცალკე ტომების ბრძოლა ტერიტორიაზე, სადაც ბრიტანეთის დროშა ფრიალებს, დაუშვებელია. ამის გამო კოგატის გარნიზონი მზად და ზამრად და სწარმოებს საჰაერო დაზვერვა".

პეშევარში გაიმართა დიდი დემონსტრაცია ინგლისის ყოფილ ქაბულელ ელჩის გემურის წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა ნიშნად უპატივცემულობისა ინგლისის მიმართ დასწვეს უცხოეთის მანუფაქტურა.

„ამ ცბიერ კამპანიის კულისებს იქით,—სწერს კორესპონდენტი,—სჩანს მოსკოვის ხელი, რომელიც სცდილობს ცეცხლი დაანთოს ინდოეთის საზღვარზე".

„დეილი ტელეგრაფ"-ის ეს ცდები დაუკავშიროს საბჭოთა მთავრობა ავღანისტანში და ინდოეთში მომხდარ ამბებს საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ **გაზეთის პეშევარელი კორესპონდენტის ცნობები შედგენილია იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნეს კონსერვატიული პროპაგანდა საპარლამენტო არჩევნების წინ.**

გერმანელი მენშევიკები არაფერს ერიდებიან

ბერლინი, 2 აპრილი. ბოლო დროს გამოაშკარავდა, **რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ულშტეინის ცნობილი კონცერნის პრესის და გერმანიის სოც.-დემოკრატიას შორის.**

როგორც კომუნისტური გაზეთი „მონტაგცეიტუნგ"-ი იუწყება, ორი კვირის წინად სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ და ულშტეინის კონცერნმა დასდეს შეთანხმება, რომლის ძალითაც **კონცერნის გაზეთი, წვრილ ბურჟუაზიულ წრეებში გავრცელებული „მორგენპოსტ"-ი გადაცემულ იქნა სოც.-დემოკრატიული პარტიის განკარგულებაში, როგორც არაოფიციალური ორგანო. ამასთან ხსენებული გაზეთი უცვლელად შეინარჩუნებს თავის წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ კურს.** ფაბქარხკომების ამას წინად მომხდარ არჩევნებში ეს გაზეთი ენერგიულ კამპანიას ეწეოდა რეფორმისტების სასარგებლოდ. (ადს)

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

პარიზი, 2 აპრილი. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მირონესკუმ, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, ინტერვიუს დროს რუმინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ განაცხადა:

„რასაკვირველია, მოსკოვის ოქმი არ ნიშნავს, რომ მოსკოვმა ფორმალურად იცნო ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან, მაგრამ ჩვენ არც კი გვაქვს საფუძველი ვიზრუნოთ ასეთი ცნობის მოპოვებაზე. ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ რუმინეთი ფლობს ბესარაბიას კანონიერად და ფაქტიურად. მოსკოვის ოქმს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც საბჭოთა მთავრობა ფორმალურად უარს ამბობს სამხედრო ძალით განახორციელოს თავისი პრეტენზიები ბესარაბიაზე, რომლებიც ჩვენთვის იურიდიულად არ არსებობენ".

შემდეგ მირონესკუმ განაცხადა, რომ მისი ვარშავაში გამგზავრებით ერთხელ კიდევ დადასტურდა კავშირი, რომელიც დადებულია პოლონეთსა და რუმინეთს შორის. მირონესკუმ უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ეს გამგზავრება პირველი ნაბიჯია ახალი კავშირის—რუმინეთის, პოლონეთის და უნგრეთის კავშირის შექმნის გზაზე.

„რუმინეთის მთავრობა ფიქრობს—განაცხადა მირონესკუმ—რომ პოლონეთთან კავშირი ხელს არ შეუშლის რუმინეთს ერთგული დარჩეს მცირე ანტანტისა. თუ საერთოდ ვილაპარაკებთ ახალ კომბინაციებზე, ისინი შეიძლება მდგომარეობდეს მცირე ანტანტის გაფართოვებაში მასში პოლონეთის მიღებით".

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენცია

ლონდონი, 2 აპრილი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციამ კარლეილში განიხილა თავდაპირველად კონფერენციის დღის წესრიგში არ შეტანილი რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს რეპრესიებს ინდოეთში. პარტია ამ რეზოლიუციით კისრულობს ვალდებულებას—ეცადოს ინდოეთის თვითგამორკვევას, მხარი დაუჭიროს ინდოეთის მუშათა მოძრაობას და იბრძოლოს ინდოეთის მასების ეკონომიური განთავისუფლებისათვის. რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმით სამის წინააღმდეგ. (ადს).

ლონდონი, 2 აპრილი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე გაცხოველებული კამათი გამოიწვია წინადადებამ, რომელიც მოითხოვდა უარის თქმას სამხედრო კრედიტების დამტკიცებაზე. პარტიის აღმასკომმა გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ. მაგრამ კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო იგი.

პარტიის თავმჯდომარემ **მექსტონმა** განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მეტად სერიოზულია და გამოსთქვა იმედი, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ლოიალურად მოეკიდებიან აღმასკომის, და პარტიის დეპუტატების მოქმედებას ამ საკითხში. შემდეგ ილაპარაკა თემთა პალატის წევრმა **შინუელმა**, რომელმაც განაცხადა:

„რამდენადაც მე მესმის, ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მომავალში წინააღმდეგ უნდა მივსცეთ ხმა ყოველგვარ კრედიტებს სამხედრო მიზნისათვის. მაგრამ მე მივიღებ მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ჩემს საარჩევნო ოლქს შეეფერება და სრულებით არ ვიხელმძღვანელებ კონფერენციის სურვილით". (ადს).

მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის გერმანული სექციის კონგრესი

ბერლინი, 2 აპრილი. კვირას მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის გერმანიის სექციის კონგრესზე კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **მიუნცენბერგმა** გააკეთა მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. მომხსენებელმა, აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მომავალი ომის საფრთხე, ხაზი გაუსვა იმას, რომ მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი, მოწინააღმდეგეთა მეცადინეობის მიუხედავად, კვლავ განაგრძობს ზრდას და მომავალშიაც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს პროლეტარიატს იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი განთავისუფლებისთვის აწარმოებს.

კონგრესი დაიხურა მას შემდეგ, როცა მოისმინა მოხსენებანი მუშათა სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიური ბრძოლის შესახებ, აგრეთვე აღნიშნულ კომიტეტში აგიტაციისა და პროპაგანდის საქმეს დაყენების შესახებ. (ადს).

ტანაკა ბოდიშს იხდის

ტოკიო, 2 აპრილი. გაზეთების გადმოცემით, პრემიერმა ტანაკამ ბოდიში მოიხადა საიდუმლო საბჭოს წინაშე იმისთვის, რომ მან საიდუმლო საბჭოსთან მოულაპარაკებლად ხელი მოაწერა იმ შეთანხმებას, რომელიც ძინანის ინციდენტის მოწესრიგებას შეეხება.

გაზეთის სიტყვით საიდუმლო საბჭო შეიწყნარებს მთავრობის ბოდიშის მოხდას. მაგრამ მოითხოვს, რომ ტანაკა ერთსა და იმავე დროს არ იყოს პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო კრედიტების გარშემო

ლონდონი, 2 აპრილი. „დეილი ჰერალდი". უკეთებს რა კომენტარიებს დამოუკიდებელი პარტიის კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომელიც დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დეპუტატებს ავალებს ხმის მიცემას ყოველგვარი სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ სწერს:

„რეზოლიუციის მომხრეებმა დაივიწყეს რომ დამოუკიდებელი პარტია მუშათა პარტიაში შედის და უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მუშათა პარტიის პოლიტიკას, რომელმაც უკვე უარჰყო წინადადება სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემის შესახებ. მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ ხმაურობა რომელიც სამხედრო კრედიტების შესახებ მიღებული რეზოლიუციის ირგვლივ ატყდა, აშკარად ახასიათებს დამოუკიდებელი პარტიის უსუსურობას და არასერიოზულობას. პარტიის აღმასკომის ბევრ წევრს სრულებით არ აქვს განზრახვა შეასრულოს კონფერენციის გადაწყვეტილება". (ადს).

მემარცხენე ფრთის გამარჯვება

ბერლინი, 3 აპრილი. ფაბქარხკომების და მუშათა საბჭოს არჩევნებში. რომელიც გუშინ ჩატარდა ჰამბურგის უდიდეს გემთსაშენში „ბლომ უნდ ფოს"-ში, მემარცხენე რევოლიუციონურმა ფრთამ გაიმარჯვა. რეფორმისტების დამარცხებამ ჰამბურგის უდიდეს გემთსაშენში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ გერმანიაში. (ადს).

კრებების აკრძალვა

ვენა, 3 აპრილი. სეგედის (უნგრეთის ქალაქი, რომელიც თავისი სიდიდით მეორე ქალაქად ითვლება) სოციალ-დემოკრატებს და მუშებს უნდოდათ მასიური კრების მოწყობა, რომელზედაც უნდა განეხილათ განიარაღების საკითხი. პოლიციამ კრების მოწვევა აკრძალა.

ჰოლანდიის კომპარტიის კონფერენციის დადგენილება

ბერლინი, 3 აპრილი. ამსტერდამში გაიმართა ჰოლანდიის კომპარტიის კონფერენცია, რომელმაც ერთხმად დაადგინა აწარმოოს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, კომინტერნის ხაზის დასაცავად და დამოუკიდებელი ეკონომიური ბრძოლის წარმოებისათვის (ადს)

გიბსონი—ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარე

ვაშინგტონი, 2 აპრილი. სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარედ განიარაღების მოსამზადებელი კონფერენციაზე დანიშნულია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ელჩი ბელგიაში გიბსონი. დელეგაციას დავალებული აქვს ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ დაეკითხოს ვაშინგტონს. (ადს).

კახეთის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

გურჯაანი, 3 აპრილი. ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა პლენუმმა გამოჰყო პრეზიდიუმი 19 წევრისა და 8 კანდიდატის შემადგენლობით. თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. [illegible], მოადგილედ ამხ. ბაბაშვილი. არჩეულია განყოფილებათა გამგეობები. მაზრის ცენტრად დამტკიცებულია გურჯაანი. (ადს).

კანონპროექტი „საზოგადოებრივი უშიშროების" შესახებ

ლონდონი, 2 აპრილი. რეიტერის სააგენტო ნიუ-დელიდან იუწყება:

„დიდი სენსაცია გამოიწვია საკანონმდებლო კრების თავმჯდომარის პატელის წინადადებამ საზოგადოებრივი უშიშროების კანონპროექტის განხილვის გადადების შესახებ. თავისი წინადადების დასასაბუთებლად პატელმა განაცხადა: ამჟამად ირჩევა მირუტში მომხდარ შეთქმულების საქმე და მეტად ძნელია კანონპროექტის განხილვა ისე, რომ არ შევეხოთ ამ საქმის გამოძიებით აღძრულ საკითხებსაო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა — წარუდგინოს მთავრობას განსახილველად პატელის წინადადება".

შენიშვნა: ეხლანდელ სესიაში ეს კანონპროექტი ინგლის - ინდოეთის მთავრობამ შეიტანა განმეორებით, რადგან სექტემბერში კრებამ არ მიიღო იგი. კანონპროექტი უფლებას აძლევს მთავრობას — გააძეოს ბრიტანეთის ინდოეთიდან კომუნისტები და სხვა მავნე პირები. (ადს)

სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის მოხსენება

პარიზი, 2 აპრილი. სამოილოვიჩის და ჩუხნოვსკის მოხსენებანი, რომლებიც ბრიუსელში მოაწყო მემარცხენე ლიტერატორების ჯგუფმა, დიდის წარმატებით ჩატარდა. დარბაზი, სადაც მოხსენებები გაიმართა, ვერ იტევდა ყველა დამსწრეებს. (ადს).

საბჭ. კავშირის სახ. მეურნეობის განვითარების 5 წ. გეგმა

კამათი ამხ. ტოცკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 3 აპრილი 30 აპრილს საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ტოცკის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ ამხ. მიქოიანი, სულიმოვი, ტერ-გაბრიელიანი, ჩუცკაევი, მილიუტინი, ბრიუხანოვი, ლეჟავა, კობეევი (უზბეკისტანი), გოლდინი (ურალი) და სხვები.

ორატორების უმრავლესობას კორექტივები შეჰქონდა ხუთწლიან გეგმაში თავიანთი რაიონების თვალსაზრისით

ამხ. ტერ-გაბრიელიანის სიტყვა

მოსკოვი, 3 აპრილი. სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმის განხილვის დროს სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტერ-გაბრიელიანმა.

„ამიერ-კავკასიის უდიდესი უპირატესობა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების წინაშე იმაში მდგომარეობსო,—სთქვა ამხ. ტერ-გაბრიელიანმა, რომ მას მოეპოვება წყლის უდიდესი რესურსები, რომლებიც შეიძლება გადაიქცეს იაფი ენერგიის მისაღებ წყაროთ. სახ. საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ ხუთწლიან გეგმაში ეს გარემოება არ არის გათვალისწინებული. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აგრეთვე ამიერ-კავკასიის სამთო სიმდიდრეთა გამოყენების საკითხი. 8—9 მილიონი მანეთი, გეგმით გათვალისწინებული ამიერ-კავკასიის სამთო მრეწველობის განვითარებისათვის, მეტად უმნიშვნელო თანხაა. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობას პრიმიტიული ფორმები ახასიათებს. უმრავლეს რაიონებში უინვენტარო გლეხობა 52 პროცენტს შეადგენს. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის გამოსაყვანად ამ პრიმიტიული მდგომარეობიდან საჭიროა მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება ირიგაციისა და სას. მეურნეობის მექანიზაციის საქმეში".

ახალი დიდი საავტომობილო ქარხანა

მოსკოვი, 3 აპრილი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა „გლავმაშსტროი"-ს მოხსენება ახალი დიდი საავტომობილო ქარხნის აგების შესახებ. ქარხანამ წლიურად უნდა გამოუშვას 100.000 მანქანა. ამხ. კუიბიშევმა დასკვნა გაუკეთა მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათს და აღნიშნა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება დიდი საავტომობილო ქარხნის აგების შესახებ სავსებით დროულია: მეტიც: საჭირო იქნება მაქსიმალურად გადიდდეს ავტომობილების გამოშვება არსებულ ქარხნებშიაც, აგრეთვე დაიწყოს ახალი ქარხნის აგება მძლავრი სამტონიანი საბარგო ავტომობილების გამოსაშვებად. ახალი დიდი საავტომობილო ქარხნის აგება აუცილებლად უნდა დაჩქარდეს, მას სასწრაფოდ უნდა მიეცეს ძირითადი სამრეწველო დავალება. განისაზღვროს მომავალი ავტომობილის ტიპი, ქარხნის აგების ადგილი და თვითღირებულება. უფრო მიზანშეწონილი იქნება ახალი ქარხნისათვის დაწესდეს „ფორდ"-ის ოთხცილინდრიანი ავტომობილის ტიპი, ტონა-ნახევრიანი ტვირთწევით. ორი რაიონიდან—მოსკოვიდან და ნიჟნი-ნოვგოროდიდან—ქარხნის ასაგებ ადგილად უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ნიჟნი-ნოვგოროდი. მანქანის საორიენტაციო თვითღირებულება უნდა განისაზღვროს 1.500—2.000 მანეთით; „გლავმაშსტროი"-მ 1929-30 წელს უნდა მოაწყოს ავტომობილის საიმპორტო ნაწილების საცდელი აწყობა „ფორდ"-ის ტიპის, რაც შეიძლება მეტი ავტომობილების დასამზადებლად. რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნან არსებული საავტომობილო ქარხნები.

საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა ამხ. კუიბიშევის წინადადებანი. (ადს).

ჟურნალი „პროლეტარული რევოლიუცია"

მოსკოვი, 3 აპრილი. საკავშირო კომ. პარტიის (ბ) პარტისისა და ლენინის ინსტიტუტის გაერთიანების გამო, ჟურნალ „ზაპისკი ინსტიტუტა ლენინა"-სა და „პროლეტარსკაია რევოლიუცია"-ს მაგივრად გამოიცემა მხოლოდ „პროლეტარსკაია რევოლიუცია", რომელიც ამჟამად ლენინის ინსტიტუტის ორგანოა და გამოდის ყოველთვიურად. ამის გამო დამტკიცებულ იქნა ახალი კოლეგია, რომელშიაც შევიდნენ ამხ. ადორატსკი, ბუცევსკი, გორინი, კორშუნოვი, ოლმინსკი და საველიევი. „პროლეტარსკაია რევოლიუცია" უნდა გადაიქცეს ლენინიზმის საკითხებისა და საკავშირო კ.პ. (ბ) და კომინტერნის ისტორიულ-საგამომკვლეო ორგანოდ. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარტიის წმენდის წინ

მოსკოვი, 4 აპრილი. მოსკოვის მთელ რიგ დიდ პარტიულ ორგანიზაციებში უკვე შეუდგნენ ამხ. ემ. იაროსლავსკის თეზისების განხილვას პარტიული წმენდის შესახებ. საწარმოთა პარტიულ უჯრედებს თავიანთი დამატებანი და შესწორებანი შეაქვთ ამხ. იაროსლავსკის თეზისებში.

ტრიოხგორნის მანუფაქტურის პარტიული უჯრედები იძლევიან წინადადებას პარტიული წმენდა დაწყებულ იქნას საკავშირო პარტკონფერენციის დასრულებისთანავე. ამავე უჯრედის წინადადებით დიდი საწარმოო უჯრედები უნდა გაწმენდილ იქნან ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრების მიერ.

პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების მზადება

მოსკოვი, 4 აპრილი. პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება მიმდინარე გაზაფხულსა და ზაფხულისთვის აწყობს დიდ ექსკურსიებს საქართველოს სამხედრო გზის და ოსეთის სამხედრო გზის ფეხით გასავლელად. ექსკურსიები ინახულებენ საქართველოს ყველა თვალსაჩინო პუნქტებს.

ამასთან ერთად პროლეტარულ ტურიზმის საზოგადოება იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელნი ახლო გაეცნონ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას, აწყობს ექსკურსიებს ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეთა მშრომელთათვის ვოლგის მხარის, მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასის, ხარკოვის, კიევის, ოდესის და ყირიმის დასათვალიერებლად. ამხანაგობა აქედანვე ღებულობს ზომებს, რომ სათანადო შეთანხმება დაიდოს ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებთან.

მოსკოველი ფეხბურთელების გამომგზავრება შეჯიბრებაზე

მოსკოვი, 4 აპრილი. გუშინ აქედან ამიერ - კავკასიაში გამოემგზავრა „დინამო"-ს გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები. დინამოელები მოდიან იმ მიზნით, რომ შეჯიბრება მოაწყონ ბაქოს ფეხბურთელებთან და შემდეგ ასეთივე შეჯიბრება ჩაატარონ თბილისში და ბაქოში.

ამ კვირის დასასრულს საქართველოში გამოემგზავრება მოსკოვში ცნობილი ფეხბურთელთა გუნდი „კორა", რომელიც აგრეთვე შეჯიბრებას გამართავს თბილისისა და ბათომის ფეხბურთელებთან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-16 საკავშირო პარტკონფერენციისათვის

სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და საშუალო გლეხობისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება

(ამხ. კალინინის მოხსენების თეზისები, მოწონებული საკ. კ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მიერ)

თავი პირველი

სოფლის მეურნეობის განვითარების გზები

1. აღდგენის პერიოდის შედეგად ღარიბმა და საშუალო გლეხობამ დაამუშავა არა თუ წინანდელი თავისი მიწები, არამედ ძირითადი ნაწილიც ყოფილ მემამულეთა და სახაზინო მიწებისა, რომლებიც მას გადაეცა, და ის მიწებიც, რომლებიც კულაკებს წაერთვა. სოფლის ფენებად დაყოფის განვითარების მიუხედავად, საშუალო გლეხი განმტკიცდა, როგორც მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურა. ამასთან ერთად გაიზარდა ღარიბ და საშუალო მეურნეობათა საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფაც, აიწია მათმა აგრიკულტურმა დონემ. სამუშაო საქონლით უზრუნველყოფაც წლითი-წლობით იზრდება. გლეხთა ნათესების უზრუნველყოფამ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით ომის წინადროინდელ დონეს გადააჭარბა. სოფლებს შორის მიწათმოწყობა ჩატარებულ იქნა მიწის მთელი სივრცის დაახლოვებით ერთ მესამედზე, ხოლო სოფლის შიგნით მიწათ-მოწყობა ამ სივრცის დაახლოვებით ერთ მეხუთედზე. ის სივრცე, რომელზედაც სწარმოებს მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა გაიზარდა ცხრა მილიონ ჰექტარამდე. 1929 წელს ხარისხიანი თესლით დაითესება მარცვლეულის კულტურებით დაჭერილი მთელი ნათესი სივრცის დაახლოვებით მეათედი ნაწილი. სხვადასხვა ტეხნიკურმა კულტურებმა, რომელთა თესვა რევოლიუციამდე მემამულეთა პრივილეგიას შეადგენდა, ფეხი მოიკიდეს გლეხთა მინდვრებში (მაგალითად, ჭარხალი), ტეხნიკური კულტურების ნათესებმა 60 პროცენტზე მეტით გადააჭარბეს ომის წინადროინდელ დონეს. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია თანდათან ვრცელდება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგზე (ზეთის, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, მესაქონლეობის ნედლეულის და სხვ. გადამუშავება). სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება 1928—29 წელს 2,25-ჯერ სჭარბობს ომის წინადროინდელ დონეს. გლეხის მეურნეობაში პირველად ხდება მინერალურ სასუქის გამოყენება ტეხნიკური კულტურებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმულია გლეხურ მეურნეობათა მესამედზე მეტი. ტრაქტორები, რომლებსაც რევოლიუციამდე სრულებით არ იყენებდნენ გლეხურ მეურნეობაში, წლითი-წლობით ვრცელდება (1928—29 წელს ტრაქტორების რიცხვი 36.000-ს აღწევს). წლითი-წლობით იზრდება კოლმეურნეობათა რიცხვი (უკანასკნელი წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა რიცხვი გაორკეცდა და 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის მიაღწია 37.000-ს). მათი მუშაობაც უმჯობესდება. ვითარდებიან ძველი საბჭოთა მეურნეობები, ეწყობა ახლები (საბჭოთა მეურნეობებით დაჭერილი ნათესი სივრცე მიმდინარე წელს 1,5 მილიონ დესეტინას აღწევს).

2. მაგრამ სოფლის მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად ხდება სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების, განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის, ზრდის ტემპის საგრძნობლად შენელება. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის ამ შენელებისა და მის მეტად მცირე საქონლიანობის მიზეზს შეადგენს გლეხური მეურნეობის დაქსაქსულობა და დაქუცმაცება (გლეხურ მეურნეობათა რიცხვი რევოლიუციის განმავლობაში გაიზარდა 16-დან 25 მილიონამდე), მისი ნახევრად ნატურალური ხასიათი (სოფლის მეურნეობის საერთო საქონლიანობა, ომის წინა დროსთან შედარებით, შემცირდა დაახლოვებით ერთი ორად), სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკისა და კულტურის დაბალი დონე. თუ აღდგენითი პერიოდი, რომელმაც მოგვცა წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის სწრაფი განვითარება, მიღწეულ იქნა პირველ რიგში ყოფილ მემამულეთა, სახაზინო და კულაკების მიწების გამოყენების ხარჯზე, აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ იზღუდება წვრილ მეურნეობათა განვითარება, განსაკუთრებით მისი საქონლიანობის ზრდა მეურნეობის ეხლანდელი რაოდენობისა და წარმოების საშუალებათა ჩარჩოებში. ამის გამო სოფლის მეურნეობა დიდად ჩამორჩება ინდუსტრიის განვითარების ტემპს, რამაც არ შეიძლება არ შექმნას სიძნელენი სურსათის და ნედლეულის დარგში, განსაკუთრებით პურსა და ნედლეულის მოხმარების სწრაფად ზრდის გამო. აქედან გამომდინარეობს ის, რომ აუცილებლად საჭიროა მტკიცე და სისტემატიური მუშაობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და მსხვილი განსაზოგადოებული მიწათმოქმედების შესაქმნელად, რომელიც თანამედროვე ტეხნიკის დონეზე იდგება, ამავე დროს დახმარება უნდა გაეწიოს ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებას.

3. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნა, რომელიც გადამჭრელ მეთოდს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომის ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში, შეიძლება მიღწეულ იქნას ან მსხვილი კულაკურ-კაპიტალისტური მეურნეობის შექმნით ან მსხვილი სოციალისტური მეურნეობის შექმნით (საბჭოთა მეურნეობანი და წვრილ მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობებში, კომუნებში, არტელებში, ამხანაგობებში და სხ.). დარჩებიან გლეხთა მასები მუშათა კლასთან კავშირის ერთგულნი, თუ ბურჟუაზიას საშუალებას მისცემენ ჩამოაშორონ ისინი მუშათა კლასს,—ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გზით წავა სოფლის მეურნეობის განვითარება—სოციალისტური თუ კაპიტალისტური გზით, და იმაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებს მეურნეობის განვითარებას—კულაკი თუ სოციალისტური სახელმწიფო. სოფლის კაპიტალისტური გზით განვითარება, როგორც გვიჩვენებს კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითი, ნიშნავს სოფლად ძლიერი კაპიტალისტური კლასის (კულაკების) შექმნას, რომელიც მრავალი მილიონი წვრილი და უწვრილესი მეურნეობის დაუნდობელი ექსპლოატაციის, მათი გაღატაკებისა და ჩაყლაპვის საშუალებით ხელში ჩაიგდებს საწარმოო საშუალებათა ძირითად მასას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად ნაწილს. მსხვილ ინდივიდუალურ მეურნეობათა შექმნის ამ კაპიტალისტურ გზას საბჭოთა ხელისუფლება უპირისპირებს მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის შექმნის პროლეტარულ მეთოდს. მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობა, ამ უკანასკნელი მეთოდის მიხედვით, უნდა შეიქმნეს საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის საშუალებით, რომელიც წვრილ და უწვრილეს მეურნეობას, საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და ხელმძღვანელობით, საშუალებას აძლევს გაერთიანდეს კოლექტიური შრომის ნიადაგზე და მიაღწიოს ტეხნიკისა და კულტურის უმაღლეს საფეხურს. განვითარების ეს გზა, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ გლეხობის მილიონიანმა მასებმა თავი დააღწიონ სიღარიბეს და გაღატაკებას, ნიშნავს სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ზრდას არა მარტო შეზღუდვას, არამედ მათ განდევნას მსხვილი საზოგადო მეურნეობის საშუალებით (სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობის საშუალებით). ამასთან კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ლენინის შემდეგი მითითებებით:

„თუ გლეხურ მეურნეობას შეუძლია შემდგომი განვითარება, საჭიროა მტკიცედ იქნას უზრუნველყოფილი შემდგომი გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე ნაკლებად სასარგებლო და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განცალკევებული გლეხური მეურნეობა თანდათან გაერთიანდეს და შექმნას მან განსაზოგადოებული მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობა" (ლენინი, ტომი მე-17, ნაწილი 1, გვერდი 189).

4. სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და მსხვილი განსაზოგადოებული სასოფლო - სამეურნეო წარმოების შექმნის ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა ქვეყნის განვითარების ეხლანდელ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია ემყარებიან: ა) მრეწველობის სწრაფ განვითარებას, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების სწრაფ ზრდას, ბ) სახალხო მეურნეობის გეგმიან მოწესრიგებას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას უკავშირებს მრეწველობის სწრაფ ტემპს, გ) მიწის ნაციონალიზაციას, რომელიც აიაფებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღირებულებას და გლეხს საშუალებას აძლევს დააბანდოს წარმოებაში ის თანხები, რომლებიც მიწის კერძო საკუთრების დროს მას უნდა დაებანდებინა მიწის ყიდვაში, დ) სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ზრდის სისტემატიურად შეზღუდვას, რაიც, ანთავისუფლებს რა ღარიბ და საშუალო გლეხს კულაკური უღლიდან, უადვილებს მათ სამეურნეო განვითარების შესაძლებლობას, ე) საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების ზრდას, რაიც წვრილ და უწვრილეს მეურნეობებს საშუალებას აძლევს საწარმოო პროცესების გაერთიანების გზით გამოიყენონ მსხვილი მეურნეობის ის უპირატესობანი, რომელნიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში მისაწვდომია მხოლოდ კულაკებისათვის, ვ) ნაციონალიზაციაქმნილი საკრედიტო სისტემის და სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენებას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ზ) მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელთა მასების მხრივ პარტიის პოლიტიკისათვის უეჭველად მხარის დაჭერას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ამგვარად, თუ აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ გამოაშკარავდა წვრილ მეურნეობათა შემდგომი განვითარების შეზღუდული შესაძლებლობა, ამავე დროს გაიზარდნენ პროლეტარული სახელმწიფოს თვისებრივი რესურსები, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ საბჭოთა სისტემის უპირატესობანი გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დასაჩქარებლად ახალი სამანქანო ტეხნიკის ნიადაგზე და წვრილ მეურნეობათა გასაერთიანებლად კოლექტიური შრომის ნიადაგზე.

5. მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის განვითარება საბჭოთა ქვეყანაში სწარმოებს წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა არა ჩაყლაპვის, დანგრევის, მოსპობისა და გაღატაკების გზით, არა მათთან ბრძოლის გზით, არამედ მათი ეკონომიური განვითარებისა და ზრდის, ტეხნიკისა და კულტურის უმაღლეს დონეზე აყვანის გზით. მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობა, ინდივიდუალურ და ღარიბ მეურნეობებს არ უპირისპირდება როგორც მტრული ძალა, არამედ უკავშირდება, მათ როგორც მათი დახმარების წყარო, როგორც მსხვილი მეურნეობის უპირატესობის მაგალითი, როგორც მათთვის ხელისშემწყობის ორგანიზატორი მსხვილ მეურნეობებად თანდათან გაერთიანების საქმეში. ამასთან შეფარდებით პარტია აწარმოებს თავის პრაქტიკულ მუშაობას სოფლად, იგი ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობისათვის ეკონომიურ, ტეხნიკურ და აგროკულტურულ დახმარებას უკავშირებს მსხვილი სახელმწიფო კოლექტიური მიწადმოქმედების პოზიციების განმტკიცებას და გაფართოვებას. რამდენადაც სამიწადმოქმედო შრომის ნაყოფიერების აუცილებლად საჭირო გადიდების გადამჭრელ მეთოდს წარმოადგენს მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების შექმნა, იმდენად პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გადაუხრელად, წლითი-წლობით, მრეწველობის მიერ შექმნილი ნივთიერი ბაზისის ზრდასთან ერთად, ხელი უნდა შეუწყონ კოლექტივების შექმნასა და ზრდას, უნდა აღმოუჩინონ მათ უფრო და უფრო მეტი ფინანსიური და მატერიალური დახმარება, რადგან საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მაქსიმალურად შესაძლო განვითარების დროსაც კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად ზრდას მახლობელ წლებში მოგვცემს ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობა, რადგან წვრილ მეურნეობას ჯერ კიდევ სრულებით არ ამოუწურავს და მალე არ ამოსწურავს თავის შესაძლებლობას, ამიტომ პარტიამ უფრო და უფრო ფართოდ და მეტად უნდა შეუწყოს ხელი ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა ტეხნიკური, კულტურული და ორგანიზაციული ჩამორჩენილობის დაძლევას, ამ მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდებას და ნათესი სივრცის გაფართოვებას. ამგვარად, პარტია მხოლოდ მაშინ, თუ მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ძირითადი და მთავარი ამოცანის გადაწყვეტისათვის მუშაობას დაუკავშირებს ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობისათვის ყოველდღიური, ფართო საორგანიზაციო ტეხნიკური და ეკონომიური დახმარების აღმოჩენას, კულაკის ზრდის შეზღუდვის გაძლიერებას,—შესძლებს შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანა და გახდეს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ყოველივე ამასთან შეფარდებით, გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის ისეთ ძველ ფორმებთან ერთად როგორიც არის მრეწველობის საქონლის ბრუნვის განვითარება და გაძლიერება სოფლად და სავაჭრო კოოპერატიული ფორმების განვითარება, წამოყენებულია ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმები, იმ კავშირის, რომელიც ვითარდება მუშათა კლასისა და გლეხობის საწარმოო დაკავშირების ნიადაგზე. თუ უკანასკნელ დრომდე გლეხობა პროლეტარიატს მისდევდა, უპირველეს ყოვლისა, მისი რევოლიუციონური მუშაობის შედეგებისადმი ნდობის გამო (მემამულეთა კლასის მოსპობა და მემამულეთა მიწის გადაცემა გლეხობისათვის), განვითარების ეხლანდელ სტადიაში ეს ნდობა შეიძლება შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ საბჭოთა ხელისუფლება სისტემატიურ საწარმოო დახმარებას გაუწევს ღარიბ და საშუალო გლეხობას სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. ამ ამოცანის გადაწყვეტის მეტად თვალსაჩინო მეთოდი, ქალაქის და სოფლის კავშირის ახალი, მეტად თვალსაჩინო ფორმები, რომელთა მნიშვნელობაც წლითი-წლობით გაიზრდება, არის: ა) ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა და ძველი საბჭოთა მეურნეობების გაუმჯობესება, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ფაბრიკებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა ყოველმხრივი დახმარების ცენტრებს, ბ) ახალი კოლექტიური მეურნეობების შექმნა და ძველი კოლექტიური მეურნეობების განვითარება, რომლებიც წარმოადგენენ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირებისა და განსაზოგადოებულ მეურნეობაში გაერთიანების უმაღლეს ფორმას; გ) სახელმწიფო და კოოპერატიული მანქანა-ტრაქტორის სადგურების ქსელის ფართოდ განვითარება, რაც წარმოადგენს მთელ ინდივიდუალურ მეურნეობათა მთელი მასის მთავარი საწარმოო პროცესების განსაზოგადოების ერთ-ერთ მეთოდს; დ) საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების ყოველმხრივი განვითარება, ამასთან განსაზოგადოებული შრომის ელემენტების უფრო და უფრო გაძლიერება საწარმოო კოოპერაციაში; ე) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მასიური კონტრაქტაციის შემდგომი განვითარება არა მარტო იმგვარად, რომ იგი წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მრეწველობასთან დაკავშირების ფორმას, არამედ იმგვარადაც, რომ იგი წარმოადგენდეს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შრომის ნაყოფიერების დონის გადიდების მეთოდს, ვ) სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების მუშაობის განვითარება წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა მოსავლიანობის გასადიდებლად, რომელი მუშაობაც უნდა წარმოადგენდეს საშუალებას წვრილ და საშუალო მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისათვის ჯერ კიდევ არსებულ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად (მიწადმოწყობა, გასაქირავებელი და მარცვლის საწმენდი პუნქტები და სარემონტო სახელოსნოები, ბრძოლა მავნებლებთან, გლეხების ცუდი ხარისხის თესლის შეცვლა წმინდა ხარისხის თესლით და სხვ.).

6. ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების ნამდვილად განხორციელების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის შემდგომ განვითარებას. პარტია თავის მუშაობაში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის გამოდის იქიდან, რომ მრეწველობამ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში თავის განვითარებაში უნდა შექმნას „ნივთიერი საფუძველი სამიწათმოქმედო და საზოგადო სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების უდიდესად გადიდებისათვის, ამით მაგალითი უნდა მიეცეს წვრილ მიწადმოქმედებს, რათა მათ საკუთარი სარგებლობის მიხედვით არჩიონ მსხვილ კოლექტიურ, სამანქანო მიწადმოქმედებაზე გადასვლა" (ლენინი, კომინტერნის მეორე კონგრესის რეზოლიუცია აგრარულ საკითხზე, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 616).

თუ მრეწველობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში თავისი განვითარების პირველ საფეხურზე ემსახურება საგარეო ბაზრებსა და კოლონიებს, ხოლო თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურებზე ემსახურება სამხედრო იმპერიალისტურ მიზნებს, საბჭოთა ქვეყანაში მრეწველობა, თავისი განმტკიცების მიხედვით, უფრო და უფრო მეტად ემსახურება სოფლის ძირითადი მასების მეურნეობის ტეხნიკურ და აგრიკულტურულ განვითარებას და მსხვილი კოლექტიური და სახელმწ. მეურნეობის შექმნას, წარსული წლების გამოცდილება სავსებით ადასტურებს ამას. სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და ამ განვითარების ახალი ეტაპისათვის შესაფერ ფორმებში კავშირის განმტკიცების ძირითადი მეთოდი არის ინდუსტრიის შემდგომი განვითარება, რაც წარმოადგენს ძირითად პირობას თვით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და სიღატაკისაგან გლეხობის თავის დაღწევისათვის მათი განცალკევებული მეურნეობის განსაზოგადოებულ მეურნეობაში გაერთიანებით. ასეთია პარტიის გენერალური ხაზი გლეხთა საკითხში სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპზე, ხაზი, რომელიც სავსებით გამომდინარეობს მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის განმტკიცების ლენინური მეთოდიდან და რომელიც ემყარება პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს.

თავი მეორე

მემარჯვენეთა უმნიშვნელოვანესი შეცდომები გლეხთა საკითხში

გლეხთა საკითხში პარტიის გენერალური ხაზის გატარებას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშათა კლასის მთელი ძალღონის დაჭიმვას მოითხოვს, წინ ეღობებიან ისეთი სიძნელენი, რომელნიც გამომდინარეობენ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებიდან, ტეხნიკურად და ეკონომიურად ქვეყნის ჩამორჩენილობიდან, წვრილ - ბურჟუაზიული მოსახლეობის სიჭარბიდან და სოციალისტური შეტევისთვის კაპიტალისტური ელემენტების მხრით წინააღმდეგობის ზრდიდან. ასეთ პირობებში სოციალისტურ მშენებლობის ზრდას აუცილებლად თან სდევს განსაზღვრული რყევა წვრილ - ბურჟუაზიულ ფენებში, აგრეთვე მუშათა კლასის ზოგიერთ ფენებში, ეს რყევა თავის გამოხატულებას ჰპოვებს პარტიის ცალკე ფენებში, რომელნიც განიცდიან წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიის გავლენას, შორდებიან პარტიის გენერალურ ხაზს იმ მიმართულებით, რომ პარტიის პოლიტიკა შეუგუონ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. აქედან გამომდინარეობს პარტიის მემარჯვენე ელემენტების ქანაობა და რყევა, რაც განსაკუთრებით საშიშია თანამედროვე პირობებში.

გლეხთა საკითხში მემარჯვენეთა ამ შეცდომებიდან უმთავრესია შემდეგი:

1. წინააღმდეგ მე-15 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებისა, მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ შეაფერხონ და შეანელონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების განვითარება, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა ქვეყნის მომავლისათვის, როდესაც მიწადმოქმედების ეს ფორმები მთავარ ადგილს დაიჭერენ სოფლის მეურნეობაში, ისე თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით, როდესაც მსხვილი კულაკური მიწადმოქმედების ტიპის წინააღმდეგ პროლეტარული სახელმწიფო აყენებს მსხვილი მიწადმოქმედების განვითარებას სახელმწიფო და კოლექტიურ ფორმებში.

მემარჯვენეთა კურსს, მიმართულს იქითკენ, რომ უარყოფილ იქნას მსხვილი სოციალისტური ფაბრიკების მშენებლობა და კოლექტივების განვითარებისათვის თანდათან უფრო მეტად ხელის შეწყობა, რომ უარყოფილ იქნას სისტემატიურად და შეუდრეკელად გადაყვანა სოფლის მეურნეობისა მსხვილ წარმოების ბაზისზე, — ამ კურსს პარტია უფურებს როგორც პირდაპირ გადასვლას კულაკების პოზიციაზე, სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარებაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უარყოფას. პარტია უარჰყოფს პარტიული ხაზიდან ამ გადახრას მარჯვნივ ისევე გადაჭრით, როგორც უარჰყო მან რამდენიმე წლის წინად პარტიული ხაზის ტროცკისტული დამახინჯება, რომელიც ძირს უთხრის მუშათა კლასის კავშირს საშუალო გლეხობასთან.

2. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მოგვეპოვება სოფლის მეურნეობის ზრდისა და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების უტყუარი მაჩვენებლები, მემარჯვენე უკლონისტები თავიანთი ლაყბობით „სოფლის მეურნეობის დეგრადაციის" შესახებ აფუჩეჩებენ თავიანთ ოპორტუნისტულ პლატფორმას სოფლის მეურნეობის განვითარების გზების საკითხში.

მემარჯვენეთა ეს გოდება „სოფლის მეურნეობის დეგრადაციის" შესახებ, როგორც მემარჯვენეთა ანტილენინური თეორია სოფლის წვრილ - ბურჟუაზიული ფენებისათვის „მუდმივი დათმობის" შესახებ (უარყოფა ბაზარზე სახელმწიფო ორგანოების მომწესრიგებელი როლისა, კულაკთა ზედა ფენების ინდივიდუალური დაბეგვრის უარყოფა და სხვ.) სინამდვილეში წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოზე კაპიტალისტური ელემენტების შეტევის იდეოლოგიურ გამოხატულებას. პარტია გადაჭრით უარჰყოფს მემარჯვენეთა ამ კაპიტულიანტურ პოზიციას, რომელსაც სინამდვილეში გლეხობისადმი პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უარყოფამდე მივყევართ.

3. წინააღმდეგ პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებისა, მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ პარტიის ხაზი — „კულაკის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერებისაკენ"—შესცვალონ კულაკთან მშვიდობიანი მშენებლობის პოლიტიკით და „სოციალიზმთან კულაკის შეზრდის" პოლიტიკით. სინამდვილეში ეს ნიშნავს იმას, რომ მემარჯვენე ელემენტებმა აიღეს კურსი პარტიის იმ ძირითადი ხაზის უარყოფისაკენ, რომელიც მიზნად ისახავს კლასთა მოსპობას. ამით მემარჯვენეთა ხაზს მივყევართ კულაკების მხრივ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების ექსპლოატაციის გამუდმივებისაკენ.

აქედან გამომდინარეობს მემარჯვენეების მიერ სოფელში კლასთა ბრძოლის გამწვავების ფაქტის ოპორტუნისტული უარყოფა, წინააღმდეგ ლენინის მრავალი მითითებისა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კლასთა ბრძოლის შეწყვეტას კი არ ნიშნავს, არამედ მის გაგრძელებას ახალ ფორმებში, ხანდისხან მეტად მწვავე ფორმებში, განსაკუთრებით სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტური ელემენტების წარმატებით დაძლევასთან დაკავშირებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. პარტია გადაჭრით უარჰყოფს სოციალიზმთან კულაკის შეზრდის ანტილენინურ თეორიას, როგორც თეორიას, რომელსაც მივყევართ კლასობრივი მტრების წინაშე მუშათა კლასის განიარაღებისაკენ, მისი რევოლიუციონური სიფხიზლის მიძინებისაკენ, პარტიის გენერალური ხაზის ნიადაგზე სამეურნეო სიძნელეთა გადასალახავად ბრძოლის უუნარიანობის მოდუნებისაკენ.

4. მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ მიაფუჩეჩონ ღარიბ გლეხთა ფართო მასების დამოუკიდებელი ორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა. პარტიის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის მიფუჩეჩება მიმართულია არა მარტო ღარიბი გლეხის წინააღმდეგ, არამედ საშუალო გლეხის წინააღმდეგაც, რამდენადაც ღარიბ გლეხთა ორგანიზაცია მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის გაძლიერებას სოფლად, კულაკისთვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერებას და ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე ღარიბი და საშუალო გლეხის კავშირის განმტკიცებას. პარტია გადაჭრით უარჰყოფს ცდას, რომ იგი ჩათრეულ იქნას იმ პოლიტიკის ჭაობში, რომელიც უარჰყოფს პარტიის დასაყრდენის განმტკიცებას სოფლად და ხელს უხსნის კულაკს ღარიბ გლეხთან ბრძოლაში.

5. ცეკამ მოახდინა მუშათა კლასის ნებისყოფისა და აქტივობის მობილიზაცია ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალური შესაძლებელი ტემპის განსახორციელებლად იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია გლეხთა ფართო მასების ეკონომიურად მოღონიერებისაკენ და საზოგადოებრივი მსხვილი სასოფლო მეურნეობის შექმნისაკენ. წინააღმდეგ ლენინის პირდაპირი მითითებისა იმის შესახებ, რომ „სოციალიზმის ერთად-ერთ მატერიალურ საფუძვლად შეიძლება გახდეს მსხვილი სამანქანო მრეწველობა, რომელსაც შეუძლია მიწადმოქმედების რეორგანიზაცია" (ლენინი, ტომი 18, ნაწილი 1, გვერდი 316), მემარჯვენე უკლონისტები სცდილობენ შეანელონ ინდუსტრიის განვითარების ტემპი.

პარტია გადაჭრით უარჰყოფს ამ პოზიციას, არა კაპიტულიანტური წინადადება ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელების შესახებ, არამედ კავშირის განმტკიცება ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების გზით და მრეწველობის იმ დარგების სწრაფი განვითარებით, რომელნიც ახალ ნიადაგზე შემდგარ სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ,—ასეთია პარტიის პოზიცია. პარტიაში მემარჯვენე ელემენტების ეს მთავარი შეცდომები, აგრეთვე მათდამი შემრიგებელი დამოკიდებულება, ამჟამად წარმოადგენენ იმ ძირითად საფრთხეს, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც პარტიამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს. კონფერენცია ფიქრობს, რომ ამ საფრთხის გადაულახავად შეუძლებელია დაძლევა იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც წინ ეღობებიან სოფლის მეურნეობის განვითარებას, მის რეკონსტრუქციას. პარტია მომავალშიაც გადაუხრელად გაატარებს ლენინურ ლოზუნგს: ღარიბ გლეხებზე დაყრდნობა, მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, ბრძოლა კულაკთან. პარტია, რომელიც გადაჭრით უკუაგდებს მემარჯვენეთა გადასვლას სამეურნეო მშენებლობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უარყოფის ხაზზე, ისევე, როგორც პარტიამ წინად უკუაგდო ტროცკისტული შეხედულება საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ, ლენინური გზით შესძლებს გადასჭრას მის წინაშე მდგომი ისეთი ამოცანები, როგორიც არის მთელი სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცება და ამ კავშირში პროლეტარული მეთოდებით მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, მსხვილი საზოგადოებრივი მიწადმოქმედების შექმნა და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მთელი მასის ტეხნიკისა და კულტურის უმაღლეს დონემდე აწევა.

გამოდის რა ყველა ზემოხსენებულიდან, კონფერენციას საჭიროდ მოაჩნია შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება.

თავი მესამე

პრაქტიკული ღონისძიებანი კავშირის ახალი ფორმების განსამტკიცებლად და საშუალო გლეხობის დაბეგვრის შესამსუბუქებლად

1. კონფერენცია პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა მედგარი და ხანგრძლივი მუშაობა ცაკის სესიის იმ დეკრეტის განსახორციელებლად, რომელიც მოსავლიანობის ასაწევ ღონისძიებებს შეეხება. განსაკუთრებით საჭიროა, რომ დეკრეტებით გათვალისწინებულ ვადებში და იქ ნაჩვენებ ფარგლებში გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად ჩვენს ქვეყანაში ხუთი წლის დამლევისთვის სულ მცირე 20-25 პროცენტამდე: ა) დაჩქარება რესპუბლიკების მთავრობების მიერ გათვალისწინებული ვადებისა მიწათმოწყობის დასამთავრებლად და გატარება, პირველ რიგში, მიწათმოწყობის ყველაზე უფრო მარტივი ფორმებისა, რომლებიც სპობენ მიწათმოუწყობლობის ძირითად შეცდომებს: მიწის ნაჭრების დაქუცმაცებას, მიწის ნაჭრების სიმრავლეს, მიწის ნაკვეთების დაშორებას მეურნეობიდან; ბ) შეცვლა ხუთი წლის განმავლობაში გლეხების ყველა ძირითად კულტურაში ცუდი ხარისხის თესლისა გაუმჯობესებული, კარგი ხარისხის თესლით; გ) სოფლის მეურნეობის მომარაგება ორი-სამი წლის განმავლობაში ყველა საჭირო მანქანით მთელი მარცვლეულის გასაწმენდად და დასახარისხებლად, მოწყობა ამავე დროს განმავლობაში თესლის სავალდებულო წმენდისა და დახარისხებისა ყველგან, აგრეთვე ბრძოლა სარეველა ბალახთან; დ) მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა გაფართოვება ორი-სამი წლის განმავლობაში იმ ფარგლებამდე, რომლებიც სრულებით უზრუნველჰყოფენ სოფლის მეურნეობის საჭიროებას, და მავნებლებთან მასიური ბრძოლის ორგანიზაცია; ე) გასაქირავებელი პუნქტებისა და სარემონტო სახელოსნოების ქსელის გაფართოვება იმ ფარგლებამდე, რომლებიც უზრუნველჰყოფენ იმ მანქანების განუწყვეტელ მუშაობას, რომლებითაც სოფლის მეურნეობა სარგებლობს, გაფართოვება იმ დონემდე, რომ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს შეეძლოთ ისარგებლონ რთული მანქანებით; ვ) მასიურად გავრცელება უმარტივესი აგრი-კულტურული ღონისძიებებისა, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის დეკრეტით: „მოსავლიანობის ასაწევ ღონისძიებათა შესახებ" (გავრცელება აგრონომიული ცოდნისა, გაძლიერება აგრონომიული დახმარებისა გლეხებისათვის).

2. კონფერენცია სავსებით იწონებს იმ კანონის ძირითად პრინციპებს, რომელიც შეეხება სასოფლო - სამეურნეო გადასახადს და რომელიც გადასახადისაგან ანთავისუფლებს მცირე შეძლების მეურნეობებს (მეურნეობათა საერთო რიცხვის 35 პროცენტს), საგრძნობ შეღავათებს აძლევს კოლექტივებს და მთელი გადასახადის 35-45 პროცენტს აკისრებს კულაკურ ზედაფენების მეურნეობებს (4-5 პროცენტს). პარტკონფერენცია სავსებით იწონებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცეკამ გაატარა საშუალო გლეხისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, გამოდის რა იქიდან, რომ ამ ღონისძიებებმა პურზე ფასის აწევასთან ერთად, უნდა დააინტერესონ საშუალო გლეხი იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელნიც ხელს უწყობენ მისი მეურნეობის კულტურული და ტეხნიკური დონის აწევას. კერძოდ, კონფერენცია სავსებით იწონებს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის არა ნაკლებ 50 მილიონი მანეთით შემცირებას, მახლობელი ორი წლის განმავლობაში ღარიბ და საშუალო მეურნეობებში მომატებული ნათესი სივრცის განთავისუფლებას, გადასახადისაგან, საგადასახადო შეღავათებს ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის, რომლებიც მოსავლიანობის შესახებ გამოცემული დეკრეტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ანხორციელებენ, იმ მუხლის გამოყენების გადაჭრით აკრძალვას, რომელიც შეეხება საშუალო მეურნეობის ინდივიდუალურ დაბეგვრას, მემინდვრეობაში, მესაქონლეობაში და მეველეობაში მოსავლიანობის ნორმების დაწესებას და დაბეგვრის პროგრესიას სამი წლისათვის, გადასახადის შემცირებას იმ მეურნეობებისათვის, სადაც მრავალი მჭამელია, შეღავათებს იმ მეურნეობათათვის, რომლებიც მრავალ მინდვრიან თესლ - ბრუნვას აწარმოებენ და, ამასთან ერთად, კულაკურ მეურნეობათა უფრო მდიდარი ნაწილის ინდივიდუალური დაბეგვრის სავსებით შენარჩუნებას (მთელს კავშირში 2-დან 3 პროცენტამდე). კონფერენცია მოითხოვს ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკებისაგან, რომ გადასახადის პრაქტიკულად გატარების დროს უზრუნველყოფილ იქნას რევოლიუციონური კანონიერების მტკიცედ დაცვა და არ იქნას დაშვებული [illegible] კანონიდან არავითარი გადახრა იმ მხრივ, რომ გადამხდელის მდგომარეობა გაუარესდეს. საკითხს მთლიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად გატარების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ადგილობრივად, პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ, რამდენადაც რევოლიუციონური კანონების ყოველგვარი დარღვევა ამ დარგში განსაკუთრებით მავნებელია გლეხების ნდობის გაძლიერებისა და მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცების თვალსაზრისით.

3. პარტიის მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა და განსაკუთრებით მე-15 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ სათანადო ადგილი ვერ დაიჭირა საწარმოო კოოპერაციაში გლეხობის ჩასაბმელად წარმოებულმა მუშაობამ და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობამ. ამასთან დაკავშირებით, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად და საკმაოდ ჩაითვალოს, როგორც მსხვილი კოლექტიური მიწადმოქმედების შექმნისა და მისი ზრდისათვის ხელის შეწყობის ხაზით, ისე ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის აგროკულტურული და ტეხნიკური დახმარების აღმოჩენის ხაზით.

კონფერენცია წინადადებას აძლევს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში მომუშავე კომუნისტებს — გააძლიერონ მუშაობა მე-15 პარტიული ყრილობის მიერ მოცემული დირექტივების შესასრულებლად და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ: ა) გაფართოვდეს ღარიბი და საშუალო გლეხობის კოოპერატიულ ორგანიზაციებში ჩაბმა, ბ) სავაჭრო საქმიანობის საფუძველზე უფრო ენერგიულად გაიზარდოს მუშაობა გლეხური მეურნეობის საწარმოო კოოპერაციაში ნამდვილად და არა ფორმალურად ჩასაბმელად, გ) ძირითადი კოოპერატიული - საწარმოო გაერთიანებანი განუწყვეტლივ გარდაიქმნენ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, დ) თანდათან გაძლიერდეს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებელ საწარმოთა განვითარება და ამ მშენებლობაში ფართოდ ჩაბმულ იქნას თვით გლეხობის სახსრები, ე) ფართოდ განვითარდეს კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობის თვითმოქმედება, ინიციატივა და თვითკრიტიკა. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში კონტრაქტაცია უნდა გადაიქცეს იმ საწარმოო მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდად, რომელიც სწარმოებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი რეკონსტრუქციისათვის, რისთვისაც ხელშეკრულებებში შეტანილ უნდა იქნას ისეთ უმარტივეს აგროკულტურულ ღონისძიებათა მინიმუმი, რომელთა მიღება სავალდებულო უნდა იყოს კონტრაქტაციაში ჩაბმული მეურნეობებისათვის, უზრუნველყოფილ უნდა იქნას აგრონომიული დახმარების აღმოჩენა იმ მეურნეობებისათვის, რომლებმაც ხელშეკრულებები დასდეს, ფართოდ განხილულ იქნას საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები გლეხთა კრებებზე, შეთანხმებულ იქნას მუშაობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, თესლისა და სასუქის მიწოდების და კონტრაქტაციებისათვის კრედიტების მიწოდების საქმეში.

4. კონფერენცია სავსებით იწონებს ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებას ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ ისეთი მასშტაბით, რომ 1932 წლისათვის უზრუნველყოფილ იქნას სულ მცირე 100 მილიონი ფუთი ბაზარზე გამოსატანი პურის დამზადება, კონფერენცია იწონებს აგრეთვე ამ ამოცანის განხორციელებისათვის მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს. კონფერენციას ეს დავალება მიაჩნია მინიმალურად და წინადადებას აძლევს პარტიის ცეკას უზრუნველჰყოს მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად გამოსადეგი დამატებითი თავისუფალი საადგილ - მამულო ფონდების შემდგომი ძებნა, რათა ხუთი წლის დამლევისათვის „ზერნოტრესტს" ექონდეს 10-12 მილიონი ჰექტარი მიწა, როგორც რეზერვი საბჭოთა მეურნეობების შემდგომი გაფართოვებისათვის.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ძველი საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესებისათვის ჩატარებული მუშაობა საკმაო არ არის და იწონებს პოლიტბიუროს იმ გადაწყვეტილებებს „გოსსელსინდიკატ"-ის, შაქრის ტრესტის და უკრაინის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებათა მოხსენებების გამო, რომელთა დანიშნულებაც შეადგენს ძველი საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება. კონფერენცია წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს — უზრუნველჰყონ ამ გადაწყვეტილებათა სავსებით განხორციელება.

5. კონფერენცია სავსებით იწონებს ცეკას მიერ კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის მატერიალური და ფინანსიური დახმარების გასაწევად მიღებულ ზომებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო არსებითი ფაქტი, რომელიც ცხადჰყოფს კოლმეურნეობათა მშენებლობის მთელ ცხოველმყოფელობას, არის ის, რომ კოლმეურნეობანი იზრდებიან თვით გლეხთა მასების თვითმოქმედებისა და ინიციატივის საფუძველზე და რომ მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი უკვე გამოხატულებას პოულობენ კოლექტივებში (კოლმეურნეობებში მოსავალი გლეხთა მეურნეობის საშუალო მოსავალზე უფრო მაღალია და საქონლიანობა თვალსაჩინოდ სჭარბობს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა საქონლიანობას, თანდათან უფრო ფართოდ ვრცელდება მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა და ნიადაგის გაუმჯობესებული დამუშავება).

კოლმეურნეობათა მშენებლობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტად ამ უკანასკნელ ხანებში კონფერენციას მიაჩნია ის, რომ კოლექტიური მეურნეობისაკენ მიილტვიან სოფლის არა მარტო ღარიბი ფენები, არამედ საშუალო გლეხებიც, რომლებიც ერთდებიან კოლექტიურ მეურნეობებში თავიანთი ინვენტარითა და საქონლით. კოლმეურნეობათა მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ნაკლს განვითარების ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს ის, რომ ამ მშენებლობის ორგანიზაციული მასშტაბი და მისი ტეხნიკური ბაზისის გაძლიერება თვალსაჩინოდ ჩამორჩება ქვედა ფენებიდან მოძრაობის მასშტაბსა და მოძრაობას. ამასთან შეფარდებით კონფერენცია პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა: ა) უზრუნველყოფილ იქნას კოლექტივებისათვის რთული მანქანების, განსაკუთრებით ტრაქტორების მიწოდების თანდათანი გაფართოვება, ბ) გაძლიერებულ იქნას მუშაობა საწარმოო პროცესების განსაზოგადოებისათვის, მიწის საზოგადოებრივად დამმუშავებელ ამხანაგობებში, ფინანსიური, მატერიალური და ორგანიზაციული დახმარების ზომებით ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ამ ამხანაგობათა გარდაქმნას კოლექტიური მოძრაობის უმაღლეს ფორმებად (არტელები, კომუნები), გ) ყოველმხრივ შეეწყოს ხელი მთელი სოფლების ინიციატივას შრომის კოლექტიურ ფორმებზე გადასასვლელად, ამისათვის გამოყენებულ იქნას ხარისხიანი თესლის მასიური კონტრაქტაცია, აგრეთვე გამოყენებულ იქნან სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და რაზმები, რომელნიც ამჟამად უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცევიან, ამასთან მიღებულ იქნას ყოველი ზომა, კულაკების წინააღმდეგობის დასაძლევად და ამ საფუძველზე მსხვილი კოლექტიური მეურნეობების თანდათან შესაქმნელად, დ) ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ძველი კოლექტიური მეურნეობების გაფართოვებას მათ შემადგენლობაში ახალი წევრების ჩაბმით და კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანებების, როგორც სათანადო რაიონების აგროსაწარმოო და ორგანიზაციული ცენტრების მოწყობით, ე) განსაკუთრებით შეეწყოს ხელი და დახმარება გაეწიოს მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებს, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ საქონლიანობის მაქსიმუმი და რომელნიც მთლიანად დგანან თანამედროვე ტეხნიკისა და აგრონომიული მეცნიერების დონეზე, ვ) გაძლიერებულ იქნას ოპერატიული გეგმიანი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობის მიმართ კოლმეურნეობათა კავშირების მხრივ ყოველგვარ ამასთან ერთად პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება თვით კოლმეურნეობათა წევრების შეგნებით, აქტივობით, ცოდნითა და ინიციატივით. ამასთან შეფარდებით, საჭიროა კოლექტივებში გადაჭრით გაძლიერებულ იქნას საერთო პოლიტიკური და კულტურული მუშაობა, კოლმეურნეობათა ყველაზე უფრო შეგნებული და სოციალისტური საქმის ყველაზე უფრო ერთგული წევრები ჩაბმულ უნდა იქნენ კომკავშირისა და კომპარტიის რიგებში, რათა კოლექტიური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ჩვენი პარტიის სოფლურ ნაწილში კოლმეურნეობათა მუშაკების რაზმი თანდათან უფრო მნიშვნელოვანი გახდეს. კონფერენცია მიაქცევს ცეკას განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს მუშაკ-სპეციალისტებისა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზატორების კადრების შექმნის საქმე, აგრეთვე სამეცნიერო მუშაობის განვითარებისა და მსხვილი სამანქანო მიწადმოქმედების ორგანიზაციისა და რაციონალიზაციის პრობლემების შესწავლის საქმე. კონფერენცია მთლიანად იწონებს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის საწარმოო პროგრამის 20.000 მანქანიდან 40.000-მდე აყვანას, რაც ჩატარდა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მაშინიზაციის გაძლიერების მიზნით, ამასთანავე კონფერენცია ცეკას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა მომავალ წელს დაწყებულ იქნას ახალი სატრაქტორო ქარხნის აგება და გაძლიერდეს სხვა ისეთი მანქანების წარმოება, რომლებიც შეეფერებიან თანამედროვე ტეხნიკის დონეს და მსხვილი წარმოების მოთხოვნილებებს (ტრაქტორზე მისაბმელი რთული იარაღები, მწკრივი სათესები და სხვ.).

იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებიც დგანან პარტიის წინაშე მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების ახალი ფორმების განმტკიცებისა და განვითარების დარგში, კონფერენცია მოითხოვს საბჭოთა მეურნეობებისაგან და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისაგან, რომ ისინი გაფართოვდნენ და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ღარიბ და საშუალო გლეხობას (ხარისხიანი თესლის, ჯიშიანი საქონლის მოშენება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთებისა და გაქირავების მოწყობა, ბრძოლა მავნებლებთან და სხვ.).

6. მიუხედავად პარტიის მთელი რიგ გადაწყვეტილებათა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდების საკითხის შესახებ, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობაში საკმაო ყურადღება არ ექცევა ამ საკითხს და წარმატება, რომელიც ამ დარგში იქნა მიღწეული თესვის კამპანიის დროს, ჯერ კიდევ საკმაო არ არის. ამის გამო კონფერენცია წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს: ა) გააძლიერონ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა სოფლისათვის საწარმოო დახმარების აღმოჩენის საქმეში. სოფლის კულაკური და ყველა სხვა კაპიტალისტური ელემენტების ყვლეფისაგან ღარიბთა და საშუალო გლეხთა ინტერესების დაცვის საქმეში აღმასკომებისა და საბჭოების მუშაობის წარმატების საზომი უნდა იყოს ის, თუ რამდენად ხელმძღვანელობენ ისინი სოფლის მეურნეობის განვითარებას, მსხვილი განსაზოგადოებული სოფლის მეურნეობის შექმნას და რამდენად უწყობენ ხელს ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობას, ბ) საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობისათვის გადადებული თანხების გამოყენებას გაეწიოს ისეთივე კონტროლი, როგორსაც მუშები ქალაქში უწევენ კაპიტალურ მშენებლობას, გ) გამოცოცხლდეს და გაძლიერდეს სასოფლო-სამეურნეო კომისიების (სექციები სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებთან) მუშაობა, მათ შემადგენლობაში შეყვანილ იქნან კოლექტიურ მეურნეობათა წევრები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხები, რომლებიც კულტურულად უძღვებიან მეურნეობას, და სასოფლო-სამეურნეო სექციების მუშაობა მოეწყოს ისე, როგორც არის მოწყობილი საწარმოო თათბირების მუშაობა სამრეწველო წარმოებებში, დ) გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობა, გლეხობასთან კავშირის ახალი ფორმების მნიშვნელობის მიხედვით, საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობაში აცილებულ უნდა იქნას რევოლიუციამდე არსებული იმ საერობო შეზღუდულობის რაიმე ნაშთები, რომელიც აგრიკულტურულ მუშაობას განსაზღვრავდა მხოლოდ ცალკე შეძლებული მეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენით. საადგილ-მამულო ორგანოები უნდა გადაიქცნენ მსხვილი სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორებად და სოფლის მეურნეობაში აგრიკულტურული რევოლიუციის ხელმძღვანელებად; ამ საქმეში მათ უნდა ჩააბან ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მილიონიანი მასები და ამ საქმეს უნდა ამსახურონ ყველა აგრონომი და მიწის მოწყობაში.

7. კონფერენცია სავსებით იწონებს ცეკას მიერ გატარებულ ზომებს ღარიბი გლეხობის შეკავშირების გასაძლიერებლად. კონფერენცია, აშკარად არასაკმაოდ სთვლის რა ამ დარგში მიღწეულ წარმატებებს, წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს უფრო მეტად გააძლიერონ მუშაობა ღარიბ გლეხთა შესაკავშირებლად, მათ დასარაზმავად, რათა ისინი გადაიქცნენ მუშათა კლასის ნამდვილ დასაყრდენად სოფლად. ახალი პერიოდი და კავშირის ახალი ფორმები მოითხოვენ, რომ საგრძნობლად გაძლიერდეს პროლეტარული ქალაქის და სოფლის ურთიერთობა, კავშირი, როგორც მუშათა კლასის ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელი როლის განმტკიცების მეთოდი ლენინის მიერ 1923 წელს დასმული ამოცანა—მჭიდრო ურთიერთობა მუშებსა და გლეხებს შორის და ამხანაგობის სხვადასხვაგვარი ფორმების დამყარება მათ შორის, ამჟამად წარმოადგენს მუშათა კლასის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას და ამოცანას, მუშათა კლასის, რომელიც იბრძვის სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნისათვის. ამ მიზნით საჭიროა საშეფო საზოგადოებათა მუშაობის გამოცოცხლება და გაძლიერება და მთელ რიგ ნებაყოფლობითი გაერთიანებათა (პარტიული, პროფესიონალური და ყოველგვარი სხვა საფაბრიკო-საქარხნო გაერთიანებათა) შექმნა, რომლებიც თავიანთ ამოცანად დაისახავენ სოფლისათვის სისტემატიური დახმარების აღმოჩენას მის კოოპერატიულ-სოციალისტურ განვითარებაში. პარტიამ ყოველგვარი საშუალებით უნდა შეუწყოს ხელი სპეციალურ მუშათა საზოგადოებების შექმნის ცდას, რომელთა ამოცანას შეადგენს ხელის შეწყობა მოსავლიანობის გადიდებისათვის, უნდა შეიქმნას მიწადმოქმედების კოლექტივიზაციის ხელისშემწყობი საზოგადოებანი, ფართოდ უნდა შეეწყოს ხელი მუშათა ინიციატივას სოფლად მუშათა ბრიგადების გაგზავნის საქმეში, რომლებიც დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და ამაგრებენ ღარიბ-საშუალო გლეხთა კავშირს მის ბრძოლაში კულაკების წინააღმდეგ. ამის გამო კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა ბრიგადების საქმის განვითარებას, რაც წარმოადგენს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს და სოფლად მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების ერთ-ერთ პრაქტიკულ ფორმას.

მოსკოვი.
გადმოცემულია ტელეგრაფით

თბილისის მაზრის საბჭოთა ყრილობა

პირველი დღე

სხდომის დარბაზში

რუსთაველის თეატრის დარბაზი, სადაც ყრილობა იხსნება, საზეიმოთ არის მორთული. სცენაზე და იარუსებზე გაკრულია პლაკატები და ლოზუნგები ქართულ, სომხურ, თურქულ და რუსულ ენებზე. სცენაზე ამართულია ლენინის ბიუსტი, რომელიც შემორთულია სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციების დროშებით. აქვე სცენაზე გამოფენილია პლაკატი შემდეგი წარწერით: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სავსებით სწორად გადასჭრა ნაციონალური საკითხი, უზრუნველყო ცალკე ეროვნებათა ეკონომიური და კულტურული აღორძინება".

— „საბჭოთა კავშირის სახელოვანი წითელი არმია—გუშაგია მსოფლიო რევოლიუციის. გაუმარჯოს წითელ არმიას, განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვა.— სწერია მეორე იარუსს ზევით გაკრულ პლაკატზე. ხოლო სცენის პირდაპირ გაკრული პლაკატი შეიცავს შემდეგს ლოზუნგს: „საბჭოთა მშრომელი ინტელიგენცია, საბჭოთა ხელისუფლების ღირსეული დამხმარეა მთელ რიგ ამოცანების განხორციელების საქმეში". დანარჩენი იარუსებზე მოსჩანს შემდეგი წარწერები: „ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობის განვითარების გზით ავსწიოთ მოსავლიანობა", ერთ-ერთი ამბობს: „განვამტკიცოთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელიც არის ამიერ-კავკასიის ეროვნებათა სოლიდარობის გამომხატველი".

ყრილობის გახსნა

საღამოს 6 ნახევარ ს. თბილისის მაზრის [illegible]

იქნენ შემდეგი ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ბუხარინი, კუიბიშევი, რუძუტაკი, ტომსკი, ცხაკაია, ორახელაშვილი, მახარაძე, კახიანი, კასიანი, ელიავა, ნაზარეტიანი, ალაშალი-ოღლი, ენუქიძე, კლარა ცეტკინი და კრუპსკაია.

ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ლოლობერიძე, ბოლქვაძე, სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი, მგალობლიშვილი, რუბენი; ასრიბეკოვი, გუსეინოვი, ფანცულაია, მაჩაიძე, ბაგიროვი, აქვსენტიევსკი, ყურულიშვილი, თოდრია; სვანიძე; ბერია, ავაქოვი, ოქილაძე, ზოგირაძე, ზედია, კვანტალიანი; სტურუა; მაჭავარიანი; ანდრიაძე, მორჩილაძე; ტერ-ვართანოვი; აზარაშვილი, თხილავა, ქაცარავა, ფანცხავა, ფარნიევი; ადიკაშვილი, ხმალაძე; ერისთავი; სიხარულიძე, ქავთარაძე, კაკაბაძე, ნუცუბიძე, სტეფანიშვილი, იმედაშვილი, ზალდასტანოვი, სირაძე, პეტროვა, ჭიჭინაძე, ზაქრაძე, ფირცხალავა; დვალი, სილიხოვი; მზარეულაშვილი; მირზახანოვა, ლაზუტინი, აბუიანი, არჯევანიძე, ასათიანი; ელენტი, სოროკინი, ფაბრიციუსი, აკოპოვი, გრიშა, გიორგაძე; ოკუჯავა; ტაქტაევი; ფარნაოული; [illegible], ლეონოვა, ნათენაძე; კიკილიძე, ახმედ გამიდ-ოღლი, ქორქიანაშვილი, სარქისოვა; კოტრინი, ხარიტონოვა, და მინაძე. სამდივნოში: ბიძინაძე; სოსიაძე; სავა ორჯონიკიძე; თამარ ადამიძე; გიორგაძე, გავაშელი, საკიაინი, კორამაშვილი; მიქაძე. გოდაბრელიძე, ადამიანი და რაზმაძე.

სამანდატო კომისიაში: ტყაბლაძე, ნუცუბი- [illegible]

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა

მომხსენებელი ამხ. ბ. ბოლქვაძე

[illegible] ზე ეწყობიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები. სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს თან სდევს მრავალი სიძნელეები და დაბრკოლებები. ზოგიერთ ამხანაგში ეს სიძნელეები იწვევს მერყეობას და უკარგავს რწმენას ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. ისინი ვერ ხედავენ, რომ ეს სიძნელე გამოწვეულია არა ჩვენი სახალხო მეურნეობის კრიზისით, მისი დეგრადაციით, არამედ მისი განვითარებით, მისი ზრდით. საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მასების აქტიური მონაწილეობით და დახმარებით თავს დააღწევს ამ დროებითი ხასიათის დაბრკოლებებს და ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით უზრუნველყოფს სოციალისტური მეურნეობის განვითარებას.

საბჭოთა რესპუბლიკების უდიდეს სოციალისტურ მშენებლობის ფერხულში ჩაბმულია საქართველო და კერძოთ, თბილისი და მისი მაზრა. თბილისის საბჭოს ორი უკანასკნელი წლის მუშაობა მოწმობს, რომ ჩვენი მაზრა ფეხდაფეხ მიყვება საბჭოთა რესპუბლიკების სხვა რაიონებს, რასაც ცხადჰყოფს ჩვენი მაზრა-ქალაქის და მასში შემავალ თემების ბიუჯეტის ზრდა. თუ 1926-27 წელს შემოსავალი უდრიდა 21.334.000 მანეთს, 1928-29 წელს ამ შემოსავალმა მიაღწია 25.832.000 მანეთს. ამის შესაბამათ იზრდება აგრეთვე გასავალი, რომელიც უმთავრესად ხმარდება კომუნალურ მეურნეობას, ადგილობრივ სამრეწველო მშენებლობას და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

ჩვენ შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელიც მოითხოვს დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას. ჩვენ წლიდან წლობამდე ვცვლით ამ გადასახ. გაწერისა და შეკრების წესს იმ მიზნით, რომ იგი დავუახლოვოთ პროგრესიულ გადასახადის სისტემას, ე. ი. ნაკლებ დავბეგროთ ამ გადასახადით ქონებრივათ შეუძლო და სუსტი გლეხური მეურნეო- [illegible]

კომუნალური მეურნეობის ყველა დარგებს ამ ორი წლის განმავლობაში დიდი წინსვლა ემჩნევა. საფუძვლიანად შეკეთდა და გაფართოვდა წყალსადენის ქსელი, რომელშიდაც უკვე შედის ქალაქის განაპირა უბნები, გაუმჯობესდა წყლის აღრიცხვა და წყლის მოხმარების საქმე, რის გამო ქალაქს საშუალება ეძლევა მომჭირნეთ მოიხმაროს ის წყალი, რომლის მიწოდებაც შეუძლია არსებულ მაგისტრალს. ამავე დროს უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ახალი წყალსადენის გასაყვანად. მუშაობა ნატახტარის წყაროების გამოსაყვანად დამთავრდება 1931-32 წლის დასასრულს. 1-ლი წლების განმავლობაში ამ საქმისათვის გადადებულია 10 მილიონი მანეთი. ნატახტარი ქალაქს უზრუნველყოფს რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში, უფრო მეტი მიღწევები აქვს ტრამვაის მეურნეობაში. ვაგონების რიცხვი გადიდებულია 170-მდე. გაფართოვებულია აგრეთვე საერთო მაგისტრალი და გარეუბნების კანალიზაციის ქსელის რაოდენობა. წლიდან წლამდე იზრდება დატვირთვა ქალაქის სასაკლაოსი, რომელიც იმდენად მოუწყობელია, რომ [illegible] მის გასაუმჯობესებლად ამ ორი წლის განმავლობაში ქალაქს არ დასჭირდება. რაც შეეხება აბანოებს, ქალაქმა მიიღო ზომები მათი რიცხვის გასადიდებლად. ამჟამად ქალაქს აქვს 15 აბანო და სხვადასხვა განაპირა რაიონებში აგებს კიდევ ახალ აბანოებს. ზაჰესის დამთავრების შემდეგ, მტკიცე საფუძველზე სდგას ქალაქის ელექტროფიკაცია, მცხოვრებთა დიდი ნაწილი უკვე სარგებლობს ზაჰესის ენერგიით. ზაჰესის ელდენზე გადაწყვეტილია აგრეთვე საწარმოო უმრავლესობა და მიღებულია ზომები ყველა მცხოვრებთა და საწარმოთა ზაჰესის ელდენზე გადაყვანის ამ სადგურის სრული დატვირთვისათვის. მნიშვნელოვანი მუშაობაა შესრულებული ქალაქისა და მაზრის კეთილმოსაწყობად. ქალაქში მოიკირწყლა და შეკეთდა მრავალი ქუჩა, გაშენდა ბაღები, ხეივნები, გაყვანილ იქნა ახალი და გაფართოვებული იქნა ძველი ქუჩები, შეკეთდა სახლები და სხვ. მაზრაში გაყვანილია ახალი გზები, წყალსადენები, აგებულია ელექტრო-სადგურები და მრავალი საბჭოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები. ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად. როგორც ქალაქის ფარგლებში, ისე მაზრის სხვადასხვა რაიონებში აშენდა ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხანა, ავეჯეულობის ფაბრიკა, შენდება უდიდესი მაუდის ფაბრიკა, ლუდის ქარხანა, დაიწყო ლიტოგრაფიული ქვის დამუშავება, მაზრის სხვადასხვა რაიონებში შენდება ერბო-ყველის ქარხნები და სხვ. ამ მშენებლობაზე ხუთწლიანი გეგმით მნიშვნელოვანი თანხები არის გადადებული.

ნაკლები ყურადღება არ ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ქალაქ-მაზრის ბიუჯეტში ხარჯები კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის წლიდან წლამდე მატულობს და ამჟამად იგი მთელი ბიუჯეტის 30 პროცენტს უდრის. სკოლების რიცხვი იმდენად გაფართოვდა, რომ ამჟამად იგი აკმაყოფილებს სკოლის ასაკის ბავშვთა აღზრდის საჭიროებას. უკვე მომზადებულია ნიადაგი საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებისათვის. აგრეთვე წარმატება ემჩნევა სახალხო ჯანმრთელობის დაცვას.

ქალაქის აღმასკომის ერთ მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ამ მიზნით სოფლად იწყობოდა აგრონომიული პუნქტები, სანიმუშო მინდვრები, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები. ვრცელდებოდა გლეხობაში ტრაქტორები, ტრიერები, სათესი და სალეწი მანქანები, ეწყობოდა კოლექტივები, სწარმოებდა ბრძოლა ეპიზოოტიასთან. იწყობოდა საცდელი საქონლის პუნქტები და სხვ. მთელ ამ თავის მუშაობაში საბჭო იყრდნობოდა მშრომელ მასების აქტივობას. საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოები (ცდილობდნენ, რომ საბჭოს მუშაობაში ჩაებათ მშრომელთა ფართო ფენები. ამ მიზნით საბჭოს სექციებმა გააცხოველეს თავისი მუშაობა, მათ მოიზიდეს არა მარტო საბჭოს წევრები, არამედ მუშებისა და გლეხების სხვა მოწინავე ელემენტები. სექციების გაცხოველების მიზნით საბჭომ მოაწყო სექციათა შეკრებები, რომელმაც სექციების მუშაობა გამოაცოცხლა და გააღრმავა. მიუხედავად ამისა, საბჭოს მაინც ჰქონდა მრავალი ნაკლი, რომელთა შორის ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი აპარატის მოუქნელობას. ჩვენ ვერ შევძელით ამ აპარატის გამოწმენდა, რადგან სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მუშათა დაწინაურების საქმეს. ამ ნაკლის გასწორება უნდა იკისროს ახალმა საბჭომ. ის დღევანდელი სოციალური შემადგენლობა სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი შესძლებს წინანდელი საბჭოს ამ ერთ-ერთი ძირითადი ნაკლის გამოსწორებას.

ამხ. ბოლქვაძის მოხსენებით დამთავრდა თბილისის მაზრის საბჭოთა ყრილობის პირველი სხდომა. სხდომის დასასრულს დელეგატებისათვის წარმოდგენილ იქნა პიესა „ლამარა".

ყრილობის მეორე სხდომა დაიწყება დღეს დილის 10 საათზე.

ა. ლ. კ. კ. სრ. საქ. აგიტპროპთათბირი

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. ბუჯიაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. ფარცხალაძე (ჭიათურა). უკანასკნელი წლები ხასიათდება კლასიური ბრძოლის გამწვავებით როგორც ეკონომიურ, ისე იდეოლოგიურ ფრონტზე. „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრები ზოგჯერ გამოხმაურებას პოულობენ კომკავშირიელებშიაც. ეს ხშირად აიხსნება ჩვენი სუსტი აგიტპროპმუშაობით. აგიტპროპმუშაობის დღევანდელი ფორმები ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნილებებს. „ახალგაზრდა მარქსისტები" მარქსიზმის თეორეტიულად შესწავლას უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, ჩვენი კომკავშირელები კი თეორეტიულად სუსტათ არიან მომზადებული, რაიც მიიწერება იმას, რომ ისინი ძალზე დატვირთული არიან პრაქტიკული მუშაობით. საჭიროა მათი განტვირთვა ზედმეტ, ხშირად უნაყოფო კრებებისაგან. კომკავშირმა უნდა გამოიყენოს აგიტპროპმუშაობის ისეთი ცოცხალი მეთოდები, როგორიცაა შეკრებები პოლიტკლუბებში (სახლოქრებით) და სხვ.

ამხ. ბაღდასაროვი (ახალც. მაზრა). ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმე სკოლებში სათანადო სიმაღლეზე დაყენებული არ არის. სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებში ვერ ერკვევიან, ეს გარემოება ორგანიზაციის წინაშე აყენებს ამოცანას ერთის მხრივ გაძლიერებულ იქნეს მუშაობა მასწავლებელთა შორის (პრაქტიკულ მუშაობაში მათი ჩაბმით) და მეორეს მხრივ მოვამზადოთ კადრი კომკავშირელ მასწავლებლებისა.

ამხ. წერეთელი (შორ. მაზრა). კლუბების გამგეობები ახალგაზრდათა სექციების მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ეს სექციები დაშორებული არიან კომკავშირის ხელმძღვანელობასაც. თემკომებმა თვეში ორჯერ მაინც უნდა მოიწვიონ აგიტპროპმუშაკთა ადგილობრივი თათბირი.

ამხ. ძიგუა (ქუთ. მაზრა). კომკავშირის წრევანდელი კულტლაშქრობა ისეთ დროს იყო ჩატარებული, როცა აუარებელი სხვა კამპანიებიც ტარდებოდა. ეს მომავალში აღარ უნდა იქნეს განმეორებული.

ამხ. დვალი (აფხაზეთი). ტროცკის გადასახლებასთან დაკავშირებით ანტი-საბჭოთა ელემენტები სოფლად და ქალაქად ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ. ჩვენი კომკავშირელები კი იმდენად გაურკვეველი არიან მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებში რომ არამც თუ არ უწევენ საჭირო წინააღმდეგობას ამ ხმებს, არამედ ზოგჯერ თვითონაც [illegible] მათ. ეს გარემოება თავის თავად ლაპარაკობს იმაზე, რომ მიმდინარე პოლიტიკის შესწავლა ორგანიზაციაში მოისუსტებს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

ამათ გარდა კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ხეთაგუროვმა, ჩლაიძემ, დემეტრაძემ, ფროლოვმა და სხვ.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბუჯიაშვილის [illegible] სიტყვა, რის შემდეგ ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible].

ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანები

კომკავშირის მე-8 საკავშირო ყრილობამ ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს უდიდესი ყურადღება მიაქცია. მაგრამ დღემდე ეს მუშაობა სუსტადაა დაყენებული. ხშირად ინტერნაციონალური აღზრდის საქმე კამპანიის ხასიათს ატარებს იმ დროს, როცა მუშაობის ეს დარგი კომკავშირის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად დარგად უნდა ჩაითვალოს.

დღემდე ეს მუშაობა მოკლებულია კონკრეტიულობას იგი სუსტად მიმდინარეობს ეროვნულ უმცირესობათა შორის (ებრაელები, ბერძნები, თათრები, გერმანელები და სხ.). პარტიის ეროვნული პოლიტიკა საკმაოდ შესწავლილი არ არის ჩვენს ორგანიზაციაში.

ზემოდ-აღნიშნულ ნაკლით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთი კომკავშირელები (უმთავრესად მოწაფეობა ადვილად ექცევიან შოვინისტურ გავლენაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. იმ დროს, როცა პარტიისა და კომკავშირის ზოგიერთი წევრების მერყეობა ახასიათებს (ტროცკისტული და მემარჯვენე გადახრა) ნაციონალიზმი ერთ-ერთ უდიდეს საფრთხედ უნდა ჩაითვალოს, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ჩვენი კომკავშირული პრესაც ამ საკითხს ვერ აშუქებს ისე, როგორც ეს საჭიროა.

ახალგაზრდათა მოძრაობა, რომელსაც უდიდესად მნიშვნელოვანი წარსული აქვს, საკმაოდ შესწავლილი არ არის ჩვენი ახალგაზრდობის მიერ. კლუბების ახალგაზრდათა სექციები რომლებიც დიდ როლს უნდა თამაშობდნენ ახალგაზრდათა კულტურული აღზრდის საქმეში, ძალიან სუსტად მუშაობენ ინტერნაციონალური აღზრდის დარგში. თუმცა პიონერთა შორის ინტერნაციონალური აღზრდის საქმე წარსულთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ის მაინც არ ჩაითვლება საკმაოდ დამაკმაყოფილებლად.

გაზაფხულის თესვისათვის

წითელი არმიის მონაწილეობა თესვაში

თესვის კამპანია დიდ გამოხმაურებას პოულობს წითელ არმიელთა შორის. ეს გასაგებიც არის, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წითელ არმიელთა შემადგენლობის ოთხი მეხუთედი გლეხები არიან. პოლიტიკური მუშაობის ხაზით, ამჟამად წარმოებს დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომელიც მიმართულია წითელ არმიელთა ჩაბმისაკენ საგაზაფხულო თესვაში. პირველ ყოვლისა სწარმოებს წითელ არმიელების მიერ წერილების გაგზავნა სახლში, სადაც ისინი მოუწოდებენ თავიანთ მშობლებს წარმატებით ჩაატარონ გაზაფხულის თესვა და აამაღლონ მოსავლიანობა. თვით კამპანიას თესვის ირგვლივ აშუქებს აგრეთვე წითელი არმიის პრესა.

წითელ არმიელთა შორის ამ მიმართულებით ახსნა-განმარტებითი მუშაობის დროს ირკვევა ბევრი შეცდომები და გადახრები, რომელსაც ჰქონდა ადგილი თესვის ჩატარების დროს წარსულში და კერძოთ კი შარშან.

მაგალითად, ირკვევა, რომ შარშან სოფ. თითი-ჯიხაიშში ტრაქტორი ხელში ჩაიგდეს და გამოიყენეს თავის სარგებლობისათვის მხოლოდ შეძლებულმა გლეხებმა და ადგილობრივი დაწესებულების მოსამსახურეებმა.

სოფ. ჭრებალოში სასოფლო-სამეურნეო საკრ. ამხანაგობა უფრო უმეტესად ეხმარება შეძლებულ გლეხებს და აზნაურებსაც, როგორც არის ყიფიანი.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში შარშან მიღებულ იქნა უვარგისი თესლი, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გლეხები.

ჭრებალოს თემში თვით თემსაბჭოს მოსამსახურეებმა გამოიყენეს თესვისათვის გაცემული თესლი და არავითარი დახმარება არ გაუწიეს ღარიბ გლეხებს.

ქინვალის თემში, სოფ. ძრანისს არ უნახავს არავითარი მანქანა და გლეხებს ამჟამადაც არ აქვთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა საბჭოთა ხელისუფლების მიერ თესვის ჩატარებას.

ასეთივე მდგომარეობაა აქვე, თბილისის ახლოს. სართიჭალის თემის სოფ. გუჯარმაში, სოფ. მარტყოფში, რომელიც აგრეთვე ახლოს არის თბილისიდან, გლეხები ძალიან არიან დაინტერესებული სათეს ბალახის „იონჯის" მოყვანით, მაგრამ ვერ მიუღიათ თესლი და მათი თხოვნები აგრონომის წინაშე ამის შესახებ უყურადღებოთ რჩება.

სოფ. გზირულში, ხხირეულის თემში (შორაპნის მაზრა) ადგილობრივ სიმინდი ცოტა მოდის, ხოლო ამის მიზეზების შესწავლას არავინ არ აწარმოებს და გლეხებმა არ იციან, თუ რა საშუალებას უნდა მიმართონ, რომ გამოიყენონ მიწის დამუშავების უფრო კულტურული საშუალებანი.

ამავე თემის შესახებ გამოირკვა, რომ წელს გლეხებს შორის შეკრებილი იქნა ფული თესლის შესაძენათ ჩრდილო-კავკასიაში. ამ ფულით შეისყიდეს სრულიად უვარგისი სიმინდი, რომელიც დამპალიც გამოდგა.

დიდ ყურადღებას აქცევდნენ წითელ არმიელები მიწის განოყიერების საკითხსაც. ამის შესახებ აღნიშნავდნენ, რომ ეს საქმე ჯერ-ჯერობით სუსტათ არის დაყენებული ჩვენში, ბევრ შემთხვევაში სათანადო ყურადღებას მოითხოვს მორწყვის საქმის მოწესრიგებაც. მაგალითად სოფ. საჭილაოში, ხიზაბავრაში (ახალქალაქის მაზრა) და სხვა.

გარდა ამისა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში თესვის ჩატარებას არ ექცეოდა საკმაო ყურადღება წითელ ჯარში გაწვეულთა ოჯახების უზრუნველყოფის საქმეს, რაც ამჟამად უნდა გამოსწორდეს.

ასეთი ხასიათის განცხადებები მრავალი შემოდიოდა წითელ არმიელებისაგან. ბევრი ასეთი განცხადებები თხოულობენ ცენტრალურ ორგანოების ჩარევას ამ საქმეში და არსებული დეფექტების სასწრაფოდ გამოსწორებას.

ი. რუდოვსკი.

სამზადისი აფხაზეთში

საქართველოს მიწსახკომმა აფხაზეთში თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის თავმჯდომარისაგან მიიღო ცნობა, რომ მიმდინარე გაზაფხულზე ბამბისა და თამბაქოს მავნებლებთან ბრძოლის საქმეზე დაიხარჯება 50.000 მანეთი. ეს თანხა განაწილებულია მაზრებსა და რაიონებს შორის. მიმდინარე თესვის კამპანიის დროს თამბაქოთი დათესილი იქნება 13.000 ჰექტარი, აქედან კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება 12.000 ჰექტარზე. ბოსტნების სივრცე გადიდებული იქნება 1.500 ჰექტარამდე.

აფხაზეთის კოოპერატიულმა კავშირმა სათანადო ორგანიზაციას წარუდგინა დაკვეთა 700 საიმპორტო გუთანზე. სათესლე სიმინდის შესაძენად გადადებულია 40.000 მანეთი. ეს თანხა განაწილებულია ხუთ მაზრას შორის. გალის, კოდორის, გაგრის, გუდაუთის და სოხუმის მაზრებს შორის. მუშა-საქონლის შესაძენად გადადებულია 51.600 მანეთი. თესვის კამპანიის საჭიროებისათვის აფხაზეთმა მიიღო 2 ტრაქტორი.

გუთნების განაწილება

ამიერ-კავკასიისათვის მიღებულ ეკერტის სისტემის გუთნებიდან საქართველოს მიეცა 350 გუთანი.

ცხენების შეძენა

მებამბეობის რაიონებისათვის

„სოფლის კავშირმა" ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი 200 ცხენის შესაძენად საქართველოს მებამბეობის რაიონებისათვის.

ადგილებზე

ღელეს კალაპოტის გამოცვლა

ახალ-სენაკი, 2 აპრილი, პატარა მდინარე პიცუს, რომელიც ადიდების დროს ანადგურებს სოფელ ძიძიძის მცხოვრებლების ნათესებს, ადგილობრივი მოსახლეობისა და აღმასკომის დადგენილებით კალაპოტი ეცვლება. კალაპოტის გამოსაცვლელად საჭიროა 4.000 მანეთი, მუშაობა უკვე დაწყებულია.

დუშეთის თემი

3 მარტს ქ. დუშეთში შედგა თათბირი საგაზაფხულო თესვის ჩატარების მიზნით, რომელზედაც მონაწილეობას იღებდენ საბჭოს, კოლექტივების და ადგილობრივ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის წარმომადგენლები.

10 მარტს მოწვეულ იქნა თესვის ჩამტარებელ კომისიის სხდომა, სადაც კულტურული ძალები განაწილებულ იქნა სოფლებზე.

11 მარტიდან გამოყოფილი ამხანაგები გაეფინენ სოფლებს, რასაც მიეცა საზეიმო ხასიათი. აგრონომებმა იმ ადგილებზე, სადაც ისინი იყვნენ მიმაგრებულნი, გამოყვეს საჩვენებელი ნაკვეთები, რომელსაც დაამუშავებენ გლეხები კოლექტიურად აგრონომების რჩევა-დარიგებით. ნაკვეთები გამოყოფილ იქნა შემდეგ ადგილებზე: გრემისხევში, მლაშეში, ბაგაში, დუშეთში და ბაზალეთში.

26 მარტს შედგა თესვის ჩამტარებელ კომისიის სხდომა, სადაც განაწილებულ იქნა თესლი უღარიბეს გლეხობაზე.

აგრეთვე ადგილობრივ რაიაგრონომის მიერ დუშეთის ყველა კავშირის წევრთა საერთო კრებაზე ჩატარებულ იქნა საუბარი თესვის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საქმეს ადგილობრივმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ, რომელმაც დიდი ლაშქრობა მოაწყო სოფლად თესვის ჩასატარებლად.

შ. ლორთქიფანიძე.

„სოფლის კავშირი" აგვიანებს სას.-სამეურნეო მანქანების მიწოდებას აჭარისტანისათვის

ბათომი, 3 აპრილი. აჭარისტანისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღის გადაგზავნა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. აჭარისტანის სოფლის კავშირის მიერ შეკვეთილი 113.000 მან. ღირებული სას.-სამეურნეო მანქანებიდან (მათ შორის ტრაქტორები), თესლიდან, სასუქიდან და სხ. დღემდი მიღებულია მხოლოდ ერთი ტრაქტორი, 20 ფარცხი, 40 გუთანი და სხ. სულ 11.800 მანეთისა.

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ დაუშვებლად აღიარა საქ. სოფლის კავშირის მხრივ სოფლის მომარაგების საქმის ასეთ გაჭიანურება და შუამდგომლობა აღძრა, რომ დაუყონებლივ გადაიგზავნოს აჭარისტანისათვის გეგმით გათვალისწინებული სას.-სამ. მანქანების მთელი რაოდენობა. აჭარისტანის სოფლის კავშირს წინადადება მიეცა—ეცადოს 78.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიღებას. მწვავედ სდგას აგრეთვე გლეხობისათვის ბალახეულის თესლის მიწოდების საქმე. სულ აჭარისტანისთვის შეკვეთილია 10.186 მანეთის საკვები ბალახის თესლი.

გარდა ამისა, ბრკოლდება სიმინდის წმინდა ხარისხის თესლის გადაგზავნა. სათესლე მასალის მთელი რაოდენობიდან გადაუგზავნელია 642 ტონა თესლი და სხვ. ჩამოთვლილ დაბრკოლებათა გამოსასწორებლად, თესვის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ გადასწყვიტა მიიღოს სასწრაფო ხასიათის სხვადასხვა ღონისძიება. (ადს).

თესვის კამპანიის დეფექტები სამხრეთ-ოსეთში

„სოიუზხლებ"-მა სამხრეთ-ოსეთში გაგზავნა 147 ტონა სათესლე სიმინდი, რომელშიაც აღმოჩენილი იქნა 10 პროც. მტვერი და 41 პროც. უვარგისი ხორბალი. შედგენილია სათანადო აქტი. „სოფლის კავშირმა" მიმართა „სოიუზხლებს" თხოვნით სასწრაფოდ გამოცვალოს სამხრეთ-ოსეთში გაგზავნილი უვარგისი ხორბალი. (ადს)

თესვა და „ზაკავტოპრომტორგი"

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემკეთებელ სახელოსნოების ნაკლებობის გამო, „ზაკავტოპრომტორგ"-მა საქ. მიწსახკომის შუამდგომლობის თანახმად წინადადება მისცა ყველა თავის ფილიალებს: თბილისის ავტოსახელოსნოებს, სოხუმის, აჭარისტანის, ქიათურის, ქუთაისის და ბორჯომის განყოფილებებს მიიღონ ადგილობრივ მოსახლეობისაგან შესაკეთებლად სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. სას.-სამეურნეო მანქანების შეკეთება იწარმოებს სასწრაფო ტემპით.

მუშათა ბრიგადები სართიჭალის თემში

მუშათა ბრიგადებმა, რომელნიც მოვლინებულნი არიან სართიჭალის თემში თესვასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად—მუშაობა დაიწყო 22 მარტიდან. ხუთი დღის განმავლობაში თვით ს. სართიჭალაში შეკეთებულ იქნა ადგილობრივ აგრო-პუნქტში—ხუთი გუთანი და რამოდენიმე ათეული—თოხი, ბარი და სხვადასხვა წვრილმანი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. შეკეთებულია აგრეთვე ერთი ტრაქტორი, რომელიც ეკუთვნოდა „არტელს".

მუშათა ბრიგადა შესდგება ხუთი კაცისაგან, მათ შორის არის 4 ზეინკალი და ერთი დურგალი.—ბრიგადას თან წამოღებული აქვთ ყოველგვარი ხელსაწყოები სასოფლო-სამეურნეო—იარაღების შესაკეთებლად.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება სწარმოებს სრულიად უფასოდ, რაიც ხელს უწყობს ღარიბ გლეხობას თესვის საქმეში.

მუშათა ბრიგადები იმყოფებიან მთელი გარე-კახეთის თემ-სოფლებში. მუშაობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს.

გ. გარსიაშვილი

შრომის კოლექტივებში

გავაძლიეროთ შრომის კოლექტივები

ზოგიერთ შრომის კოლექტივში მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები.— ოზურგეთის ფეიქარ ქალთა არტელში ადგილი აქვს უთავბოლო მუშაობას.—საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის უმუშევართა შტატი მეტად გაბერილია.—უმუშევართა არტელების ქსელი რკინის გზებზე ფართოვდება.

სახელი არტელისა—საჩრავი ს. ანდღულაძისი

(ოზურგეთის საფეიქრო არტელი „მაქვა")

გურიაში ბევრია კუსტარულად მოწყობილი საფეიქროები. ერთი ასეთი საფეიქრო სახელოსნო არსებობს ქ. ოზურგეთშიც. ამ სახელოსნოს ამუშავებს ფეიქარ ქალთა არტელი 20 წევრის შემადგენლობით. საფეიქრო ნედლ მასალას—აბრეშუმის ძაფს ღებულობს აბრეშუმის ტრესტიდან და მასვე აბარებს დამზადებულ მასალას. გადამუშავებულ და მოქსოვილ საქონელში ტრესტი, თვითეულ მეტრში იხდის 1 მან. 40 კაპ., არტელს არა აქვს უფლება აბრეშუმის ქსოვილები გაყიდოს კერძო პირზე ან რომელიმე სხვა დაწესებულებაზე.

არტელის მუშაობა და მის მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხი თანდათან უმჯობესდება. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ მას არ ჰყავს ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც გული შესტკივა არტელის კეთილდღეობაზე. არტელის გამგეთ ითვლება ყოფილი ღვდელი ვინმე სოლომონ ანდღულაძე, ხოლო თანაშემწე—ინსტრუქტორი-კი ყოფ. აზნაურის ქალი მარო ასათიანი. მამა სოლომონმა თუმცა გაიხადა ანაფორა, მაგრამ მისი [illegible] შეჩვეული მუცელი მაინც არ შემცირებულა. პირიქით, უფრო გაიზარდა არტელის ხარჯზე. ქალბატონ მარიამსაც ცოტა დროს მოუსწრო რევოლიუციამ, მაგრამ არა უშავს რა, ის მაინც სარგებლობს შემაჩნევით და არტელს ათლის მსუქან ნაჭერს.

არტელში არც ერთი მამაკაცი არ არის სოლომონის სიტყვით, არც არის საჭირო, ვინაიდან [illegible] შეიძლება ვინმე „კომსომოლი" [illegible] და მაშინ ხომ დაინგრა მამა სოლომონის ოჯახი. სოლომონი ხშირად მიმართავს თურმე წევრ მუშა ქალებს: „ღმერთის [illegible]. ასეთი ამბავი გარეთ არ გაიტანოთ, ეს ჩვენი ოჯახია და უნდა ვეცადოთ, რომ „კომსომოლია" არ შემოგვეპაროს. თუ ამას არ მოიქცევით, იმ შემთხვევაში მე წავალ და ამ საფეიქროსაც მივაკეტავ". ერთი სიტყვით საფეიქრო არტელი „მაქვა", მხოლოდ ნიღაბია მამა სოლომონის თაღლითობა-კომბინაციებისათვის. სინამდვილეში ბინი გამგე, როგორც სურს ისე იქცევა მუშებს. არც ერთმა მუშამ არ იცის რას აკეთებს დღიურად ან რა ერგება მას. არავინ იცის თუ რამდენი ძაფია გამოტანილი ტრესტიდან და რამდენი ქსოვილი ჩაბარდა აბრეშუმის ტრესტს. არტელს თავის წრიდან გამოყოფილი ჰყავს სარევიზიო კომისია, მაგრამ ეს კომისია ბატონ გამგის სასაცილოდ არ ყოფნის. ამ რიგად სახელოსნოში დიდი ბოროტმოქმედება ხდება. „მამა" სოლომონი ქურდობს—ჰპარავს როგორც არტელს, ისე ტრესტსაც. მაგრამ ვერავინ ვერაფერს აკლებს.

არტელის წევრებმა ერთხელ მიმართეს გურიის კომიტეტს, რათა მოეხდინა გამოკვლევა საფეიქრო სახელოსნოსი, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მიუღიათ. ძაფი, რომელიც მოდის ტრესტიდან უნდა მოიხარშოს მოქსოვის წინ, ან შემდეგ. ამ შემთხვევაში ძაფი ღებულობს 25 პროცენტანდე. მაგრამ გამგე 25 პროცენტის მაგიერ აჩვენებს 38 პროც., ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ გამგემ ხშირად გაყიდოს 60 მან. ღირებული შარფები და სხვ..

1928 წ. განმავლობაში აბრეშუმის ტრესტიდან მიღებულია 700.000 კ. გ. ძაფი ამას, რომ გამოვაკლოთ 25 პროცენტი დარჩება 698.258 კილო. ამ რაოდენობიდან გამგე, გარდა იმ 25 პროცენტისა, რომელიც აკლდება ძაფს მოხარშვის შემდეგ, იპარავს კიდევ 13 პროც., რაც უდრის 875 კილო აბრეშუმის ძაფს. ეს პატარა თანხა არ არის. სათანადო ორგანომ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

ლაზი.

კოლექტივების მუშაობა უმჯობესდება

(წერილი სამტრედიიდან)

სამტრედიის რკ. გზის საუბნო კომიტეტმა გასულ წელს ჩამოაყალიბა უმუშევართა კოლექტივი „რკინის გზელი". კოლექტივმა დღიდან მისი დაარსებისა, აიღო სამტრედია-ბათომის და ნაწილობრივ ხაშურის უბნებში მიმდინარე სააღმშენებლო სამუშევრები. თანახმად რკ. გზის სამმართველოს განკარგულებისა, კოლექტივს ეძლევა უპირატესობა სამუშაოების აღების საქმეში. ამიტომ კოლექტივის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და უმუშევართა ნივთიერი მდგომარეობაც სათანადო სიმაღლეზე დგება.

კოლექტივმა უკვე დაამთავრა შემდეგი სამუშაოები: ორი ასაქცევის აშენება, ლიანდაგის დაგება. ფირდოების ჩამოქრა, სადურგლოს, სამღებრო-სამალარიო, სასინიზაციო და ბეტონის აგება. ამ ჟამად მიმდინარეობს და ამ 10—15 დღეში დაამთავრებს „აზნევთშენის" სამუშაოებს მე-2 უბანში, სადაც შედის თხრილების მოთხრა, მილების გაწმენდა, შეღებვა და მისი დამარხვა.

კოლექტივმა შეასრულა და დაამთავრა აგრეთვე ჭების სამუშევრები და ამოიღო სამტრედიაში სხვადასხვა ადგილას 10 ჭა. დღემდე კოლექტივში სამუშაო მიიღო 3.711 უმუშევარმა. შესრულებულია 40.128 მუშა დღე. ამავე ხნის განმავლობაში კოლექტივის შემოსავალი უდრის 134,902 მან. 63 კაპ., თანახმად წესდებისა, კოლექტივი თავის წევრებიდან ღებულობს 5 პროცენტს. კოლექტივის აპარატის შესანახად. მუშები იზღვევებიან ოჯახის შემადგენლობით.

სამუშაოთა გამცემი ორგანოები, კოლექტივის მიერ შესრულებულ სამუშევრებს იწონებენ და პირდებიან კვლავ სამუშევრების გადაცემას. კოლექტივმა ღარიბ გლეხების სასარგებლოდ გაიღო 250 მან. დღიური საშუალო ხელფასი, კოლექტივის მუშებისა, უდრის 3 მ. 17 კაპ..

კოლექტივს დიდ დახმარებას უწევენ. როგორც საუბნო კომიტეტები და შრომის ინსპექცია, ისე სამტრედიის რაიკომი და კოოპერატიული დაწესებულებაც.

ა. ღ.

ყოფ. მიკიტნები წითელ სასადილოებში

ქალთა კოლექტივმა „სალამი"-მ თბილისში გახსნა საკონდიტროები, სასადილოები. ამ ახლო ხანებში აპირებენ კიდევ ლიმონადის ქარხნის და გასტრონომიული სავაჭროების გახსნას. კოლექტივის მიზანია აღმოუჩინოს დახმარება ღარიბებს და უმწეო ქალებს. ეს კარგი საქმეა. მაგრამ ცუდია ის, რომ ასეთ დიდ მნიშვნელოვან და მასიურ ორგანიზაციის სასადილოების სათავეში მოკალათებული არიან ძველი მიკიტნები, რომლებიც თავის ჯიბეს გასქელებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე კოლექტივის კეთილდღეობაზე და მის გაფართოებაზე. ამავე დროს კი თვით კოლექტივის წევრი მშრომელი ქალები და [illegible] შრომის და ომის ინვალიდები უმუშევრად და ულუკმაპუროთ დაიარებიან.

შრომის კოლექტივი უნდა გაიწმინდოს ყოფილი ვაჭრის კლანჭებიდან და გადაიქცეს იგი ნამდვილ მშრომელთა ორგანიზაციად. მიკიტნებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ წითელ სასადილოებში.

ნაცნობი.

არტელის მუშაობას ხელს უშლიან

ხაშურის მეჩექმეთა კოლექტივი დაარსდა გასულ წელს. კოლექტივისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ადგილობრივ სარეწაო კოოპერატივს, მაგრამ მისი თავმჯდომარე ს. ღამბაროვი და ბუღალტერი მირიანი, არამც თუ ხელმძღვანელობენ კოლექტივს, არამედ ხელსაც უშლიან მის მუშაობას.

ღამბაროვი შეძლებული ვაჭრის ოჯახშია აღზრდილი. ამიტომ შეძლებულ ხალხისადმი პატივისცემა მას ჯერ კიდევ არ დაუვიწყებია. ღამბაროვმა და მირიანმა არტელში საკმაოდ შეძლებული ხელოსნები მიიღეს. შემდეგ კი შეუწყვიტეს მასალის მიწოდება, რის გამო, არტელმა იზარალა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ დაითხოვეს ღარიბესი ხელოსნები და მათი საკუთარი იარაღიც კი არ მისცეს უკან. ამ მდგომარეობით ისარგებლეს შავ-სიელებმა გ. გიორგაძემ, ბ. ომიაძემ და ღამბაროვის და მირიანის დახმარებით მოიკალათეს არტელში.

ვფიქრობთ, ასეთი ხალხი არ გამოადგება კოოპერაციას, ისე როგორც ღამბაროვი არ გამოადგა დამზღვევ სალაროს.

ბელა.

ხელოვნურად გაბერილი შტატი

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით თბილისში გახსნა თერთმეტი შრომის კოლექტივი. კოლექტივებში 40-მდე მუშა მუშაობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კოლექტივებში არ არის დაცული შრომის კანონები. რის გამო სისტემატიურად ხდება ზედმეტ საათებში და კვირა დღეს მუშაობა. ამის გასამრჯელოს კი არც ერთი მუშა არ იღებს. თვითონ ხელფასსაც მუშები ვერ იღებენ თავის დროზედ. ამ მოვლენას კავშირი სრულებით ყურადღებას არ აქცევს. იყო რამოდენიმე შემთხვევა, როცა მუშებმა მიმართეს კავშირს განცხადებით, სადაც ისინი მოითხოვდნენ როგორც მეტი საათებისას, ისე კვირა უქმე დღეების ხელფასს, მაგრამ მოქ. კაზლოვსკიმ მუშების განცხადებები გადამალა. და დღესაც არავინ იცის რა ბედი ეწვია მათ.

გარდა ამისა მოქ. კაზლოვსკის მიმართეს თანამშრომლებმა კანტორის შტატის შემცირების შესახებ. შტატი მეტად გაბერილია. მუშაობს რვა კაცი. კოლექტივების გამგე იღებს 160 მანეთს, მისი თანაშემწე—120 მან. მთავარი ბუღჰალტერი 200 მან. უმც. ბუღჰალტერი 150 მან., მათი თანაშემწე—100 მ. საქმის მწარმოებელი 60 მან., უფროსი მოლარე 70 მან., კანტორის მოხელე ქალი 50 მან., შეიძლება და საკმარისიც იყო, 2 ან 3 კაცის ყოლა. მიუხედავად ასეთი გაბერილი შტატისა, გასულ წლის მაისიდან დღემდე. მაინც არა აქვთ ბალანსი მზად და არც იციან თანამშრომლებმა რამდენი ერგებათ.

პრომეთე.

ფარული პროტექცია

(ფოთი)

ფოთის აღმასკომის ფინგანში პროტექციით მიიღეს ვინმე ქსენია ჩხარტიშვილი, რომლის გულისთვისაც სამსახურიდან მოხსნეს კომკავშირელი ქალი ამხ. ჩოხელი.

ქსენია ჩხარტიშვილი არის სოციალურად უცხო პიროვნება, ვაჭრის შვილი, რომლის მთელი ოჯახი შავ სიაშია მოხვედრილი. ჩხარტიშვილის მოხსნის საკითხი დასმული იყო სათანადო ორგანოებში, მაგრამ ძნელი გახდა იმის გამორკვევა თუ ვისი წყალობით იქნა მოწყობილი სამსახურში და ვინ უწევს მას მფარველობას. ამგვარად ვაჭრის შვილი ჯერ კიდევ თავისუფლად გრძნობს თავს საბჭოთა დაწესებულებაში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოძებნოს მოქ. ჩხარტიშვილის მფარველი.

ან. ჯაოშვილი.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე სოფლად

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.— ექიმბაშების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ თემსაბჭოებმა და საექიმო პუნქტის ხელმძღვანელებმა.— ექიმებსა და ფერშლებს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა უდიდესი მოვალეობაა

ექიმის მოვალეობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიოა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად საბჭოთა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ამ რვა წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საავადმყოფოების, დისპანსერების, სანატორიუმების, საექიმო პუნქტების, აფთიაქების და თვით საექიმო დარგში მომუშავეთა რიცხვი.

გარდა მუშა-მოსამსახურეებისა, უფასო საექიმო დახმარებით სარგებლობენ უღარიბესი გლეხობა, ქვრივ-ობლები, წითელ-არმიელთა ოჯახები და სხვ. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული თანხების რაოდენობა თანდათან იზრდება. ჯანმრთელობის დარგში მუშაობას აწარმოებს აგრეთვე საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაცია.

ყველა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული [illegible]ბელია, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დარგში მომუშავე თვითეული ექიმის, ექიმის თანაშემწის და ბებია-ქალის მოვალეობაა უდიდესი სერიოზულობით მოეპყრას მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის საქმეს და თავისი მოვალეობის შესრულებას. ყოვლად დაუშვებელია, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჯანმრთელობის დარგში მომუშავემ თავისი პირადი, ეკონომიური სარგებლიანობისათვის გამოიყენოს.

ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი ექიმებსა და ფერშლებს შორის დამოკიდებულების შესახებ. ამ მიზნით უკვე გამოცემულია ხელისუფლების მიერ სათანადო ინსტრუქცია. სადაც ნათლად არის გარკვეული როგორც ექიმების, ისე ფერშლების ფუნქციები და მოვალეობანი. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოდ მოთავსებულ კორესპონდენტ „ექიმის" წერილიდან ჩანს, სოფლად მომუშავე ექიმებსა და ფერშლებს შორის ხშირად ადგილი აქვს მათი ფუნქციების რღვევას, ერთმანეთისადმი ქიშპობას და სხვა, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ შეუძლებელია დავეთანხმოთ კორესპონდენტ „ექიმის" არგუმენტებს, თითქოს სადაც ექიმები მუშაობენ, იქ „ფერშალი არის იგივე ექიმბაში, რომ ფელშერიზმი არის მედიცინის სრულიად უვარგისი სუროგატი".

როგორც ექიმების მუშაობა აუცილებელია ჯანმრთელობის დარგში, ისევე საჭიროა ექიმის თანაშემწეების მუშაობაც. მაგრამ თავისთავად ცხადია მათი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონებში, მტკიცედ უნდა იქნას დაცული.

ამასთან ერთად მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ხშირად ერთ ექიმს უხდება რამდენიმე თემის მაშტაბით მუშაობა და ის ვერ ასწრებს ავადმყოფთა მოთხოვნილების თავის დროზე დაკმაყოფილებას, ასეთ პირობებში თუ ექიმსა და ფერშლებს შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არსებობს, სრულიად შესაძლებელია ზოგიერთი, არა საშიში ავადმყოფების მიმართ გამოყენებულ იქნას ფერშლებიც. მით უმეტეს კანონის ძალით განსაკუთრებულ შემთხვევებში ფერშალს ეძლევა განაგოს საექიმო პუნქტები თემებში.

როდესაც ჩვენ მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როცა ყველა თემში გვექნება საექიმო პუნქტები და მნიშვნელოვან რაიონებში აგრეთვე საავადმყოფოები ექიმების საკმაო რიცხვით, ამის შემდეგ თავისთავად ცხადია, ფერშლების მუშაობა ჯანმრთელობის დარგში სავსებით დაექვემდებარება თავის პირდაპირ ფუნქციებს, როგორც ექიმების დამხმარე ძალის.

ფერშლების საექიმო დარგში მუშაობის სოფლის ექიმბაშებთან გათანასწორება კი, როგორც ამას უწოდებს კორესპონდენტი „ექიმი" თავის წერილში, უსათუოდ უმართებულოა.

ვიმეორებთ აუცილებელია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ადგილი არ ექნეს ექიმებსა და ფერშლებს შორის ქიშპობას და ისინი უნდა მუშაობდნენ სრულიად შეთანხმებულად მშრომელი მასების საკეთილდღეოდ.

ს—ელი.

ექიმებისა და ფერშლების ფუნქციები უნდა მოწესრიგდეს

ამ ბოლო დროს ექიმების რიცხვი სოფლად საკმაოდ გაიზარდა. თითქმის იშვიათია ისეთი თემი, სადაც თავისუფალი იყოს ექიმის ადგილი, ხოლო 2—3 წლის განმავლობაში უსათუოდ არც ერთი საექიმო პუნქტი უექიმოდ არ დარჩება.

სოფლის ექიმს ხშირად უწევს ბრძოლა სხვადასხვა ჯურის ექიმბაშებთან. ამავე დროს არის მეორე ფრონტი, რომელზედაც ექიმს განსაკუთრებული ბრძოლა უხდება. ეს არის ბრძოლა ფერშლებთან. არავისთვის სადაო არ არის, რომ დღევანდელ პირობებში, იქ სადაც ექიმი მუშაობს, ფერშალი არის იგივე ექიმბაში, რომ ფელშერიზმი არის მედიცინის სრულიად უვარგისი სუროგატი. სწორედ ამიტომ გამოიცა საქ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1927 წლ. 6 აგვისტოს, № 5, რომლის ძალით ფერშლებს უფლება ეძლევა განაგოს საექიმო პუნქტი განსაკუთრებულ შემთხვევაში და განსაკუთრებული ნებართვით იქ, სადაც ექიმები არ არიან. სხვა შემთხვევებში მათ არა აქვთ უფლება დამოუკიდებელი მუშაობის და რეცეპტის წერის. ამ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან თანახმად იუსტიციის და ჯანსახკომისარიატის 1928 წლ. 28 აგვისტოს დადგენილებისა.

როცა ექიმი მიდის სოფელში სამუშაოდ და იქ მას ხვდება ფერშალი, ეს უკანასკნელი პირდაპირ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ექიმთან. ვინაიდან ფერშალს არავითარი იურიდიული საშუალება ამისათვის არა აქვს, ის მიმართავს ყოველგვარ პროვოკაციულ საშუალებას, რათა ექიმს ხალხის თვალში სახელი გაუტეხოს. ფერშალი იწუნებს ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტს, თუ გაიგო, რომ ექიმი სადმე მიიწვიეს, ის იმ ავადმყოფთან თვითონვე მოუწვევლად მიდის, სინჯავს ავადმყოფს და ეუბნება ოჯახის დანარჩენ წევრებს, რომ ექიმს არაფერი გაეგება, რომ ეს წამალი უვარგისია, რომ საერთოდ ახალ ექიმებს ფერშლები ბევრად სჯობიანო და ასეთი პროვოკაციული საშუალებით აწარმოებენ ბრძოლას ექიმებთან. ეს გარემოება იმდენად უშლის ექიმს თავის მოვალეობის შესრულებას, რომ იყო შემთხვევა, როცა ექიმი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამსახური ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

ფერშლების შესახებ არსებული კანონი უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში, რათა ექიმებს მიეცეს საშუალება იმუშაონ სოფელში ისე, რომ მათ ფერშლების და ექიმბაშების სახით მეტოქეები არ ყავდეს.

უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულ სიმხნევეს იჩენენ ექიმებთან ბრძოლაში ოზურგეთის მაზრაში მომუშავე ფერშლები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში თავსაც იქებენ, რომ აი მე ამდენი და ამდენი ექიმი გავაგდე ჩემი სოფლიდანო. ამ მაზრაში მათ რაღაც განსაკუთრებული ნიადაგი პოვეს. აქ ისეთი ფერშლების რეცეპტს აქვს გასავალი, რომლებსაც არასოდეს არსად არ უმსახურნია. მაგ., ფერშალი ორაგველიძე ლანჩხუთში. არიან ისეთებიც, რომლებსაც არავითარი მოწმობაც არ აქვს. მაგ., ს. ჯურუყვეთში ექიმბაში დ. მჟურვანიძე და სხვა.

დარწმუნებული ვართ, რომ ჯანსახკომი ამ გარემოებას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას.

ექიმი.

ექიმბაშების მსხვერპლი

(შრომის თემი, გურია)

შრომის (სოფ. მიქელგაბრიელის) თემს არ აქვს საექიმო პუნქტი, არც აფთიაქი და არ ჰყავს არც ბებია-ქალი. ხშირია შემთხვევა, როცა საექიმო დახმარების გარეშე ავადმყოფი ესალმება სიცოცხლეს.

ამას წინად ამავე თემის ღარიბ გლეხმა სანდრო ქარცივაძემ ცოლის მშობიარობიდან განთავისუფლების მიზნით, მოიწვია ბებია-ქალის ნაცვლად სოფლის ექიმბაში ნამეტი მჟავანაძე, რასაც შედეგად მოყვა უცოდინარ ექიმბაშის მიერ ავადმყოფის სისხლის მოწამვლა და მისი გარდაცვალება. ავადმყოფობის გართულების შემდეგ მაზრიდან გამოწვეული იქნა ბებია-ქალი, მაგრამ დაგვიანების გამო ავადმყოფისთვის დახმარება უშედეგოთ დამთავრდა.

ექიმბაშ ნამეტის საქციელი ამით არ ამოიწურება, ის ხშირად ეწევა მკითხაობას, ამზადებს გლეხობისათვის საზიანო წამლებს და სხვა.

ყოველივე ეს იმის მიზეზია, რომ ჩვენ თემს არა აქვს სათანადო დახმარება ჯანმრთელობის საქმეში. საჭიროა დაინიშნოს ბებია-ქალი, გაიხსნას აფთიაქი, რის შემდეგ ექიმბაშების თარეშს ბოლო მოეღება.

შალ. კა—ლი.

—:—

საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება

ჭადისჯვრის თემი, თბილისის მაზრა

ჭადის-ჯვრის თემში სოფ. შუა—ხევი შეფობაზე ჰყავს აყვანილი ცენტრ. პარტ. სკოლის საშეფო ორგანიზაციას. ხსენებულ სოფელში 18 მარტის დღის აღსანიშნავად და საგაზაფხულო თესვის შესახებ საუბრის ჩასატარებლად მივლინებული იყვნენ საშეფო ორგანიზაციის წევრები: ღარიბ გლეხობასთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი მათი მდგომარეობა ძალზე ცუდი იყო, მაგრამ დეფექტები დღესაც არსებობს, რაც მოითხოვს აუცილებელ ყურადღებას.

ხსენებულ სოფელში არსებობს კომუნა, რომელშიაც 12 კომლია, გაერთიანებული. კოლექტივის წევრები მოითხოვენ ნამყენი ხეხილის ნერგებს, ხორბლის თესლს, ამერიკულ ვაზს და მეურნეობს ხელისშემწყობ სხვა საშუალებებს, რაიც საჭიროა დაჩქარებით მიეცეს მათ.

აღსანიშნავია გლეხობის სურვილი მშენებლობის დარგში. გლეხობა მოითხოვს მიეცეს სოფელს ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც შესძლებს თვითდაბეგვრის გატარების საშუალებით გზების შეკეთებას. უგზოობა აფერხებს ტრაქტორების შემოტანას.

ხსენებულ სოფელში სასმელი წყალი კარგია, მაგრამ მისი სათავე დახურული არ არის, არც ქვით ამოშენებულია და გლეხებს უხდებათ უსუფთაო წყლით სარგებლობა.

სოფელში არსებობს ოთხწლედი, მაგრამ ბინა, რომელიც ოთხწლედს უკავია, არის კერძო პირის, ბავშვებს არა აქვთ გასართობი ადგილი, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის. ამავე დროს სოფელს აქვს ქვა-კირი და ადგილი სკოლის შენობის ასაგებად. გლეხობა მოითხოვს გაუწიონ ხელმძღვანელობა, რომ ჩვენი სკოლა ავაგოთ ჩვენივე ხარჯზეო.

თემში თითქმის არ მოიპოვება კულტურული ძალები და როგორც საჭიროა ვერც თემაღმასკომი უწევს ხელმძღვანელობას. ვიმედოვნებთ თბილისის აღმასკომი მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას და გააძლიერებს ხელმძღვანელობას ხსენებულ სოფელში.

დ. ლომთაძე.

კურსები სამეურნეო ცოდნის ასამაღლებლად

საქარის თემი, შორაპნის მაზრა

გასული წლის ოქტომბერში საქარის თემში ჩამოყალიბდა კოლექტივი. კოლექტივში გაერთიანებულია 30 გლეხი და აქვთ 60 ქცევა მიწა, რომელსაც ამუშავებენ აგრონომიული წესით. კოლექტივის წევრებს ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს როგორც მანქანა-იარაღებით, ისე კრედიტით. კოლექტივთან გახსნილია კურსები მეურნეობის საკითხების შესასწავლათ. მსმენელებს ასწავლის მაზრიდან გადმოგზავნილი აგრონომი ამხ. ვალ. არაბიძე. კოლექტივის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ლექციებს.

სასურველია ასეთი კურსების ჩამოყალიბება სხვა კოლექტივებთანაც, რაიც ხელს შეუწყობს გლეხობაში სამეურნეო ცოდნის შეტანას.

ტ. კირ—ძე.

ვინ არღვევს საკრედიტო დისციპლინას

კარდანახის და საქობოს საკრედიტო ამხ.-გის გამგეობა პასუხისგებაშია მიცემული

მიუხედავად საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის გამგეობის კატეგორიული დირექტივებისა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობებმა დღემდე ვერ შესძლეს საკრედიტო დისციპლინის გამტკიცება.

საკრედიტო დისციპლინის განსამტკიცებლად საკრედიტო ამხანაგობებში საჭირო შეიქნა სპეციალური ერთ თვიანი კამპანიის ჩატარება ვადა გადაცილებულ სესხების ასაკრებად.

მაგრამ ამ კამპანიას, მიუხედავად საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის სპეციალური დირექტივებისა და ცოცხალი ხელმძღვანელობისა, ზოგიერთი საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა გულგრილად შეხვდა და ვადაგადასულ სესხების აკრების საქმეში სრული უმოქმედობა გამოიჩინა.

აღნიშნულ კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში უმოქმედობის და გულგრილობის რეკორდი ჯერ-ჯერობით კახეთის მაზრის კარდანახის და საქობოს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ დაამყარა; მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ საკრედიტო ამხ.-ბების სამოქმედო რაიონები ეკონომიურად ძლიერია, მათ დღემდე (1 მარტიდან) ვერ შესძლეს ვადა გადაცილებულ სესხების ოდნავ შემცირება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ თავის ა. წ. 2 აპრილის სხდომაზე მოისმინა ცნობა კარდანახის და საქობოს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის „მუშაობის" შესახებ და გაითვალისწინა რა, სადირექტივო ორგანოების დავალება ვადაგადაცილებულ სესხის შეკრების შესახებ, დაადგინა კარდანახის და საქობოს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის პასუხისგებაში მიცემა.

ასეთივე ზომები იქნება მიღებული იმ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მიმართ, რომლებიც მიბაძავენ კარდანახის და საქობოს ამხანაგობის გამგეობის მაგალითს.

კულტმუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ჩაატარა იმ კულტმუშაობის გამოკვლევა, რომელსაც საკავშირო ორგანიზაციები წარმოება-დაწესებულებებში სასაუზმო დასვენების დროს ეწევიან. გამოირკვა, რომ მუშაობა სასაუზმო დასვენების დროს მიზანს ვერ აღწევს, მეტადრე იმ შემთხვევაში, როცა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის ლექციები და მოხსენებები იმართება. დაქანცული მუშა არა თუ ვერ ითვისებს სამეცნიერო ლექციას მომქანცველი მუშაობის შემდეგ, არამედ კიდევ უფრო იღლება და ასეთ პირობებში მისთვის საუზმის მიღებაც კარგავს მარგებლობას.

სასაუზმო დასვენების დროს აუცილებლად შემოღებული უნდა იქნეს კულტმუშაობის ზოგიერთი სხვა ფორმები, რომ ჩვენში უმთავრესად ნახევარსაათიანი დასვენებაა შემოღებული. საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, მაგ., მოსკოვში და ლენინგრადში, სასაუზმო დასვენება ერთ საათს ან საათ-ნახევარს გრძელდება. მუშა ასწრებს, როგორც საუზმის მიღებას, ისე ლექციის ან მუსიკის მოსმენას და არც იღლება.

ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა სასაუზმო დასვენების დროს ჩვენში აუცილებლად უნდა აიკრძალოს; რაც შეეხება მუშაობის სხვა ფორმებს, როგორიცაა რადიო-კონცერტები, სიტყვაკაზმული ლიტერატურის კითხვა და სხვა, ამისათვის აუცილებლად საჭიროა დასვენების დრო გაგრძელდეს ერთ საათამდე მაინც.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში შემდგარმა თათბირმა დაადგინა წინადადება მიეცეს კავშირებს შესცვალონ ახლანდელი მუშაობის წესი სასაუზმო დასვენების დროს და მიიღონ ზომები, რომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის ლექციები და მოხსენებები დილის დასვენების დროს არ იმართებოდეს.

თათბირმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ნაცვლად ლექციებისა სასაუზმო დასვენების დროს მოეწყოს ლიტერატურის კითხვა, საუბრები (რომლებმაც რთული ლექციის ხასიათი არ უნდა მიიღოს), კითხვა-პასუხი სხვადასხვა საკითხებზე, საცნობარო მუშაობა; მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაობა ლიტერატურის გაცემით, მსუბუქი კონცერტები და სხვ. ამ ღონისძიებებს არ უნდა ექნეს რთული ხასიათი და არც უნდა იწვევდეს იმდენად დაღლილი მუშის მოქანცვას, პირიქით უნდა უწყობდეს ხელს მუშების დასვენებას.

ვინაიდან სასაუზმო დასვენების დროს კულტმუშაობის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული დასვენების ხანგრძლივობასთან, ამიტომ თათბირმა დაადგინა დაისვას საკითხი სათანადო ორგანოებში დასვენების ერთ საათამდე გაგრძელების შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა

ქ. თბილისში და მის მაზრაში უკვე დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების მსმენელთა გამოშვება, რომელიც დამთავრდება აპრილის პირველ ნახევარში. სკოლების გამოშვების დროს მაზრის ზოგიერთ თემებში ტარდება სკოლების მსმენელთა თათბირები, რომელზედაც ირჩევა ლიკ-სკოლების განვლილი მუშაობის ზოგიერთი საკითხები და აგრეთვე მუშავდება ღონისძიებანი მომავალი მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა, სალიკვიდაციო სკოლების ნორმალურად მუშაობას მაინც ბევრი რამ უშლიდა ხელს. თემ-აღმასკომების ბიუჯეტით წელსაც მცირე თანხები იყო გათვალისწინებული სალიკსკოლების სასწავლო-სამეცნიერო ხარჯებისათვის. მაგ., სკოლის თვითეულ მსმენელისათვის სინამდვილეში სახელმძღვანელოს შესაძენად საჭირო იყო 1 მან. და 50 კაპ., ბიუჯეტით კი გათვალისწინებულია მხოლოდ 50 კაპ. ამ მიზეზით წელს სალიკვიდაციო სკოლები ვერ იქნა საკმაოდ და თავის დროზე უზრუნველყოფილი სასწავლო ლიტერატურით, რის გამო სკოლის 3—4 მსმენელს უხდებოდა ერთი წიგნით სარგებლობა. ზოგიერთი თემ-აღმასკომები თავის დროზე არ იძლეოდნენ სალიკვიდაციო სკოლებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს. გახსნილ სკოლების ქსელი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სალიკვიდაციო სკოლების ქსელი გაფართოების მაგიერ—შემცირდა. სკოლების მუშაობას მაზრაში ხელს უშლიდა მიმდინარე წელში სამოსწავლო პროგრამის შეუსაბამობაც. ასე მაგალითად, პროგრამა სალიკვიდაციო სკოლისათვის შედგენილია 6 თვის ვარაუდით, სინამდვილეში კი სალიკვიდაციო სკოლები მუშაობას აწარმოებენ მხოლოდ 4 თვის განმავლობაში; გარდა ამისა პროგრამა მეტად რთულია და მათი დაძლევა სოფლის სალიკვიდაციო სკოლის მსმენელებს უძნელდება.

მიუხედავად ამ დეფექტებისა, სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა. განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული სალიკვიდაციო სკოლებში მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხების ჩასაბმელად.

მიმდინარე სამოსწავლო წელში თბილისის და მისი მაზრის სალიკვიდაციო სკოლების ქსელი ასეთ სურათს იძლევა: თბილისში გაიხსნა 55 წ. კ. უცოდინართა სკოლა, მაზრაში—168; წ. კ. მც. მცოდნეობის სკოლები თბილისში გაიხსნა—66, მაზრაში—55; ეროვნულ უმცირესობათათვის გახსნილი იყო: თბილისში წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო—39 სკოლა, მაზრაში 55; მცირე მცოდნეთა სკოლა: თბილისში გაიხსნა—39, მაზრაში—50.

გარდა აღნიშნული სკოლებისა, მიმდინარე სამოსწავლო წელს კულტურულ ლაშქრობასთან დაკავშირებით თბილისში და მის მაზრაში დამატებით გაიხსნა 36 წ. კ. უცოდინართა სკოლა და 12 მც. მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა.

ალ. ბ—ლი.

საქ. სახკომსაბჭოში

რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების 1928-29 წ. ხარჯთაღრიცხვა

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 950.000 მან. რაოდენობით.

ხსენებული თანხიდან ახალი გზების გაყვანისათვის დანიშნულია 190.000 მ., ხოლო ძველი გზების შესანახად და რემონტისათვის —553.798 მან.

კრედიტი საბინაო მშენებლობისათვის

საბინაო მშენებლობისათვის ცეკომბანკის ხაზით გაღებული კრედიტი განაწილდა შემდეგნაირად: ამხ-ბა „თბილისის რკინისგზელს" —81.000 მან., ცხაკაიას სახელობის ამხ-ბას—30.000 მან., ლენინის სახელობის ამხ-ბას—54.000 მან., აჭარისტანის საბინაო კავშირს—40.000 მან., აფხაზეთის—25.000 მან. და სამხრეთ ოსეთს—25.000 მან. აჭარისტანის საბინაო კავშირის საჭიროებანი 10.000 მან. რაოდენობით დამატებით იქნა გათვალისწინებული.

სატყეო მრეწველობის განვითარება

ეთხოვა ა.-კ.-ის სახკომსაბჭოს აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა სატყეო მრეწველობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მიწოდების გეგმაში შეტანილ იქნა საქართველოს სატყეო ტრესტი შემდეგი სახით: საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად—805.000 მან. და კაპიტალური დაბანდებათა დასაფარავად — 390.000 მან..

ქუთაის-ზეკარის გზატკეცილის შესახებ

ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად, ქუთაის-ზეკარის გზატკეცილი რკინის გზის გადასვლამდე, რომელიც ქ. ქუთაისის ფარგლებში იმყოფება, გადაეცა ქუთაისის აღმასკომს.

ჩაის ახალი საბჭოთა მეურნეობა აჭარისტანში

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო ა.-კ.-ის ბიუჯეტით მიღებული 650.000 მან. გამოყენება აჭარისტანში 200 ჰექტარზე ახალი საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად.

წინადადება მიეცა „საქართველოს ჩაი"-ს დაუყონებლივ შეუდგეს აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობის მოწყობას.

საექსკურსიო სეზონის წინ

საქ.-ტურ. სააქციო საზ.-გის დაარსება

განათლების სახალხო კომისარიატის თაოსნობით საექსკურსიო ბიუროს ნაცვლად დაარსდა საექსკურსიო-ტურისტული სააქციო საზოგადოება. საზოგადოების ძირითად თანხას შეადგენს 100.000 მანეთი.

საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა ზაფხულის სეზონის გეგმა. გეგმის მიხედვით ყოველ ექსკურსიას ექნება განსაზღვრული ხასიათი. ამ მიზნით მოეწყობა ამა თუ იმ კუთხის ყოფა-ცხოვრების შემსწავლელი ექსკურსია. ექსკურსია შესანიშნავ და ისტორიულ მნიშვნელობის ადგილების გასაცნობათ, ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად და სხვ.

ამასთანავე ექსკურსიას ექნება სპორტიული ხასიათი.

ექსკურსიების წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ეწყობა საექსკურსიო ბაზები. მთავარ ბაზებთან განზრახულია გაიხსნას სასადილოები, ღამის გასათევი ბინები და საექიმო პუნქტები. საზოგადოებას შემუშავებული აქვს საექსკურსიო ადგილების გეგმა და მარშრუტი. ექსკურსანტებისათვის შესაფერი ახსნა-განმარტებების მისაცემათ მთავარ ბაზებზე მიმაგრებული იქნებიან სპეციალისტები.

7 აპრილს საზოგადოება აწყობს პირველ ექსკურსიას თბილისის მიდამოებში.

შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებას გადასცა 8000 შეღავათიანი ბილეთი შორეულ ექსკურსიების მოსაწყობათ. კულტგანყოფილების გეგმით პროფკავშირთა წევრების შორეული ექსკურსიები ზაფხულის განმავლობაში მოეწყობა: ბაქოში, განჯაში, ერევანში, ლენინაკანში, ალავერდში, ბათომში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში, ბორჯომ-ბაკურიანში; თელავში, წინანდალში და სხვ.

თათბირი შრომის დისციპლინის საკითხებზე

გუშინ ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატში გაიხსნა მთავრობის იმ კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს პრაქტიკულ ღონისძიებათა პროექტის შემუშავება შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

სხდომას ესწრებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, პროფესიონალურ ორგანიზაციების და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ა.-კ. შრ. სახ. კომისარმა ამხ. **ა. იაშვილმა** სხდომაზე აღნიშნა, რომ უკანასკნელ თვეების განმავლობაში საწარმოებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დაცემას, მართალია შრომის ნაყოფიერების შემცირების ნიშნები არ არის, მაგრამ ეს გარემოება აიხსნება მით, რომ ჩვენი წარმოებების მოწყობილობა დღითი დღე უმჯობესდება.

მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ წარმოებებში სამუშაო საათები მთლიანად არ არის დატვირთული ე. ი. მუშები მთელ საათს არ მუშაობენ. გარდა ამისა, ხშირია სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლის, სამუშაო დღის გაცდენის და ავადმყოფობის სიმულიაციის შემთხვევები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს უკანასკნელ ხანებში მიემატა ახალი ფენა, რომელიც ან ახლად გამოსულია სოფლიდან ან საერთოდ კავშირი არ გაუწყვეტია სოფელთან და პროლეტარული შეგნებით ვერ ეპყრობა თავის მუშაობას.

ეს ახალი მუშები გარდა იმისა, რომ თვითონ უმიზეზოთ არ გამოდიან სამუშაოზე და ზარალს აყენებენ წარმოებას, ფულს ღებულობენ დამზღვევ სალაროდან და ამრიგად ორმაგ ზარალს აძლევენ პროლეტარულ სახელმწიფოს.

შრომის დისციპლინის დაცემას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სამეურნეო ორგანიზაციები გაურბიან შრომის დაცვის მოთხოვნილებათა შესრულებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

შრომის დისციპლინაზე გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ფაბრიკა-ქარხნების ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება საწარმოო თათბირებს.

არის შემთხვევები, რომ შრომის დისციპლინის სისტემატიურად დამრღვევთა მოხსნას მუშაობიდან ეწინააღმდეგებიან საკონფლიქტო კომისიები და ხშირად ასეთი მუშები მათი დახმარებით დაუსჯელად რჩებიან, რაც ცუდ გავლენას ახდენს დანარჩენ მუშებზე. საჭიროა მიღებული იქნეს მკაცრი ზომები იმ მუშათა წინააღმდეგ, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ შრომის დისციპლინას და საერთოდ შემუშავებული იქნეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის დისციპლინის ამაღლებას. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები წარმოებებში შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და შრომის დაცვის ასამაღლებლად.

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ლ. ელბაქიძემ აღნიშნა, რომ თუმცა საქართველოს წარმოებებში შრომის დისციპლინის დაცემა საერთო ხასიათს არ ატარებს, მაგრამ დისციპლინის დაცემას ცალკე წარმოებებში მაინც აქვს ადგილი. მაგალითად თუ გასულ წელს ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში მუშაობის გაცდენა შეადგენდა მთელი კაც-დღეების 0,9 პროცენტს, წელს იგი უდრის—1 პროცენტს; ბორჯომის ტკეჩების ქარხანაში 1927—28 წელს გაცდენა უდრიდა 0,6 პროცენტს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უდრიდა—1,2 პროცენტს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მცირდება სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, მაგრამ იზრდება საპატიო მიზეზებით გამოწვეული გაცდენა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ადმინისტრაცია სუსტობს და მიზეზების განურჩევლად აძლევს მუშებს სამუშაოსაგან წასვლის ნებას. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ შრომის დისციპლინა დაცემულია ადმინისტრატიულ პერსონალს შორისაც.

ამ მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, როგორც ადმინისტრაციის, ისე პროფორგანოების და სასამართლოს მიერ. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები საექიმო დახმარების და მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად.

სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სომხეთის წარმოებებში შრომის დისციპლინის შემცირებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ფაბრიკა ქარხნებში ჩაბმულია ამერიკელების კომიტეტის საბავშვო სახლებში გაზრდილი ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად არ არის შეჩვეული საქარხნო-საფაბრიკო დისციპლინას.

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **როხლინი** აღნიშნავს, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება შრომის დისციპლინის ასამაღლებლად, მაგრამ შიშობს, რომ ამ უფლებას ადმინისტრაცია უფრო სასტიკად გამოიყენებს იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან თვითკრიტიკას. მისი აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

თბ. მაუდის ფაბრიკის აგება მთავრდება

დაწყებულია მანქანების დადგმა.—ფაბრიკის ერთი ცეხი ამუშავდება ივლისიდან

თბილისის მაუდის ფაბრიკის სააღმშენებლო სამუშაოები უკვე მთავრდება. ამჟამად მიმდინარეობს ფაბრიკის კორპუსების კედლების შელამაზება შიგნიდან, იატაკის დაგება და სხვა წვრილმანი სამუშაოები.

28 მარტიდან დაწყებულია საკამვოლო სართავი მანქანების დადგმა და აწყობა (მონტაჟი). მანქანების დადგმას ხელმძღვანელობენ ინგლისიდან ჩამოსული სპეციალისტები, რომლებიც გამოგზავნილი არიან იმ ინგლისური ფირმების მიერ, რომლებმაც დაამზადეს თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის საჭირო მანქანები.

უახლოეს ორი-სამი დღის განმავლობაში დაწყებული იქნება აგრეთვე ფაბრიკასთან არსებული მატყლის სარეცხი ცეხის მოწყობაც. ცეხში დადგმული იქნება „ლევიაფანის" სისტემის სარეცხი მანქანები, რომლებიც უკვე მიღებულია თბილისში. მატყლის სარეცხი ცეხი ამუშავებული იქნება ივლისიდან.

შემნახველ სალაროების ერთთვიური

იზრდება მეანაბარეთა რიცხვი და ანაბარების ჯამი

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ შემნახველ სალაროს ცნობით მარტის უკანასკნელ კვირეში (23 მარტიდან 31 მარტამდე) საქართველოს შემნახველ სალაროებში მეანაბარეთა რიცხვი გაიზარდა 6.569 კაცით, ანაბარების ჯამი კი—173.486 მანეთით. ცნობები ჯერ მიღებული არ არის ახალციხიდან, ჭრებალოდან, გაგრიდან და გურჯაანიდან.

მარტო თბილისის შემნახველ სალაროებში უკანასკნელი კვირის განმავლობაში მეანაბარეთა რიცხვი გაიზარდა 3466 კაცით, ანაბარების ჯამი—95.669 მანეთით. მარტის განმავლობაში კი მეანაბარეთა რაოდენობა მთელ საქართველოს შემნახველ სალაროებში (გარდა რკინის გზის სალაროებისა) გაიზარდა 14.674 კაცით, ანაბარების ჯამი — 490.811 მანეთით.

აზერბეიჯანის შემნახველ სალაროებში მარტის პირველი სამი კვირის განმავლობაში (20 მარტამდე) მეანაბარეთა რაოდენობა გაიზარდა 8.600 კაცით, ანაბარების ჯამი — 300.000 მანეთით.

სომხეთის შემნახველ სალაროებში (20 მარტამდე) — მეანაბარეთა რაოდენობა გაიზარდა 2.000 კაცით. ანაბარების ჯამი — 200.000 მანეთით.

ა.-კ. რკინის გზის სალაროებში (20 მარტამდე) მეანაბარეთა რაოდენობა გაიზარდა 2.000 კაცით, ანაბარების ჯამი — 30.000 მანეთით — (აქედან საქართველოს რკ. გზებზე — მეანაბარეთა რაოდენობა—1248 კაცით, ანაბარების ჯამი — 27.390 მანეთით).

წინასწარი ცნობების მიხედვით მეანაბარეთა შორის განსაკუთრებულ დიდ პროცენტულ ზრდას იძლევა გლეხობა.

შემნახველ სალაროების ერთთვიური მთელ ამიერ-კავკასიაში გაგრძელებულია 15 აპრილამდე.

საჩუქარი საშეფო სოფელს

თებერვლის პირველ რიცხვებში მოწყობილი იყო საარჩევნო-სააგიტაციო მოტო-გადარბენა (თბილისი—გომბორი — თელავი—სიღნაღი—თბილისი), რომლის დროსაც თბილისის ავტოკლუბმა შეფობა მიიღო სოფ. გომბორზე, სადაც გადარბენის მონაწილეთა ინიციატივით მოწყობილ იქნა „ავტოდორის" უჯრედი.

ამ რამოდენიმე დღის წინათ ავტო-კლუბის მოტო-სექციის დადგენილებით, სოფ. გომბორის ავტოდორის უჯრედს ავტოკლუბმა საჩუქრათ გაუგზავნა ერთი ავტომობილი. გარდა ამისა, ავტოკლუბის ინიციატივით 6 აპრილს გომბორში გაგზავნილი იქნებიან მსახიობები, მომღერლები და გუნდი ადგილობრივ გლეხებისათვის საღამო-კონცერტის მოსაწყობად. მსახიობებთან ერთად გაგზავნილი იქნება მოძრავი კინოც. გაგზავნილი მსახიობები გომბორში დარჩებიან სამი დღე—6,7 და 8 აპრილს.

აღნიშნული დროის განმავლობაში გაკეთებული იქნება რამოდენიმე მოხსენება გაზაფხულის თესვის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენებისა და კინო-სეანსების დაწყებამდე გადაწყვეტილია მოეწყოს გლეხებისათვის და გლეხ-ქალებისათვის კითხვა-პასუხის და საუბრების საათები.

ნაჩუქარი ავტომობილით, „ავტოდორის" გომბორის უჯრედს დავალებული აქვს აწარმოოს ზაფხულის განმავლობაში მოაგარაკეთა გადაყვან-გადმოყვანა. შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს უჯრედის საშუალებების გაძლიერებას.

მზადება მეაბრეშუმეობის სეზონისათვის

საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, წელს დასავლეთ საქართველოში დარიგებული იქნება 90.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი, წინააღმდეგ 81.000 კოლოფისა, რომელიც დარიგებული იქნა შარშან.

ინკუბაციისათვის ადგილებზე მოწყობილია 150 საინკუბაციო კამერა და 200 ინკუბატორი.

მოსამზადებელი მუშაობა სეზონისათვის ქუთაისის მაზრაში მთავრდება. მეაბრეშუმე გლეხებს შორის სწარმოებს აგიტაცია აბრეშუმის ჭიის რაციონალური კვების შემოსაღებად.

ამასთან ერთად ფართოდაა გაშლილი მუშაობა თუთის სანერგეების მოსაწყობად, რომელთა სივრცე დასავლეთ საქართველოში ამჟამად აყვანილია 100 ჰექტარამდი, წინააღმდეგ 32 ჰექტარისა, რომელიც იყო შარშან.

წელს დარიგებული იქნება 300.000 ახალი ნერგი; ნერგები დაურიგდებათ უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხებს.

აბრეშუმის ტრესტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით ატარებს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციას. კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება აბრეშუმის პარკის მოსავლის 25 პროც.; კილოგრამ პარკზე გაცემული იქნება 50 კაპ.

ქ უ თ ა ი ს ი

რა აღმოაჩინა მსუბუქმა კავალერიამ ქუთაისში

ქუთაისი, 3 აპრილი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულმა შეიმუშავა დაწესებულებებზე უეცარი თავდასხმის გეგმა შრომის დისციპლინის მდგომარეობის, ბიუროკრატიზმის, უხეში მოპყრობის, საქმის გაჭიანურების და სხვ. გამოაშკარავების მიზნით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შემდგარ თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მუშკორებმა, მოეწყო 6 მფრინავი სამეული. ყოველი სამეულის შემადგენლობაში შედის მუშკორი, დაზგის მუშა და „მსუბუქი კავალერისტი".

მათ მიერ მოხდენილმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის სახ. ვაჭრობის გამგეები და მოსამსახურეები კერძო ვაჭრებს აწვდიდნენ პირველი საჭიროების საქონლის დიდ პარტიებს, კერძოდ მიტკალს, მაშინ, როდესაც მუშები და მოსამსახურენი ამ საქონელს მეტად განსაზღვრული რაოდენობით იღებდნენ.

გამოკვლევის დღეს დაპატიმრებულ იქნა ორი ვაჭარი, რომლებსაც მუშკოოპის მაღაზიიდან ნაცნობობით სისტემატიურად გამოჰქონდა საქონელი, უმთავრესად მიტკალი და მაუდი.

იმავე დღეს აღმოჩენილ იქნა რამდენიმე გადამყიდველი, რომლებსაც ჰქონდათ მუშკოოპის მაღაზიის საქონელი.

რკინის გზის მოძრაობის დარგში, ბიუროკრატიზმისა და მუშებისადმი უხეშად მოპყრობის გარდა აღმოჩენილ იქნა საქმის გაჭიანურება. მაგალითად, მიმოწერა ზედმეტ საათებში მუშაობისათვის ხელფასის მიცემის შესახებ გრძელდებოდა 102 დღე.

კერძო ვაჭრები შრომის ინსპექციასთან არსებული კოლექტივის მაღაზიებიდან დიდ თანხებს იღებდნენ სესხად და ამ ფულით ყიდულობდნენ საქონელს ამავე მაღაზიებისათვის; შემდეგ ეს მაღაზიები ამ საქონელს შედარებით მაღალ ფასებში ჰყიდდნენ (ადს).

კვირას, 7 აპრილს, დღის 12 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (შესასვლელი რუსთაველის თეატრის ეზოდან), **მოწვეულია კომპარტიის წევრების, კანდიდატების და კომკავშირის წევრ-ინჟინრების აგრონომების და მიწის მზომელების**

საერთო საქალაქო კრება

თბილისში მყოფ ყველა ამხანაგების დასწრება პარტდისციპლინის თანახმად სავალდებულოა

ხუთშაბათს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალაქის რაიონული კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი პარტიის და კომკავშირის უჯრედების და ფაბქარხადგილკომების ფრაქციების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მუშკოოპის საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის შესახებ.
2) შრომის დისციპლინის შესახებ.

პლენუმს უნდა დაესწრონ ქალაქის რაიონული კომიტეტის წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნები.

რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **მორჩილაძე**.

ქრონიკა

დასასვენებელი დღეები

შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, მუშათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად 1 და 2 მაისი გამოცხადებულია დასასვენებელ დღეებათ.

გარდა ამისა მთელი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეებად დაწესებულია; ორშაბათი, 6 მაისი; ორშაბათი, 15 ივლისი; 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად—პარასკევი 20 სექტემბერი, ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავი—7 და 8 ნოემბერი, და 25 დეკემბერი.

ა. ქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო

ა. ქ. ცაკის დადგენილებით. ა. ქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ა. გენკინი, მის მოადგილედ ამხ. ა. გულოიანი.

ნავთის გაიაფება

დღემდე მოსახლეობისათვის ნავთის მიწოდების საქმეში 75 პროცენტი ეჭირა კოოპერაციას, 15—კერძო ვაჭრებს. ეს უკანასკნელები ნავთს ყიდდენ 1 კაპეიკით ძვირად კოოპერატიულ ფასებთან შედარებით.

გადაწყდა ამიერიდან ნავთის გასაღების საქმე მთლიანად გადაეცეს კოოპერაციას. დღემდე კოოპერაცია ნავთს ყიდდა საწყობში ლიტრას—7 ნახ. კაპ., სახლში მიტანით—8 ნახ. კაპ.

ხვალიდან კი ნავთი ეღირება: საწყობში ლიტრა 7 კაპ., სახლში მიტანით—8 კაპ.

ვადაგადაცილებულ სესხების შეკრება

საქართველოს სა.-სამეურნეო ბანკი შეუდგა კახეთის მაზრაში ვადაგადაცილებული სესხების შეგროვების კამპანიას. ბანკის ცნობით, კამპანია წარმატებით ვითარდება. ველისციხის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობამ მარტის განმავლობაში შეკრიბა გაცემული სესხების 30 პროცენტი. ანაგის საკრედიტო ამხანაგობამ გაცემული 44.000 მანეთიდან მარტში შეკრიბა 14.000 მანეთი, თელავის საკრედიტო ამხანაგობამ გაცემული 16.000 მანეთიდან შეკრიბა 12.800 მანეთი და ბაკურციხის ამხ-ბამ 9.000 მანეთიდან—6.000 მანეთი. კამპანია სუსტად ვითარდება კარდანახის და საქობოს თემებში.

სტუდენტები პრაქტიკაზე

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა თავის ხარჯით მაზრებში პრაქტიკაზე სამუშაოთ გაგზავნოს აგრონომიულ ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის 19 სტუდენტი. მათ შორის 14 იგზავნება თითო თვით, ხოლო 5 სტუდენტი ექვს-ექვსი თვით.

ჩაი ამიერ-კავკასიისათვის

ბათომიდან ამიერ-კავკასიის ქალაქების საჭიროებისათვის სამარშრუტო მატარებლით გამოგზავნილია ჩაის დიდი პარტია. (ადს).

სამაზრო სასამართლოების გაუქმება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმებული იქნეს ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, შორაპნის, რაჭა-ლეჩხუმის, სიღნაღის, ზუგდიდის და ოზურგეთის სამაზრო სასამართლოები.

თბილისის აღმასკომში

◆ **გარეუბნების კეთილმოსაწყობათ** თბ. აღმასკომმა გადასდო 90.000 მან.

◆ **ფუნიკულიორი.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ფუნიკულიორის გამშვენიერებას. განზრახულია ფუნიკულიორზე მოეწყოს კოოპერატიული სასადილო და საბავშო მოედანი.

◆ **მოძრავი საექიმო პუნქტები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრის მომთაბარე მცხოვრებლებისათვის მოაწყოს მოძრავი საექიმო პუნქტი.

◆ **აბანო.** საკურორტო სექციამ გადასწყვიტა კოჯორში ააგოს აბანო.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **ამერიკული ვაზის სანერგე.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა რაჭა-ლეჩხუმის სას.-სამ. სადგურს გადასცა 150 მან. ამერიკულ ვაზის სანერგეს გასაფართოებლად.

◆ **ტბებსა და მდინარეებში** თევზების დასაცავად და მოსაშენებლად მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 4500 მან.

სხვადასხვა

◆ **მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი.** გადაწყვეტილია მეაბრეშუმეობის ცენტრ. სადგური გადაკეთებული იქნეს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტად.

◆ **დასასვენებელი სახლი.** წყალტუბოს დასასვენებელ სახლის შეკეთება-გაფართოება დამთავრდა. სახლთან მოეწყო სამზარეულო 120 კაცისათვის.

— **საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე საქართ. საეთნოგრაფიო საზ-ბის მორიგ კრებაზე (საქ. მუზეუმის შენობაში) ამხ. ნ. ბერძენიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ფეოდალური საგვარეულოების ბრძოლა ხელისუფლებისათვის". კრება საჯაროა.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ფოთიდან — ჯაკონიას, ჰრებალოდან — ონიანს, როსტოვიდან—გრომოვს და კარდენახიდან — აკოპოვს.

„რაბოჩაია პრავდა"-ს მუშკორების და მკითხველების კონფერენცია

ფოთი, 2 აპრილი. შესდგა გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს მუშკორების და მკითხველებს ფართე კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 100 კაცი. „რაბ. პრავდა"-ს რედაქციის წარმომადგენელმა მოხსენება გააკეთა მუშმღებკორთა მოძრაობისა და რედაქციის მუშაობის შესახებ. კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდენ გაზეთის როგორც მიღწევებზე, ისე ნაკლოვანებებზე და საჭიროდ სცნობდნენ, რომ სხვა რედაქციებმაც მოაწყონ ასეთი კონფერენციები (ადს).

მუშა-ფეიქრების მომზადება

თბილისის ძაფსახვევ ფაბრიკისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების მიზნით, 1-ლ მაისიდან თბილისში იხსნება სამთვიანი კურსები.

კურსებზე მიღებული იქნება 120 კაცი, ფაბრიკისათვის კი სულ საჭიროა ქნება 1000 კაცი; დანარჩენები მიღებული იქნებიან შემდეგში თანდათანობით.

120 კაციდან, რომლებიც მიღებული იქნებიან კურსებზე, 25 პროც. გაიგზავნებიან არსებულ ფაბრიკებიდან, დანარჩენები შერჩეული იქნებიან შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევრებიდან, რომლებიც იცნობენ ამ პროფესიას.

ამას გარდა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება იწარმოებს თბილისის მაუდის ფაბრიკისთვისაც. ამ მიზნით მუშები გაიგზავნებიან მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში და ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში სამუშაოდ. მოსკოვში იგზავნება 200 და ქუთაისში 50 მუშა, რომლებიც იმუშავებენ ოსტატების ხელმძღვანელობით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალ-სენაკი, 2 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ჯერ დამთავრებული არ არის. თემსაბჭოებს წინადადება მიეცა 15 აპრილამდე ჩააბარონ ფინსახკომის ორგანოებს სას.-სამეურნეო გადასახადის მთელი შეკრებილი თანხა. თემსაბჭოების თავმჯდომარეთა თათბირზე გამოირკვა, რომ დასაბეგრ ობიექტების შარშანდელი აღრიცხვის დროს ვერ იქნა შეკრებილი სწორი ცნობები. მრავალი კულაკი დაუბეგრავი დარჩა ან ძლიერ მცირე თანხით დაიბეგრა. ზოგიერთი ღარიბი გლეხი არ იქნა განთავისუფლებული გადასახადისაგან. დასაბეგრ ობიექტების წრევანდელ აღრიცხვის დროს ეს დეფექტები გამოსწორებული უდა იქნეს (ადს).

კართოფილის კონტრაქტაცია

ა.-კ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, ამიერ-კავკასიაში კართოფილის ნათესებზე კონტრაქტაციის ჩატარება დავალებული აქვს „ზაკსოიუზ"-ს. საქართველოში კართოფილის კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება „სოფლის კავშირის" მიერ. კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება 350.000 ფუთ კართოფილზე: ჰექტარ კართოფილზე ავანსი გაცემული იქნება 50 მანეთის რაოდენობით.

ცხვრის დაღუპვა

გურჯაანი, 2 აპრილი. მკაცრი ზამთრის გამო შირაქელ მეცხვარეებს დიდძალი ცხვარი დაეღუპა (ადს).

მევენახეობის ნარჩენების გამოყენება

წინანდალი. 2 აპრილი. მევენახეობის ნარჩენების დამმუშავებელმა რუსეთ-ავსტრიის საზ-ბამ კახეთში მოაწყო ორი სახმობი: თელავში და მუკუზანში. მუკუზანის პუნქტი ამზადებს ე. წ. „ვინაჩია"-ს, რომლიდანაც ამზადებენ ღვინის ქვას (ადს).

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი კოტე მეღვინეთ-უხუცესის ნაწარმოებიდან

2 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში სახალხო არტისტის ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით სახელმწიფო ოპერის გაძლიერებული ორკესტრისა, გუნდის და ზოგიერთი ჩვენი ცნობილი საოპერო არტისტის მონაწილეობით გაიმართა სიმფონიური კონცერტი. შესრულებულ იქნა ნაწყვეტები კომპოზიტორ კოტე მეღვინეთ-უხუცესის ნაწარმოებიდან „ამირანი"-დან.

კოტე მეღვინეთ-უხუცესის ნაწარმოებიდან წარმოდგენილი ნიმუშები მოწმობენ, რომ მისი ნაწარმოები წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით დასაფასებელი წვლილის შეტანა იქნებოდა ქართულ საოპერო ლიტერატურაში.

რა ნიშნები ახასიათებენ კ. მეღვინეთ-უხუცესის, როგორც მუსიკოსისა და ოპერის კომპოზიტორის, ნიჭს? როგორც მუსიკოსს, კ. მეღვინეთ-უხუცესს განსაკუთრებით ეხერხება და იზიდავს მსმენელს უბრალო მელოდიური ნიჭი.. ეს ნიჭი განუწყვეტლივ მჟღავნდება არა ძველი იტალიური ოპერების დასრულებული არიების ფორმით, არამედ განუწყვეტლივ მომდინარე ტკბილი მელოდიის სახით. სხვა მხრივ ავტორი წინანდელი საოპერო ფორმების მომხრეა დაწყებული დიდი და საინტერესო უვერტიურით და გათავებული ყოველგვარი ანსამბლებით (დუეტები, ტრიოები, კვინტეტები), რომლებიც უხვადაა ამ ნაწარმოებში.

მეღვინეთ-უხუცესის მუსიკა მწყობრი და ჰარმონიულია. როდესაც ამ კომპოზიტორს სურს, იგი ახერხებს შეიტანოს თავის მუსიკაში მკაფიო კოლორიტობა: მაგალითისათვის აღვნიშნოთ „დავლური", მწყემსების მშვენიერი გუნდი. განსაკუთრებით საუცხოვოდ დაწერილი ანსამბლი „სანადირო".

მეღვინეთ-უხუცესის ნაწარმოების საორკესტრო დამუშავებაში ისმის საინტერესოდ მოფიქრებული, არა შაბლონური ბგერები, კერძოდ, „დავლურში" ძალიან მოხდენილად არის გადმოცემული მესტვირეთა მუსიკის ხასიათი. მეღვინეთ-უხუცესს აქვს ორკესტრის ფერადების ალღო.

საკონცერტო შესრულებაში ზოგიერთი ნაწყვეტი რამდენადმე გაჭიანურებული გვეჩვენა, ზოგიერთი ბგერა საკმაოდ მკაფიოდ არ ისმოდა („დავლურის" შუა ნაწილში). შესაძლებელია ეს არასაკმაო მომზადების შედეგი იყოს (კონცერტი მეტად მოკლე ვადაში მომზადდა).

კონცერტში მონაწილენი უაღრესად კეთილსინდისიერად მოეკიდნენ თავიანთ ამოცანას. იშვიათი შეგრძნობით, გატაცებით და ნიჭით ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია რთული პარტიტურის შესასწავლად. არტისტებმა ქუმსიაშვილმა, ისეცკიმ, დოლიძემ და სხვებმა საუცხოვოდ შეასრულეს თავიანთი პარტიები. თითქმის ყველა ნომრის შესრულება მქუხარე ტაშს იწვევდა.

დ.

თბილისის მუშათა თეატრი

„სამუმ"—ბაგდასარიანის დადგმა, რეჟ: ტატიშჩევი, მხატვ. ვ: ივანოვი

კოლონიალური ცხოვრების ამსახავი პიესების არე თითქმის ცარიელია საბჭოთა დრამატურგიაში. ბაგდასარიანის „სამუმი" ცდაა ამ სიცარიელის ამოსავსებად, თუმცა ეს ცდა სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

ავტორის მასალად გამოუყენებია აფრიკანულ ტომების მდგომარეობა „თავისუფლებისათვის" მებრძოლ საფრანგეთის ხელში.

ამ ტომების აუტანელ პირობების გასაშლელად ავტორი ემყარება გარეგნულ ეფექტებს, მეტად პრიმიტიულ ხერხებს იყენებს და მთელ ექვს ნაწილში ვერ ახერხებს ერთ დრამატიულ კვანძის შექმნას. მიზანიც მიუღწეველი რჩება.

ავტორი იმპერიალისტების კოლონიალურ პოლიტიკაში ვერ ამჩნევს მთავარს: მტაცებელთა მატერიალურ მიზნებს, საკითხს უდგება რაინდულ პატრიოტიზმის მხრიდან. პლაკატურ აგიტაციური სიტყვიერებით, სცენიური თავისებურებების გაუთვალისწინებლად, ჰქმნის დამლაგ და უმიზნო კორიანტელს.

შედარებით უფრო ცოცხლად და ბუნებრივად არის გამუქებული, გაპარტახებულ ქვეყნებში მივლინებულ, საფრანგეთის სამხედრო შტაბის ცხოვრება და მოქმედება.

მიუხედავად რეჟისორის დიდი მუშაობისა, სცენის არაბები ძალიან არ გვანან იმ ტომებს, რომლებიც სირიიდან მაროკომდე და იქიდან ეკვატორამდე ერთი აზრით არიან გამსჭვალული მტაცებლების წინააღმდეგ.

ამ მხრივ გაზეთების ქრონიკა უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა წითელი დროშის ქვეშ დიდით აჯანყებულ მონებზე, ვიდრე ეს „შტამპიანი" თეატრალური ეგზოტიურ ტრაფარეტების ფონზე.

მუშათა თეატრს „სამუმის" დადგმა ვერ ჩაეთვლება რაიმე მიღწევად. თუმცა ლიუბოშმა გენერალ დიურანის როლში. და ლიუბიმოვმა ტქმ ედმონდის როლში—ერთხელ კიდევ გაამართლეს თავისი თავი, მაგრამ ეს ვერ შველის სპექტაკლის საერთო მიმდინარეობას. ვერც აქტიორების ჩვეულებრივმა მუყაითობამ და ვერც კარგმა დეკორატიულმა კონსტრუქციამ ვერ გამოასწორეს სუსტი პიესით მიღებული შთაბეჭდილებანი.

ბ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

კონსერვატორიის ახალი პრორექტორი

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობის ცნობით, კონსერვატორიის პრორექტორი ლარისა ქუთათელაძე მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილების თანახმად განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

კონსერვატორიის პრორექტორად დაინიშნა ამხ. ხოფერია.

◆ **ბათუმ-ქუთაისის თეატრის გასტროლები.** დღეს ოპერის თეატრში იწყება ბათომ-ქუთაისის თეატრის გასტროლები. წარმოდგენილი იქნება: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ".

◆ **შეკუნ-კოლოროჩენკოს კონცერტი.** 6 აპრილს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება უკრაინულ სიმღერების ცნობილი შემსრულებლის მარიამ შეკუნ-კოლოროჩენკოს კონცერტი.

◆ **კინო-სტუდია.** ხელოვ. მთ. მმართველობამ გადასწყვიტა თბილისში გახსნას კინო-სტუდია.

◆ **მუშა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „სამუმი".

— **გრიბოედოვის ხსოვნის საღამო.** დღეს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება საღამო ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამოზე მოხსენებით გამოვლენ: დოცენტი ს. დანელია—„ა. გრიბოედოვის სოციალური და ლიტერატურული პიროვნება", ნ. ილინსკი — „ა. გრიბოედოვი და თბილისი".

—**მუსიკალური მუშაკის მოწ. კონცერტი.** კვირას, 7 აპრილს, მე-2 მუსიკალურ მუშფაკში შესდგება მოწაფეთა მე-5 ღია კონცერტი.

კვირას, 14 აპრილს, სრულ 12 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობის" თანამშრომელთა თათბირი, რომელსაც უნდა დაესწროს ყველა პროლეტარული მწერლები და კომკავშირელი მწერლები.

შემთხვევები

„წერა-კითხვას" მაღაზიის გაქურდვა

2 აპრილს გაქურდეს „წერა-კითხვას" საზოგადოების მაღაზია (კომინტერნის ქ. № 31), წაიღეს 750 მანეთის საქონელი.

დაჭრა და თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ ალექსანდრე დიმიტრენკომ (მცხ. დიდუბის შესახვევი № 17) დაჭრა ნადეჟდა მიხეილის ასული დომენტოვიჩი და შემდეგ თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა. ორთავეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

შეშის ქურდი

მილიციამ დააპატიმრა პეტრე ბიკტორის ძე გორეჩოვი (უბინაო), რომელმაც გაქურდა მე-6 სამილიციო კომისარიატის შეშის საწყობი.

მოკვლის განზრახვა

გურგენ სტეფანეს ძე მიროიანმა (მცხ. კახეთის № 12) მოკვლის მიზნით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი—სირანუშ. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი მიიმალა.

ჯიბგირობა

ედუარდ ლეხუტინს ვიღაც უცნობმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 265 მანეთი. ამ საქმეზე დააპატიმრეს ლევან იოსების ძე ინჯგია.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს სოლომონ სინჯიკაშვილის ბინა (სართიჭალის ქ. № 4). წაიღეს 120 მანეთის ნივთები. — ანდრია კალოევის ბინიდან (ტრამვაის ქუჩა) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

სასამართლო

მანგლისის ჰაერის ბრალი ყოფილა!

გიორგი იაკობის ძე ნოდიამ „ქვიტკირზე უმაგრესი არგუმენტი" წარმოადგინა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოში თავის გასამართლებლად.

როგორც მკითხველებმა იციან, გიორგი ნოდიამ, რომელიც სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწედ მსახურობდა მანგლისის რაიონში, ერთი წლის განმავლობაში გაფლანგა 3500 მანეთამდე სახაზინო ფული.

— კარგად მოგეხსენებათ, რომ მანგლისი საკურორტო ადგილია და „როგორც ასეთს" ბევრი ხალხი ეტანება უმეტესად ზაფხულობით. ხალხის სიმრავლემ გამოიწვია სურსათ-სანოვაგის გაძვირება, ხოლო სიძვირემ გამოიწვია ის, რომ მე ეს თანხა შემომეხარჯა...

— სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ისიც, — განაგრძობს ნოდია,—რომ ეს თანხა ერთბაშად არ გამიფლანგავს (!). ვხარჯავდი წვრილ-წვრილად 20—30 მანეთობით...

ნოდიას „ლოღიკას" რომ გავყვეთ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ კურორტზე კარგი ჰაერია, კარგი ჰაერი აძლიერებს ჭამის მადას,—ამიტომ, თუ გამფლანგველმა კურორტზე შეჭამა სახაზინო ფული,—ის არ უნდა დაისაჯოს, პასუხი უნდა მოეთხოვოს საკურორტო სამმართველოს.

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. **კუპრაშვილის** თავმჯდომარეობით ანგარიში არ გაუწია ნოდიას „არგუმენტებს" და დაადგინა:

„გიორგი ნოდიას მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით, გადახდეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სასარგებლოდ 3464 მანეთი, ხუთი წლის ვადით წაერთვას საარჩევნო უფლება და ამავე ვადით აეკრძალოს რაიმე თანამდებობის დაკავება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში".

—:—

„შობის ხეები" უფრო ხელსაყრელი გამოდგა

გასული წლის შემოდგომაზე თბილისის პირველმა საავადმყოფომ განიზრახა საავადმყოფოს ბაღისათვის წიწვიანი და ფოთლოვანი ხეების ნერგების შეძენა და სათანადო შუამდგომლობა აღძრა საკურორტო სამმართველოს წინაშე.

— რაც შეიძლება უნდა დავაჩქაროთ ნერგების შეძენა. საქმე დაყოვნებას არ ითმენს, სწორედ ეხლაა ნერგების გადმოზიდვის სეზონი,—მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას უფროსი ძებალი **გიორგი მიხეილის ძე ჯავახიშვილი**. რომელმაც თავიდანვე იკისრა ნერგების შეძენის ინიციატივა.

— შენი საქმე—შენ უკეთ იცი, ჩვენ ყოველმხრივ ხელს შეგიწყობთ, ოღონდ საქმეს დეევა უნდა.

— ჯაფას და გარჯას არ დავიზარებ, თქვენ ოღონდ სათანადო უფლებებით აღმჭურვეთ,— სთქვა გულშემატკივარი კაცის კილოთი ჯავახიშვილმა.

აღიჭურვა თუ არა სათანადო უფლებით და საბუთებით, ჯავახიშვილმა გამოიძახა თავისი ქვისლი **ვლადიმერ სარდიონის ძე დავითაშვილი**, რომელსაც გაუზიარა თავისი გულის ნადები და სთხოვა დახმარება „შობის ხეების" გასაღების საქმეში.

დეკემბერიც დადგა. ჯავახიშვილი მივლინებულ იქნა ბორჯომში, სადაც მოლაპარაკება აწარმოვა სატყეო განყოფილების გამგესთან და დაათვალიერა ნერგები.

ნორჩი ნერგების წაღება არ მოისურვა ჯავახიშვილმა, რადგან წინდაწინ იცოდა, რომ ბაზარზე უფრო მეტი გასავალი მოზრდილ ხეებს ჰქონდა. მოზრდილი ხეების წასაღებად კი ხელახალი ნებართვა იყო საჭირო საკურორტო სამმართველოდან.

ეს ნებართვაც მალე მიიღო ჯავახიშვილმა. წაიყვანა ბორჯომში თავისი ქვისლი და უკანასკნელის მიერ მოქირავნილი მუშტრები, რომლებიც დაერიენ სანერგეს. ჯავახიშვილი და მისი ქვისლი ქეიფობდნენ ბორჯომის რესტორნებში, სპეკულიანტების ხარჯზე.

საავადმყოფოსათვის დათმობილი ნერგები გასაღებულ იქნა ბაზარზე „შობის ხეებად". ქვისლებმა გაინაწილეს შემოსავალი.

თბილისში ჩამოსვლისას ჯავახიშვილმა საავადმყოფოს ადმინისტრაციას მოახსენა, რომ ბორჯომის სანერგეში არ აღმოჩნდა შესაფერი ნერგები და ამიტომ საჭიროა ქობულეთის სანერგეში გამგზავრება.

ქობულეთში წასვლა აღარ დასცალდა ჯავახიშვილს, რომელიც თავის ქვისლთან ერთად გამსახლში იქნა გაგზავნილი.

მათი საქმე ახლო მომავალში გაირჩევა.

ვერ.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 4 აპრილი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 5 აპრილი

5 აპრილს რადიო-გადამცემი სექტორი თბილისის 4 კილოუატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 5 საათიდან პიონერისა და მოსწავლის საათი სომხურ ენაზე. საუბარი—„პროფკავშირები და კულტურული რევოლიუცია" ქართულ ენაზე. რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. გაზეთი „ენი კენდ" თურქულ ენაზე. საუბარი სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე: „კანის მოვლა და ჯანმრთელობა"—ქართულ ენაზე. დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი. კომკავშირელების რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე. რადიოს მეგობართა საათი (ტექნიკური კონსულტაცია).

კონცერტი პოპულიარული ხალხური სიმღერებისაგან. ცეკვა მხატვრულ მუსიკაში. უკანასკნელი ამბები.

დასასრულ გადაცემული იქნება მორზეს ანბანი ქართულ ენაზე.

რკინის გზებზე

მარგანეცის გადაზიდვის გაძლიერება

ა.-კ რკინის გზის დასავლეთ უბანზე დაამთავრა თავისი მუშაობა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებულ ჰქონდა დატვირთვა-გადატვირთვის საქმის და საერთოდ ტვირთზიდვის საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხების მოწესრიგება.

კომისიის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მთელი რიგი ღონისძიებების გამომუშავება მარგანეცის გადაზიდვის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

8-დან 10 აპრილამდე მარგანეცის დღიური გადაზიდვა შორაპნიდან ფოთამდე გადიდებული იქნება 240 ვაგონამდე. ამისათვის საჭიროა შესაფერი პირობების მომზადება სადგურ შორაპანსა და ფოთში.

მარგანეცის დატვირთვა - გადატვირთვა ამ სადგურებზე იწარმოებს მთელი დღე-ღამეების განმავლობაში.

ამასთან დაკავშირებით კომისიამ შეიმუშავა ღონისძიებები, რომლითაც გათვალისწინებულია მოძრავი შემადგენლობის გაძლიერება, სადგურებზე განათების მოწყობა და დატვირთვა - გადატვირთვის საქმის საჭირო მუშა ხელით უზრუნველყოფა.

სამარშრუტო მატარებლები

ზემოხსენებულმა კომისიამ გამოიკვლია მთელი რიგი სადგურები და გამოიმუშავა ღონისძიებები მათი მუშაობის გასაძლიერებლად.

კერძოდ მოგვარებულ იქნა ბაქო-ბათომს შუა ავტომატიური მუხრუჭებით მოწყობილი სამარშრუტო მატარებლების მოძრაობის საკითხი.

ეს მატარებლები შესდგება 16 ამერიკული სისტემის ვაგონისაგან. სურამის უღელტეხილზე ეს მატარებლები ივლიან რვა ვაგონის შემადგენლობით. ამერიკული ვაგონებით იწარმოებს პურეულის, შაქრის, ჩაის, ცემენტის და სხვა ტვირთების გადაზიდვა.

ბათომიდან ასეთი მატარებლით უკვე გამოგზავნილია 45 ვაგონი ჩაი, რომელიც განაწილებული იქნება ა.-კავკასიის ცალკე რაიონებს შორის.

თათბირი ბათომის და ფოთის სადგურებთან

გზისა და კლიენტების ურთიერთ დამოკიდებულების გაუმჯობესების მიზნით ბათომის და ფოთის სადგურებთან დაწესებულია გზისა და კლიენტების წარმომადგენელთა პერიოდული თათბირი (თვეში ორჯერ).

თათბირებზე შეიმუშავებენ მახლობელ პერიოდში ტვირთზიდვის კალენდარულ გეგმებს და გადასწყვეტენ ტრანსპორტსა და კლიენტებს შორის აღძრულ ყოველგვარ საკითხებს.

სამაგალითო უბანი

გზის გამგეობის სპეციალურმა კომისიამ გზის მოძრაობის დარგის პირველ უბანზე აღნიშნა საბარგო მატარებლების [illegible] მოძრაობა. ხსენებულ უბანზე მატ[illegible]ლების 95 პროცენტი (ცხრილის მიხედვით მოძრაობს.

დეფიციტური საქონლის გადაზიდვის გაძლიერება

მატარებლების მოძრაობის შეფერხებას გზის აღმოსავლეთ უბანზე შედეგად მოჰყვა ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილ სამომხმარებლო საქონლის გზაში გაჩერება. უბნის ზოგიერთ სადგურების საწყობებში ამჟამად დაგროვილია ასეთი საქონლის დიდი მარაგი.

ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილ დეფიციტური საქონლის დაუყოვნებლივ გადასაზიდად ა.-კ. რკ. გზას წინადადება აქვს მიცემული ათი დღის განმავლობაში განტვირთოს სადგურების საწყობები იქ დაგროვილ საქონლისაგან და გააძლიეროს საქონლით დატვირთულ ვაგონების მიღების ნორმა. ყოველდღიურად გზამ უნდა მიიღოს 500 ვაგონი საქონელი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

პავლე ლეჟავას

კითხვა:

ჯვარი დავიწერე 1919 წ. და ბავში შემეძინა 1920 წ. თებერვალში. საქარის თემის მმაჩში გატარებულია, როგორც 1923 წელში დაბადებული. ბავში იმყოფება მე-11 ჯგუფში. მთხოვენ მეტრიკას, გთხოვთ მაცნობოთ ვის მივმართო, რომ ბავში სისწორით გატარდეს მმაჩში?

პასუხი:

უნდა მიმართოთ იმ რაიონის სახალხო სასამართლოს, სადაც თქვენ სცხოვრობთ, რათა დაგიდასტუროს თქვენი ბავშის დაბადების ნამდვილი დრო. ამის გამოსარკვევად თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ მოწმეები და წარადგინოთ სხვა საბუთებიც, თუ რამე მოგეპოვებათ. თუ მოსამართლე დარწმუნდა თქვენ მიერ დასახელებული მოწმეების დაკითხვით და საბუთების განხილვით, რომ თქვენი ბავში სწორედ 1920 წლის 5 თებერვალს არის დაბადებული, იგი ამის დამადასტურებელ დადგენი- ბული, იგი ამის დამადასტურებელ დადგენილების ასლი უნდა წარადგინოთ მმაჩში და უკანასკნელი შეასწორებს შეცდომას.

ალექსი [illegible]

კითხვა:

ჩვენი ოჯახი შესდგება ათი სულისაგან: და, მამა და რვა შვილი. ჩვენს ასეთ დიდ ოჯახს უფროსობს ისევ მამა, რომელიც ლოთობის მეტს არაფერს აკეთებს. ოჯახი სულ მთლად დააქცია და დაანგრია. გთხოვთ განმარტებას, როგორ მოვიქცე.

პასუხი:

მიწის კოდექსის 43 მუხ. თანახმად, კომლის წევრებმა, რომელთაც სურთ კომლის მეთაურის გადაყენება, უნდა მიმართონ თემის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც შეუძლია კომლის მეთაური გადააყენოს და მის მაგიერ დანიშნოს კომლის სხვა წევრი. თუ თემის აღმასკომმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი სახალხო სასამართლოში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 1 საათზე, ც. კ. აგიტპროპში ამხ. დოლიძესთან შესდგება კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ჩხარტიშვილი, პატარაია (ქართ დივიზია), სოსიანი, ფანცულაია ან ჭელიძე (პროფსაბჭო) და ბოკერია („წერა-კითხვა").

სამკ. ფაკულტ. არსებული ა.ლ.კ.კ. ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 4 აპრილს, მოწვეულია საღამოს 5 საათზე, ბიუროს სხდომა, ხოლო 7 საათზე ამავე უჯრედის კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

პარასკევს, 5 აპრილს, საქ. კომპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში (ამხ. ყოყიკაშვილის კაბინეტში) **შესდგება კომისიის სხდომა,** რომელზედაც მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ფ. მახარაძე, კასიანი (ამ.-კავკ. ცაკი), მ. ტორომშელიძე, ს. ხუნდაძე, ა. კვირიკაძე.

საქ. კომპ. თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს უჯრედებს, 7 აპრილისათვის წარმოადგინონ მასალები საორგანიზაციო განყოფილებაში, უჯრედების კრებებზე პურის წიგნაკების შემოღების საკითხის დამუშავების შესახებ.

იმ უჯრედებმა, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ სამთვიანი სტატისტიკური ცნობები, ასეთები უნდა წარმოადგინონ 2 დღის განმავლობაში.

სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 4 აპრილს, სრულ 11 საათზე შესდგება კომპარტიის ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ კ. პარტიაში მისაღები ამხანაგები, ვისაც განცხადება აქვს შემოტანილი.

სახ. უნივერსიტეტის ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქ. მუშფაკის პარტ ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს, 4 აპრილს, დილის 10 საათზე გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში ამხ. ანდღულაძესთან თავთავიანთი მანდატებით: მეტრეველი ლიდა, აბულაძე, აბაშიძე ვარლამი, ბარამიძე ნაუმი, ბერუჩაშვილი კიკუშა, კვარაცხელია ქეთინო, გიორგაძე შალვა, კალანდია მიხეილ, ჩემინავა ვლადიმერ.

დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის კლუბში მოწვეულია სოც. ეკონ. ფაკ. კომპარტიისა და კომკავშ. წევრ-კანდიდატთა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

ლენინიონის მ-გ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგება საფ. კრების მეცადინეობა: 1-ლი ჯგუფის—პლეხანოვის სახ. კლუბში, მეორე—რკინის გზის სამმართველოში, მე-3—ძერჟინსკის სახ. კლუბში—(დტოოგპუ). მე-4—რკინის გზის სამმართველოში.

თბილისის ს. უ. მე დსანშრომის პროფკომი და სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ ა. წ. 31 მარტს გარდაიცვალა ამავე ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ამხ.

ლადო ბიწაძე

რომლის დასაფლავება მოხდება სოფ. ცხრუკვეთში, ხუთშაბათს, 4 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე.

გულდამწვარნი ცოლი თინათინი შვილებით; დედა ირინე, ძმები გრიშა, ვასო, ანდრო ახობაძეები ოჯახებით; დები, ნინო და ოლია ქმრებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი

ივანე დიმიტრის-ძე ქიშმარიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 4 აპრილს, 4 საათზე მთავარ (მიხეილის) საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, 6 საათზე საავადმყოფოში.

2—2 1208

ღრმად დამწუხრებული: გიორგი, სამსონი, გრიშა, ლიუცია, ნინა, ვერა კაჭახიძეები შვილებით აუწყებენ ნაცნობებს ძვირფას მეგობრის

ვანო ქიშმარიას

გარდაცვალებას. გამოსვენება მთავარ (მიხეილის) საავადმყოფოდან 4 აპრილს, 4 საათზე.

1210

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კატუშა ლოლაძე

რასაც იუწყებიან: მამა მათე ცოლით ელენეთი, დიდედა ბარბარე და ძმები: დათიკო და გრიშა. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ბინიდან ჩერნიშევის 1-ლი ჩიხი (ყოფ. ალექსეევის) № 8.

1238

დამწუხრებულნი მამიდა ნინა ქმრით დავითით და შვილით ვახტანგით პარკაძეები, მამიდაშვილები: იულონი და მარგო ხმალაძეები იუწყებიან

კატუშა ლოლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 საათზე—ბინიდან, ჩერნიშევის 1-ლი ჩიხი (ყოფ. ალექსეევის) № 8.

1239

სახ. აკ. ოპერის თეატრი

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში

ხუთშაბათს 4 აპრილს — აბონემენტის გარეშე — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ
დრამა—კინო—რადიო 4 მოქ. ერნსტ ტოლლერის, თარგ. ბ. ჟღენტის
დადგმა დ. ანთაძის, მხატვარი დ. კაკაბაძე

პარასკევს 5 აპრილს — 1 აბონემენტის 1 წარმოდგენა — ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ

ბილეთები იყიდება
3—3 ნ. 2473

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის ნაწარმოები
კინო-თეატრ დარბაზში
ხოლტზე
რეჟისორი ლეო ესაკია—ოპერატორი ვ. პოზნანი

სახელმწიფო კინო-თეატრები

განთიადი	კაპიტანის ქალიშვილი
სოლეი	ახალი კომედია დონა ჟუანა
მინიონი	მხატვრული სურათი მე-7-დე თანამგზავრი
კალასი	მსოფლიო სურათი არსენალი რეჟისორი დოვჟენკო
არფასტო	ნანა ზოლას რომანის მიხედვით
აპოლო	მსოფლიო ფილმი ჩანგ ამერიკული ნაწარმოები
დარბაზი	ბედნიერების ნალი მონტი ბენკსის მონაწილეობით
პროლეტარი	ტიპინა მილიონებით

კვირას დღის სეანსი „სოლეი"-ში
0—2

მალე
კინო-თეატრებში
სოლეი-მინიონი
მსოფლიო ფილმი
ახალი ბაბილონი
რეჟისორები: გ. კოზინცევი და ლ. ტრაუბერგი
მთავარი მომქმედი პირები:
გამყიდველი ქალი—ე. კუზმინა
მსახიობი ქალი—ს. მაგარილ
ჯარისკაცი—პ. სობოლევსკი.
ნ. 2484

საქართვ. სახელმწიფო გამომცემლობის კომიტენტების საყურადღებოდ

სახელგამს აქვს მიღებული სხვადასხვა პირებისაგან საკომისიოდ წიგნები რომელთაგან ზოგი რამოდენიმე წელიწადია აწყვია მაღაზიებში, უჭირავს ადგილი და იწვევს ხარჯებს (აღწერა, ზედმეტი თანამშრომლების შტატი და სხვა).

ამის გამო წინადადება ეძლევა ყველა კომინტენტს, **დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ერთი თვის განმავლობაში** გამოცხადდეს სახელგამში ახალი პირობის დასადებად სათანადო საბუთების წარმოდგენით, წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნები გადაეცემა „საბჭოთა ბუკინისტს" დაკლებულ ფასებში გასასყიდად. შემოსული თანხა ჩაირიცხება სახელგამის სასარგებლოდ მის მიერ გაწეულ საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

3—3 ნ. 2458 სახელგამის გამგეობა.

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.)
მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 10 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. კუთხე 25 (შესავალი ჩერნიშევის ქუჩ. № 5)
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
1183 3—1

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი

(რუსთაველის პრ., რუსთაველის თეატრის შენობა)

პარასკევს, 5 აპრილს, შესდგება

ეკონომისტების საერთო-საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1. ეკონომისტების გაერთიანების ამოცანები და საორგანიზაციო ფორმები,—მოხსენება გ. დ. ქავთარაძისა.
2. კლუბის ეკონომიური სექციის ორგანიზაცია.

კრებაზე მოწვეულნი არიან ეკონომისტები, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების მუშაკები და სამეურნეო მუშაკები.

დასაწყისი 7 საათზე. ნ. 2482

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

გაზ. „კომუნისტი" ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 7 აპრილს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2485

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ხაიმ გააზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 10 აპრილს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 40 აველიევის ქ. მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გეურქ არუთინოვის უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს კრამიტით დახურულს, რომელიც შესდგება ათი ოთახიდან და სამზარეულოდან შეფასებულს 3500 მანეთად, ფინსახკომის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა იწარმოებს შემოსულის თანახმად ქ. თბ. მე-2 უბნის სახ. სასამართლოსაგან 19 იანვარს 1928 წ. თარიღით, № 73 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს 311 და 312 მუხ. დაცვით. ნ. 2483

სამტრედიის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი სიმონ ნ. ნამიჩეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 9 აპრილს 1929 წ. 11 საათზე ქ. სამტრედიაში, წულუკიძის ქუჩაზე № 2, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ისიდორე ექვთიმეს-ძე პაპავას უძრავ ქონებას: ერთი ერთ სართულიანი ხის მასალიდან აშენებულ სახლს, რომლის ნაწილი დახურულია ყავრით, ნაწილი კი ცინკით; სახლი ოთხ თვალიანია მაზე მოდგმულია ორი თვალი, ყავრით დახურული სამზარეულო. სახლი შეფასებულია 567 მან. და იყიდება დასაკმაყოფილებლად მაძიებელი საზ—ბა „ტრანსპორტისა", თანახმად აღსრულებითი წარწერისა გაცემული ქუთაისის 1-ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორის გამგის მიერ 22 დეკემბერს 1927 წ. № 1673. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება სამოქ. სამართ. საპროც. კოდექს. 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. დაცვით. სრული აწერილობის ნახვა და საქმის ვითარების გაგება შეიძლება სასამართლოს აღმასრულებლის კანცელარიაში. ნ. 2486

დაკარგ: ვინაობის მოწმობა № 1220 სამსონ ლევანისძე კობულიას სახელზე, ჩ. გ. 1235

დაკარგ: ფული, საბუთები და პასპორტი მიღებული 1-ლი რაიონის კომისარიატიდან ინჟ. ევ. ბაკურაძის სახელზე, ჩ. გ. 1237

დაკარგ: სოც. უზრუნველყოფის საქკომისარიატიდან გაცემული მოწმობა № 595 ივანე გვრითის ძე მურადოვის სახელზე, ჩ. გ. 1231

დაკარგ: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 23461 ვიქტორ ფრუიძის სახელზე, ჩ. გ.

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ლაპარაკის ხმის და მეტყველებისა სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ქობულაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მხამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა-1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14
25—3 806

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.
15—1 ნ. 2477

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 15 მარტის № 12, ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ოვსეფ სოსიკოს ძე ონანიანცმა თავისი გვარი და სახელი გამოიცვალა ახალ გვარზე და სახელზე „იოსებ ანანოვზე"

1233

დაკარგ: მეტრიკული მოწმობა ფაშიანის სახელზე, ჩ. გ. 1230

დაკარგ: მუშკორპის საწევრო წიგნაკი № 23143 სევერიანე დავითის ძე მაღულარიას სახელზე, ჩ. გ. 1234

დაკარგ: მეტრიკული ამონაწერი (გაცემული 1911 წელში) ქეთევანა ალექსანდრეს ასული საჯინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1236

ტირაჟი—39.321
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.